

178
1978/3

ՀԱՅԿԵՆԻ
ՆՈՑԳՈՐԾՈՅ

ՆԵՔԻՄՈՒՆ

ՆԵՔԻՄՈՒՆ



ԵՐԵՎԱՆ - 1978



საქართველოს საქართველოს

N 5

საქმიანობის
ოპობოგრაფი
1978 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

16178

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში	3
<u>სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის</u>	
ბრამიანის უფლება-მოვალეობათა დიადი ქართია	6
ზ. რატაანი — სამართლის პროპაგანდის და სამართლებრივი აღზრდის საკოორდი- ნაციო — მეთოდოლოგიური საბჭოების ამოცანები	12
ვ. ანაშკინი, ვ. ობრაზცოვი — მექრთამეობის საჭმეების გამოყენებისა და განხილვის ზოგეერთი საკითხი	20
ქ. ყიფიანი — საქართველოს სსრ სსკ 471 მუხლის განოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ	27
ტ. ლემონჯავა — სრულყოფილი სოფლის მეურნეობის იურიდიული სამსახური	35
<u>ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლისათვის</u>	
ა. შუშანაშვილი — სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთი საკითხი	45
ვ. მებრეველი — ილია ჭავჭავაძე დანაშაულის არსის შესახებ	51
ზ. მესხენიერი — ღვაწლმოსილი	56
აფოკატი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდადატი	62
ოფიციალური მახალა	65
ენფორმაცია	85
ცნობები ავტორთა შესახებ	95

СОДЕРЖАНИЕ

В ЦЕНТРАЛЬНОМ КОМИТЕТЕ КОМПАРТИИ ГРУЗИИ 3

КО ДНЮ КОНСТИТУЦИИ СОВЕТСКОГО СОЮЗА

Великая хартия прав и обязанностей человека 6

З. Ратиани — Задачи координационно-методических советов по правовой пропаганде и правовому воспитанию населения 12

В. Анашкин, В. Образцов — Некоторые вопросы расследования и рассмотрения дел о взяточничестве 20

Д. Кипиани — О служебной практике по применению ст 47¹ УК Грузинской ССР 27

Т. Лемонджава — Совершенствовать юридическую службу в сельском хозяйстве 35

К ИЗУЧЕНИЮ НАСЛЕДСТВА ИЛИ ЧАВЧАВАДЗЕ

А. Шушанапшвили — К вопросу деятельности И. Чавчавадзе в государственном совете 45

В. Метревели — И. Чавчавадзе о сущности преступления 51

З. Мессенгиссер — Ветеран (Очерк о Якобашвили М. А.) 58

Адвокат — кандидат юридических наук 62

Официальный материал 65

Информация 85

Сведения об авторах 96



საბჭოთა კავშირი
კომუნისტური

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე,
გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
გ. შვანია, გ. ტყეშელაძე, ვ. ჭვანავაძე,
ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მ მდგრანი) თ. წერეთელი,
ი. ხოჭოლავა, ხ. ჯორბენაძე.

კომუნისტური მისამართი: თბილისი, კლუბის რაიონი, კ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 5/IX-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.X.76 წ.,
ფოტობეჭდი 70X108¹/₁₆, ფიზიკური საბეჭდი ფურცელი 6, პირობითი საბეჭდი
ფურცელი 5.4, საბეჭდო-საგამომცემლო თაბახი 8.87
შეკვ. № 2470 ტირაჟი 20.100. უგ 14154



საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ

კომიტეტში

სსრ კავშირისა და სპარტმფლოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესასრულებლად რესპუბლიკის აღმოსავლეთ კრწანისის კრწანო-ილიძის ორგანიზატორული სამხმარისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულდეს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნებს მოქალაქეთა დაცვის უფლების შესახებ, და მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის ორგანიზატორული საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ადვოკატთა კოლეგიის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების ორგანიზების საქმიანობის გაუმჯობესების ამოცანათა გადაწყვეტის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში.

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტმა განსაზღვრეს მთელი რიგი ღონისძიებები ადვოკატურის საქმიანობის სრულყოფისათვის, მოსახლეობის სამართლებრივი დახმარების გასაფართოებლად, ადვოკატურის კადრების განსამტკიცებლად, მათი იდეურ-პოლიტიკური ღონის და პროფესიული დასტატების ასამღებლად.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამის მიუხედავად, ადვოკატურის მოღვაწეობაში ბევრი სერიოზული ნაკლოვანებებია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატურის საქმიანობის ხარისხსა და ეფექტიანობაზე, ხელს უშლის კანონიერების, სახელმწიფო და სამეურნეო დისციპლინის განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

ბევრი ადვოკატი თავისი საქმიანი, მორალური თვისებებით და პროფესიული ოსტატობით ვერ უზარსულებს ადვოკატურისადმი წარდგენილ გავრდილ მოთხოვნებს. რესპუბლიკაში მომუშავე 586 ადვოკატიდან 192 კაცი სამოც წელზე მეტი ხნისაა, მაშინ როდესაც 30 წელზე უფრო ახალგაზრდაა მხოლოდ 80 ადვოკატი. უმაღლესი იურიდიული განათლება არა აქვს 84 ადვოკატს. არის შემთხვევები, როცა ადვოკატურაში იღებენ წარსულში ნასამართლებ პირს, ასეთ ვითარებაში ნელა წყდება ადვოკატურის კადრების განახლების საკითხი.

არ წარმოებს ჯეროვანი მუშაობა ადვოკატურის კადრების რეზერვის შესაქმნელად. ადვოკატების ატესტაცია უკანასკნელად 1974 წელს ჩატარდა. დღემდე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს არ შეუქმნავებია დებულება ადვოკატების ატესტაციის შესახებ. ადვოკატურის საკადრო მუშაობაში უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე სათანადო აპარატის უქონლობა.

კოლეგიის ცალკეული წევრები არკვევენ ადვოკატის ეთიკის ნორმებს, საქმეთა განხილვაში მონაწილეობისას ხშირად ზერტლედ წავლობენ საქმის მასალებს, სასამართლოს წინაშე შედიან დაუსაბუთებელი შუამდგომლობით, იჩენენ უბატვიცემლობას პროცესის მონაწილეთა და სასამართლოს შემადგენლობის მიმართ. უხარისხოდ დადგენენ იურიდიულ დოკუმენტებს, ზოგჯერ ადვოკატის სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო ხდება სასამართლო პროცესების გადადება.

ჯერ კიდევ არ არის ამოფხვრილი ფაქტები, როცა ადვოკატი გვერდს უფლის იურიდიულ კონსულტაციას, პირად კონტაქტს ამყარებს კლიენტთან, ზოგჯერ კი მექრთამიონასაც ეწევა. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ქ. თბილისის პირველი მაისის მისეთის და ლანჩუთის რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში.

გასაუმჯობესებელია საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამართლებრივი მომსახურება ადვოკატურის მხრივ. ცალკეული ადვოკატები იშვიათად დადიან იმ საწარმოებში, რომლებსაც ემსახურებიან, ღრმად არ წვდებიან მათ სამეურნეო საქმიანობას. არ აწესებენ დადებული ნელშეკრულებების შესრულებაზე მკაცრ კონტროლს, არ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს დანაკლისების, გაფლანგვებისა და გატაცებების თავიდან ასაცილებლად. არის ფაქტები, როცა ირდევია ინსტრუქცია საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციისათვის გაწეული იურიდიული დახმარებისათვის ანალოზურების შესახებ.

ასეთი ნაკლოვანებებია ქ. ქუთაისის, ანჭეტის, გურჯაანის, ქასპის, მცხეთის, ორჯონიძის, ზნაურის და სხვა რაიონების იურიდიული კონსულტაციების მუშაობაში.

არასაკმარის ვრცელდება საუკეთესო ადვოკატების და იურიდიული კონსულტაციის საქმიანობა.

ქ. მარტვის ს.ხ. საქ. სსრ



ყველგან სათანადო ყურადღება არ ექცევა სამართლებრივი პრობლემების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, ყველა ადვოკატი აქტიურად არ მონაწილეობს სამართლებრივ პრობლემებში, ლეგიტიმური და სახელმწიფო ზოგჯერ ეწყობა ფორმალურად, მოძველებული თვისებით, აუღიარების თავისებურებათა და ინტერესების გაუთვალისწინებლად. სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში სუსტად არის გამოყენებული პრესა, რადიო, ტელევიზია.

იურიდიული კონსულტაციების საქმიანობას ახასიათებს ნაკლოვანებები მშრომელთა წერილების, საინფორმაციო და განცხადებების განხილვაში. იშვიათი არ არის, როდესაც მოქალაქეებს პასუხი ეძლევათ ფორმალურად, კანონზე მიუთითებლად.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში ყოველთვის არ ასორციელებს სათანადო კონტროლს იურიდიული კონსულტაციებისა და კოლეგიის წევრთა საქმიანობისა და აქტიურად არ წარმართავს მათ, რათა აღმოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებები, არ იჩინოს ჭრტიანი პრინციპულობა და შეუპოვრობა გამოძახებისა და სხვა ბოროტებათა აღმოსაფხვრელად. სუსტად არის გამოყენებული ადვოკატურის იმ მუშაკების მორალური ხტიმულირება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს.

ადვოკატთა პრეზიდიუმის სარევიზიო კომისიის არასაკმარისი კონტროლის გამო სერიოზული დარღვევები და შეცდომები დაშვებული სამონორარო პრაქტიკაში (ქ. ქ. ქუთაისის, ცხინვალის, აჭარის ასსრ, ქ. თბილისის საქარსსო, კალინინის რაიონების იურიდიული კონსულტაციები). რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიამ ვერ შეასრულა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საფინანსო შემოსავლის გეგმა, განსაკუთრებით ჩამორჩნენ ქ. თბილისის იურიდიული კონსულტაციები.

იურიდიული კონსულტაციების და კოლეგიის პრეზიდიუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციები მცირერიცხოვანია, არ იგრძნობა მათი აქტიურობა და ზეგავლენა დისციპლინის განმტკიცებაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სათანადო სიღრმით არ სწვდება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საქმიანობას, საკმარისი ყურადღება არ ექცევა მეთოდური დახმარების განხორციელებას; იურიდიული კონსულტაციების და ცალკეული ადვოკატების დადებითი გამოცდილების გავრცელებას და განვითარებას.

იურიდიული კონსულტაციების დათვალიერება-კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა, ზოგჯერ ფორმალური ხასიათისაა, ხელს არ უწყობს კადრების მოლიტკიურ, შრომითა და ზნეობრივ აღზრდას. იშვიათი არ არის, როცა შეჯამებაში გამარჯვებული ვლინდება მხოლოდ ციფრებისა და პროცენტების მიხედვით, ამასთან ყურადღება არ ექცევა საქმის ფაქტურ გარემოებებს, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ხარისხს.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები (ქ. რუსთავი, გარდაბნის და ზოგიერთ სხვა რაიონებისა) საკმარისი მზრუნველობას არ იჩენენ იურიდიული კონსულტაციების პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში შექმნილი არ არის იურიდიული კონსულტაციებისა და ადვოკატების მუშაობის ნორმალური პირობები (აჭარის ასსრ, ვანის, კასპის, სიღნაღის და სხვა რაიონები) ქარელის, ბოგდანოვიკის, მცხეთის, სამტრედიის და ზოგიერთ სხვა რაიონებში იურიდიული კონსულტაციებს საერთოდ არა აქვთ გამოყოფილი შენობები. სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი შენობით, აგრეთვე რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოში ყოველთვის არ არის შექმნილი ადვოკატების ნორმალური მუშაობის პირობები.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ იურისტის პროფესიის, კერძოდ ადვოკატის საქმიანობის პოპულარიზაციას. რესპუბლიკურ პრესაში, ყურნალ „საბჭოთა სამართალში“ ცოტა იბეჭდება მასალები, რომლებიც მეითხველებს სწორ წარმოდგენას შეუქმნის ადვოკატის მუშაობის არსზე და ამაღლებს ამ უმნიშვნელოვანესი იურიდიული პროფესიის პრესტიჟს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებით დაავალა პარტიის ხელეწივე, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მეტი ყურადღება დაუთმონ იურიდიული კონსულტაციების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, მიადვიონ მათი აქტიურობის, ავტორიტეტისა და ავანგარდული როლის ამაღლებას, კადრების აღზრდის, დისციპლინის განმტკიცებისა და სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის საქმეში.

სახალხო დემუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად გაუწიონ დახმარება იურიდიულ კონსულტაციებს მუშაობის ნორმალური პირობების შექმნაში, მათ სტრუქტურულ აღჭურვაში, ადვოკატების კულტურულ-საყოფაცნოვრებო ბიზნების გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს წინადადება მიეცათ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ადვოკატთა კოლეგიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, კადრების აღზრდისათვის პარტიულობის, მაღალი პრინციპულობის, პატიოსნების, მორალური სიწმინდის სულისკვეთებით; კადრების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, მათი შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად მოაწყონ ადვოკატთა ატესტაცია, ამასთან ყურადღება მიაქციონ სათანადო რეკრუტის შექმნას; 1978 წლის ბოლომდე შეიმუშაონ ადვოკატთა ატესტაციის ღებულება და მორიგი ატესტაცია მოაწყონ 1979 წელს; გააძლიერონ კონტროლი, რათა ზუსტად და უყოყმანოდ იქნეს დაცული ადვოკა-

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ტურის მოღვაწეობაში დემოკრატიული პრინციპი, რომლებსაც საფუძვლად უდევს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნები; მაქსიმალურად ამაღლონ ადვოკატების საქმიანობის ხარისხი, სისტემატურად მოაწიონ დადებითი გამოცდილებების განზოგადება; ადვოკატთა პრაქტიკის წესწავლის საფუძველზე გამოარკვიონ დანაშაულობათა გამოწვევის პირობები და მიზეზები, შეარდვიონ სათანადო ორგანოებს წინადადებები, რათა აღმოიფხვრას სამართლის ნორმების და კანონიერების დარღვევები, თავიდან აქნეს აცილებული დანაშაულების მიზეზები; მკაცრი რეაგირება მოახდინონ ადვოკატის ყოველი უღიროსი საქციელის ან დაცვის უხარისხოდ განხორციელების ფაქტის გამო, მიიღონ ზომები ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელად; შეისწავლონ საკითხი საზოგადოებრივ საწყისებზე სასამართლო დაცვისა და ადვოკატთა დახელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების მიზანშეწონილობის შესახებ; ადვოკატების სამართლებრივი კულტურის შემდგომი ამაღლებისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის მიზნით 1978-1979 წლებში გამოხატულ მოაზრებებს რესპუბლიკის გამომჩინელ ადვოკატთა მიერ სასამართლოში წარმოქმნილი სიტყვების კრებულად.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალოს განიხილოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტებისათვის „საბჭოთა ადვოკატურის“ სავალდებულო სპეციალური კურსის შემოღების საკითხი და შეიმუშაოს იურიდიულ კონსულტაციებში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გადღის პროგრამა.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს დაევალოს განხორციელოს ღონისძიებები, რათა გაფართოვდეს ადვოკატთა მონაწილეობა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების იურიდიულ მომსახურებაში, განსაკუთრებით სახელმწიფო დისციპლინის დანტაციებში, დატაკებათა, უყარათობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლაში, სახელმწიფო უფლებებზე დაზარალებულთა შესარულებაში; გააფართოოს იურიდიული კონსულტაციების ქსელი საზოგადოებრივ საწყისებზე, ჩააბას ამ საქმიანობაში გამოცდილი და კვალიფიციური ადვოკატები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასეთი კონსულტაციების შექმნას მიკრორაიონებში, მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში; განხორციელოს დამატებითი ღონისძიებანი სამართალდამცველობითი მუშაობის სისტემის ორგანიზაციული სრულყოფისათვის, მისი მეთოდებისა და ფორმების დახვეწისათვის, სამართლებრივი პროპაგანდის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისათვის; უფრო ფართოდ გამოიყენოს პრესა, რადიო, ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოები მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში; გააძლიეროს კონტროლი იურიდიული კონსულტაციებისა და კოლეგიის წევრთა საქმიანობაზე, სისტემატურად დაენაროს მათ მუშაობის ხარისხის ამაღლებაში, იზრუნოს ადვოკატთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; გააუმჯობესოს ადვოკატთა კოლეგიის სარევიზო კომისიის მუშაობა, მიაღწიოს მისი ეფექტიანობისა და ქმედობის ამაღლებას, არ დაუშვას დარღვევები საპროკურო პრაქტიკაში, მკაცრი რეაგირება მოახდინოს გამოვლენილ დარღვევებზე, არ დაუშვას საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა, მიიღოს ზომები, რათა ზუსტად და განხორციელდეს შესრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ მოთხოვნები; უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შევიძრება საუკეთესო კონსულტაციისა და ადვოკატის გამოსავლენად.

პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს დაევალოს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ადვოკატებს ჰქონდეთ საკმარის პირობები კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად; მოავარონ ცენტრალურ აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანოებში ადვოკატთა მიღების საკითხი; კოლეგიის პრეზიდიუმს აცნობონ ადვოკატების უტაქტო საქციელის, მათ მიერ თავიანთ უფლებამოსილებათა ვადამტების ყოველი ფაქტი.

რესპუბლიკის და ადგილობრივი გაზეთების, აგრეთვე უფროსების რედაქციებს დაევალოს გამოაქვეყნონ მასალები იურიდიული კონსულტაციების და ცალკეული ადვოკატების საქმიანობის შესახებ, იზრუნონ, რათა ამაღლდეს ამ უმნიშვნელოვანესი იურიდიული მარფესის პრესტიჟი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალოს განიხილოს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფის საკითხი, გაუდილოს ასიგნებაში ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს კადრების დარგში შტატის მუშავის შესანახად.

თბილისის სახალხო დემოკრატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალოს განიხილოს ადვოკატთა სახსრებით მათთვის წილობრივ საფუძველზე საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ცნობად მიიღოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გეგმათ ვითარდებისწინებულთა მომზადდეს კანონი ადვოკატურის შესახებ რესპუბლიკის იურიდიული კონსულტაციების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაევალოს ხაერთა კრებებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს დაევალებული აქვთ 1979 წლის დეკემბერს მოახსენონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება.

ადამიანის უფლება-მოვალეობათა დიდი ქარგია

მეათე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების ვითარებაში, კონსტიტუციისა რომელიც ისტორიაში შევა როგორც ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების დიდი ქარტია.

ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი წინა კონსტიტუციისაგან ის არის, რომ მასში უფრო გაღრმავებული და გაფართოებულია დემოკრატიზმის სულისკვეთება და მინიშნებულია საბჭოური ცხოვრების წესის დემოკრატიული ბუნების შემდგომი დახვეწისა და განვითარების გზები.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის კიდევ ერთი არსებითი სპეციფიკა ის არის, რომ მისი დემოკრატიული სულისკვეთება მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობის, სოციალიზმისა და პროგრესის იდეალების წინ წამოწევისა და უმაღლეს პოლიტიკურ და ეთიკურ ღირებულებათა რანგში მათს აყვანასთან. და ეს გასაგებია: თანამედროვე კაცობრიობის ბედი, მისი კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესი ერთნაირი აუცილებლობით არის დამოკიდებული მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე, დემოკრატიის გაფართოებასა და გაღრმავებაზე, სოციალიზმის განვითარებასა და სრულქმნაზე.

კონსტიტუციაში სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უმაღლეს პოლიტიკურ იდეალებად გამოცხადებულია მშვიდობა, დემოკრატია და სოციალიზმი. ამით ჩვენი კონსტიტუცია ქმნის ფართო დამაკავშირებელ ხიდს თანამედროვე მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნისა და სახელმწიფოს პროგრესულ ძალებთან თანამშრომლობისა და სოლიდარობისათვის.

ასეთი საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის საფუძველი ის არის, რომ, პრინციპული და ძირეული განსხვავების, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული და შეუთრეგებელი იდეოლოგიებისა და პოლიტიკის, მკვეთრად განსხვავებული სამართლის, ეკონომიკისა და კულტურის მიუხედავად, ქონებრივი, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვაგვარი სხვაობის მიუხედავად, ადამიანებს მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო და ყველაზე მთავარი მათ შორის — ეს არის თვით ადამიანურობა, მოაზროვნე არსებათა გვაროვნული ნათესაობა.

ჩვენი პლანეტის ბინადარი ადამიანები პრინციპულად ყველა ერთი მოდგმისა და ერთი ბიოლოგიური გვარისა არიან. რასობრივი და ქონებრივი დიფერენციაცია, ეკონომიკური და პოლიტიკური მრავალფეროვნება ვერ სცილდება სოციალურ-კულტურულ და მორალურ-ესთეტიკურ სხვაობათა სფეროებს. ადამიანის ფსიქიკა ყველგან ერთიანი და საერთოა. ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი და ფუნდამენტური ღირებულებები ყველა ადამიანს, ყველა პიროვნებას, ყველა მშრომელს ერთიანი და საერთო უნდა ჰქონდეს. უამისოდ წარმოუდგენელია ურთიერთგაგება და მშვიდობა დედამიწაზე, სოლიდარობა და თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს შორის.

ადამიანთა ეს ძირეული ერთიანობა, რაც მომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, მათი ფსიქიკურ-ფიზიკური კონსტიტუციის ერთიანობიდან, თანდათან მალდება და ფართოვდება სოციალურ და კულტურულ ერთიანობამდე. ამის რეალური გამოხატულებაა ყველა ხალხთა ერთნაირი სწრაფვა ისეთი უმაღლესი ღირებულებებისადმი, როგორც არის ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე და სამართლიანობა. ხოლო ამ ღირებულებათა შეუფერხებელი რეალიზაციის ოპტიმალური სახელმწიფოებრივი ფორმაა დემოკრატია.

საყოველთაო და უნივერსალური დემოკრატია არ შეიძლება არ მივიდეს სოციალიზმამდე და კომუნისმამდე, რადგანაც არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დემოკრატის უფრო რაციონალური და ოპტიმალური სტრუქტურა, ვიდრე სოციალიზმი და კომუნისმი. როგორც ბიოსფეროს კანონზომიერმა განვითარებამ მიგვიყვანა ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობამდე, ისე სოციოსფეროს კანონზომიერი განვითარება მიგვიყვანს კომუნისმის გამარჯვებამდე. ეს ისეთივე ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობაა, — გვასწავლის მარქსისმი, — როგორც „მზის ამოსვლა“ ან „მთვარის დაბნელება“ ბუნებრივი აუცილებლობა.

მარქსისმმა ისიც ნათლად განმარტა, თუ რა განსხვავებაა ბუნებრივ-ისტორიულ აუცილებლობასა და წმინდა ბუნებრივ აუცილებლობას შორის. ბუნება ადამიანის ჩაურევლად მოქმედებდა (ყოველ შემთხვევაში ჩვენს ეპოქამდე მანც), ისტორია კი თვით ადამიანების მოღვაწეობას ჰქვია და მათი აქტიური ჩარევის გარეშე არ არსებობს ისტორიული აუცილებლობა.

ადამიანის აქტიურობა გარანტირებულია მისი ცხოვრების პირობებით, ხასიათით და ფსიქოლოგიით. ადამიანურობა აქტიურობის უმაღლესი და უნიკალური ფორმაა, რასაც სოციალურობა ეწოდება. საზოგადოებისათვის ზრუნვა, სოციალურობა ქმნის პიროვნებას, მის ყველა ღირებულებასა და სათნოებას. კონსტიტუცია სხვა არა არის რა, თუ არა სოციალურობისა და პიროვნულობის ერთიანობისა და სინთეზის კანონთა კოდექსი.

ყოველი კონსტიტუციის საგანი, შინაარსი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაა. ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების კონსტიტუციები აკანონებენ გაბატონებული კლასების უპირატეს უფლებებს უქონელი კლასების უფლებებთან შედარებით. ისინი იცავენ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას და ამით ამკვიდრებენ ფაქტიურ უთანასწორობასა და უსამართლობას ადამიანთა შორის. ეკონომიკური უთანასწორობის სამართლებრივი დაკანონებით ჰაერში გამოკიდებული რჩება მოქალაქეთა პოლიტიკური, მორალური, კულტურული და სხვა სახის თანასწორობის პრინციპები და ლოზუნგები. ეკონომიკური და მატერიალური თანასწორობის გარეშე დემოკრატიული და ფარისევლური ხასიათი ეძლევა ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების იდეალებს. ამით აიხსნება, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია, ურთიერთკონკურენციისა და არსებობსათვის ბრძოლის დემოკრატია ანტიპუმანურ ხასიათს იღებს. მისთვის უმთავრესი ღირებულება არის არა ადამიანი და მისი შემოქმედებითი უნარი, არამედ სიმდიდრე და ძალაუფლება.

სულ სხვაა ჭეშმარიტი, სოციალისტური დემოკრატია. იგი ეფუძნება ადამიანთა ნამდვილ თანასწორობას ეკონომიკის, საწარმოო საშუალებების, შრომისა და მისი პროდუქტების მიმართ. მოსპობილია საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, ყველაფერი ეკუთვნის ხალხს, მთელ საზოგადოებას, იმით,

ვინც შრომობს. პროდუქტების განაწილება ხდება გაწეული შრომის ხარისხისა და როდენობის მიხედვით. ეს არის სამართლიანობის ობტიმალური პრინციპი სოციალური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე. ეს პრინციპი ედება საფუძვლად სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ ამდლებას, შრომის ნაყოფიერებისა და საერთო-საწარმოო კულტურის მუდმივ ზრდას.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, საბჭოთა კონსტიტუცია უმაღლეს ღირებულებად აღიარებს არა სიმდიდრეს და ძალაუფლებას, არამედ ადამიანს და მის კეთილდღეობას. საბჭოთა კონსტიტუცია ეყრდნობა სოციალიზმის მშენებლობის მდიდარ გამოცდილებას და განსაზღვრავს პიროვნების კეთილდღეობის აუცილებელ პირობებს. ამ პირობებს შორის მთავარია კოლექტიურობა, სოციალურობა, საერთო საქმისადმი ერთგულება და საზოგადოებისათვის თავდადება.

ბურჟუაზიული კონსტიტუციების ზოგჯერ გარეგნულად მომხიბვლელ, კეთილშობილურ საფარველში არცთუ ძნელი შესამჩნევია ოფიციალურ რანგში აყვანილი ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი, ანგარება და ძალმომრეობა. ჩვენი კონსტიტუცია კი ფორმითაც და შინაარსითაც, გარეგნული იერსახით და შინაგანი სტრუქტურით ამკვიდრებს ეგოიზმის ნაცვლად ალტრუიზმს, ინდივიდუალიზმის ნაცვლად კოლექტივიზმს, ანგარების ნაცვლად უანგარობას, ძალმომრეობის ნაცვლად თანამშრომლობას.

საბჭოთა კონსტიტუცია აკანონებს მშრომელი ადამიანის კულტს, შემოქმედებითი შრომის პათოსს და ადამიანური ღირსების ხელშეუხებლობას. ადამიანის ღირსება კი, უპირველეს ყოვლისა, მისი შემოქმედებითი თავისუფლებაა; და თუ კონსტიტუცია თავის დროშაზე აწერს შრომისა და შემოქმედების თავისუფლებას, მაშინ იგი გვევლინება როგორც ადამიანური ღირსების ხელშეუხებლობის სახელმწიფოებრივი გარანტია.

ყველას აქვს შრომის უფლება და მოვალეობა — ამის გარანტიაა საბჭოთა ეკონომიკის გეგმავლობითი, უკრიზისო განვითარების პროგრესული კანონზომიერება. შეიძლება ზოგჯერ იქ არ აღმოჩნდეს სამუშაო, სადაც შენ გინდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შენი შეგნება გიკარნახებს იქ იმუშაო, სადაც სამშობლოს უფრო სჭირდება. სამშობლოს ინტერესების წინა პლანზე დაყენება უმთავრესი და უმაღლესი პიროვნული ინტერესია. ეს არის საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა, რომელიც ადვილად იმორჩილებს ობიექტულად კომფორტისა და მეშხანური კეთილდღეობის ეგოისტურ მისწრაფებებს.

პიროვნულისა და საზოგადოებრივის ასეთი პარამონია იმთავითვე იგულისხმება შრომის უფლებისა და მოვალეობის დიალექტიკურ ერთიანობაში. საჭიროა მხოლოდ, ერთი მხრივ, დაუღალავი ზრუნვა პიროვნებათა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სულ უფრო მეტი გულისხმიერება და პუმანურობა პიროვნებათა ინდივიდუალური მისწრაფებებისა და შესაძლებლობების საზოგადოებრივ ინტერესებთან შეხამების საქმეში.

კონსტიტუცია აკანონებს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლებასა და მოვალეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მოქალაქე, არც ქალაქად და არც სოფლად, არ უნდა დარჩეს მათი უნარისა და შესაძლებლობების შესატყვისი შრომითი მოწყობის გარეშე. საქმე ისე უნდა აეწყოს, რომ უშრომელი ცხოვრება შეუძლებელი გახდეს, უსაქმურობა და პარაზიტებს დაეხმოს არსე-

ბოზის ყველა წყარო და საშუალება. უნდა აღიკვეთოს კერძომენაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობის ყველა არხი. ეს ჩვენი სამოქმედო პროგრამის მეტად მნიშვნელოვანი პირობაა.

კონსტიტუცია აკანონებს ბინით და მიწით სარგებლობის უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და ამაღლდეს საბინაო მშენებლობის მასშტაბი და ტემპი, დაჩქარდეს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ქალაქის მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების გეგმაზომიერი და ორგანიზებული განაწილებისათვის. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ კონსტიტუციური სიახლის მნიშვნელობა და მისი სამეურნეო-ეკონომიკური და მორალურ-პოლიტიკური ვფექტი.

კონსტიტუცია აკანონებს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დასვენების უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მედიცინის მეცნიერებისა და სამკურნალო პრაქტიკის საუკეთესო მიღწევები მისაწვდომი უნდა გახდეს ყოველი ავადმყოფისათვის. მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების უფლება გარანტირებული უნდა იქნეს სამკურნალო დაწესებულებებისა და დასასვენებელი ადგილების საკმაო რაოდენობით და ხარისხით. ესეც ჩვენი სამოღვაწეო პროგრამის მეტად მნიშვნელოვანი სფეროა.

კონსტიტუცია აკანონებს საბჭოთა მოქალაქეების სწავლა-განათლების უფლება-მოვალეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სწავლა-აღზრდისა და პროფესიის დაუფლების პირობები. საყოველთაო და სავალდებულო საშუალო განათლებიდან რაც შეიძლება მაღე უნდა გადავიდეთ საყოველთაო და სავალდებულო უმაღლეს განათლებაზე. ეს იქნება კომუნის მშენებელი ხალხისათვის ჭეშმარიტად შესატყვისი განათლების დონე და მასშტაბი. რეალური ცხოვრება უკვე გვიჩვენებს, რომ სხვაგვარად შეუძლებელია მივყვეთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის კანონზომიერ პროგრესს.

ასეთივე ობიექტური ფაქტორის მნიშვნელობას იძენს ამ საკითხთან დაკავშირებული დიდი დღე მზარდი მორალურ-ფსიქოლოგიური კოლიზიები: ყველა ახალგაზრდას სურს უმაღლესი განათლების მიღება. ეს სავესებით კანონიერი სურვილია და განვითარებული სოციალიზმის ქვეყანას უნდა შეეძლოს ამ ბუნებრივი მისწრაფების დაკმაყოფილება. კომუნისმის საფუძვლებს ააშენებენ მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მშრომელები. ეს მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა და მან სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენს სამოღვაწეო პროგრამაში.

კონსტიტუცია აკანონებს საბჭოთა მოქალაქეთა ბეჭდვითი სიტყვის, აზროვნების, დემონსტრაციისა და კრიტიკის უფლება-მოვალეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ვადაწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და დოგმატიზმის ყოველგვარ ვადმონაშთებს ჩვენს საზოგადოებაში. უნდა მივაგნოთ თანამედროვე პირობებში ადამიანის გაუცხოების ყველა მიზეზებს, ამოვიძირკვოთ მისი ფესვები და ტენდენციები. უნდა მოვსპოთ ყველა დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლის ადამიანთა გულწრფელობას, სიმართლეს, შეგნების, სიტყვისა და საქმის ერთიანობას. კიდევ უფრო ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მშრომელი ადამიანის ყოველ კრიტიკულ აზრს, რჩევასა და წინადადებას.

კონსტიტუციის საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას კრიტიკისათვის დევ-

ნის დაუშვებლობაზე, ამის გამო პასუხისმგებლობასა და დასჯადობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ და გადაჭრით მოიხსნას ყოველგვარი შიში და მორალურ-ფსიქოლოგიური დაბრკოლება ნაკლოვანებათა მხილებისა და გამოსწორების საქმეში. ეს ჩვენი წინსვლისა და წარმოდგენების ამოუწურავი რეზერვია, რაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

კონსტიტუცია აკანონებს ბუნების დაცვისა და საარსებო გარემოსათვის ზრუნვის მოვალეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს ბრძოლა ეკოლოგიური კლიმატის აღდგენისა და გაჯანსაღებისათვის. უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს გადაუდებელი, შეურიგებელი, სახელმწიფოებრივი ბრძოლა ჰაერის, წყლისა და გარემოს მოწამვლის და გაჭუჭყიანების წინააღმდეგ. მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს ამ სფეროში დაპროექტებული ლოკალური, რეგიონალური თუ გლობალური ღონისძიებების განხორციელება. ჩვენი საქმიანობის ეს უბანი თანდათან უპირველეს სოციალურ პრობლემად იქცევა, რამდენადაც დრო არ ითმენს და უნდა დავასწროთ შეუქცევადი ნეგატიური ეკოლოგიური პროცესების დაწყებას.

კონსტიტუცია აკანონებს ადგილობრივ და უმაღლეს ორგანოებში არჩევნების დემოკრატიული ბუნების შემდგომი გაფართოების აუცილებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო გაბედულად გადავდგათ ნაბიჯი წინ ახალი საბჭოური დემოკრატიის თვისებრივი და ხარისხობრივი გაღრმავებისა და ამოღების გზაზე. ამ სფეროში ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო განვავითაროთ მაღალი იდეურობა, პრინციპულობა, შემოქმედებითი ინიციატივა. უნდა ავირჩიოთ ყოველთვის მხოლოდ ღირსეული ღირსეულთა შორის, ხოლო თვით პროცესი და ორგანიზაცია ღირსეულთა შერჩევისა ყოველთვის ისეთი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს ამომრჩეველთა ნების ყოველგვარი შეზღუდვა და იძულება, პასურობა და სტიქიურობა.

ახალი კონსტიტუციის მიღებას მოჰყვა ახალი საარჩევნო კანონის შემუშავება¹. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მისი მნიშვნელობა ორი სისტემის იდეოლოგიებისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დაპირისპირებისა და მშვიდობიანი შეჯიბრების ბედისა და შედეგისათვის.

ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი პრაქტიკული ცხოვრება და საქმიანობა უნდა გადაიქცეს ახალი კონსტიტუციის რეალურ ხორცშესხმად. მთელმა მსოფლიომ ერთხელ კიდევ უნდა დაინახოს საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილება, სოციალიზმისა და კომუნიზმის უსაზღვრო შესაძლებლობანი ხალხთა რეალური კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

საამაყო იმის შეგნება, რომ ჩვენს რესპუბლიკას ღირსეული წვლილი შეაქვს საბჭოთა ქვეყნის საერთო წარმატებაში. გასული სამეურნეო წლის შედეგები და ახალი წლის არანაკლებ მნიშვნელოვანი შრომითი ვალდებულებები, რომლებიც წარმატებებით ხორციელდება, მართო ნივთიერი და რაოდენობრივი ღირებულების შექმნას როდი ნიშნავს. ამ მატერიალური დოვლათისა და ნივთიერი ღირებულებების მიღმა ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნება და ორგანიზაციული სიბეჯითე. ამ წარმატებებსა და ვალდებულებებში ჩანს ქართველი კაცის მოუღლევი მარჯვენის მაღლი და ბარაქა, ხელსაყრელი გარემოსა და ალალი შრომის მთელი სიკეთე.

ჩვენი შემდგომი წინსვლა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავზრდით

¹ ეს კანონი ქვეყნდება ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერში.

შრომის ნაყოფიერებას და როგორ დაეხვეწოთ და გავაუმჯობესებთ წესრიგსა და დისციპლინას. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ საქმეში ახალი კონსტიტუციის ცხოველმოქმედება, რომელიც ბეჯითი სწავლისა, შემოქმედებითი შრომისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების პირობებს ქმნის.

სწორედ ეს სამი მთავარი ბერკეტი უზრუნველყოფს სოციალურ პროგრესს ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური ბანაკის ძლიერებაზე კი ბევრად არის დამოკიდებული საერთოდ მთელი ცივილიზაციისა და კაცობრიობის ხსნა მოახლოებული ეკოლოგიური, დემოგრაფიული თუ მილიტარისტული საშიშროებებისაგან.

მხოლოდ სოციალისტური ცხოვრების წესი, გვემიანი, დემოკრატიული და ჰუმანური საზოგადოება შეძლებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებას ადამიანის სასარგებლოდ. დემოკრატიის სრულყოფა, კანონიერების, აგრეთვე დისციპლინის განმტკიცება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ის სტრატეგია და ტაქტიკაა, რომელსაც შეუძლია როგორც შინაგანი, ისე გარეშე ძალების დარაზმვა ჩვენს პლანეტაზე ადამიანის საარსებო პირობების დაცვისათვის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალი მსოფლიო ომის საშიშროებას საიმედოდ ეღობება წინ საბჭოთა სახელმწიფოს და მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშვიდობიანი სავარუდო პოლიტიკა, მძლავრი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი. მაგრამ მსოფლიო ომზე ნაკლები საშიშროება როდია ეკოლოგიური კრიზისი, ჰაერის, წყლისა და გარემოს მოწამვლა, რომლის საბოლოო შეჩერება და თავიდან აცილება არ შეუძლია კაპიტალისტურ საზოგადოებას. კერძო საკუთრებისა და მოგების ინტერესი საბოლოო ანგარიშით ყოველთვის სძლევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ჰუმანურ ინტერესებს. ამ უმთავრესი და გადაუდებელი პრობლემის მოგვარება შეიძლება მხოლოდ ჰუმანური საზოგადოების პირობებში. ჯერ კიდევ მარქსი ამბობდა, რომ კომუნისში — ეს არის რეალური ჰუმანიზმი. მხოლოდ სოციალიზმსა და კომუნისში შეუძლია იხსნას კაცობრიობა.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია კომუნისში მშენებელი ხალხის კონსტიტუცია, მათი რეალური უფლებებისა და მოვალეობების დიადი ქარტიაა, რომლის ყოველი პუნქტი და დებულება თანამედროვე მსოფლიოს სოციალურად და მორალურ-პოლიტიკურად დაძაბულ ატმოსფეროში ჟღერს როგორც ადამიანის ღირსეული ცხოვრების იდეალთა ჰარმონია.

ჩვენი სახელოვანი საქმეები ახალი კონსტიტუციის უნაკლო განხორციელებაში მტრებსაც კი დაარწმუნებს, რომ კომუნისში გამარჯვება გარდაუვალია, რომ მხოლოდ კომუნისშია დედამიწის ცივილიზაციის ოპტიმალური სოციალური მოდელი, რომელიც გამოირიცხავს ომის შესაძლებლობას, ბოლოს უღებს უსამართლობას, სიღატაკს, უვიცობას და უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმართვას ადამიანთა საკეთილდღეოდ.

ასეთია ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს მოღვაწეობისა და ყოველი ჩვენთაგანის პასუხისმგებლობა მომავალი თაობებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე. ისტორია იქნება ჩვენი საქმეების მიუკერძოებელი მსაჯული.



სამართლის პროკურატორის და სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების ამოცანები

წ. რაბინანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

სკკპ XXV ყრილობის დოკუმენტებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი კანონმდებლობის სრულყოფას, მართლწესრიგის განმტკიცებას, საბჭოთა სამართლისა და ზნეობრივი ნორმების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრას.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის მწყობრ სისტემას. ამ საქმისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა სადირექტივო ორგანოების დადგენილებას — „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრივი დარაზმვის ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე მის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას. ამ დოკუმენტებმა განსაზღვრეს სამართლებრივი პრობლემების სფეროში მთელი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, მისი ორგანიზაციის კონკრეტულ გზები და მეთოდები.

სამართლებრივი აღზრდის არსი ის არის, რომ ჩაუნერგოს მოქალაქეებს სამართლისადმი, კანონის მოთხოვნებისადმი პატივისცემის გრძნობა.

ღონისძიებები სამართლებრივი აღზრდის დარგში, რომლებსაც უკვე მოაქვთ გარკვეული დადებითი შედეგები, ამჟამად ხორციელდება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლივი მეცადინეობით. მათ უაღრესად მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, პრესასთან, სამეცნიერო, სსსრ-ულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამის შედეგად არის ის, რომ, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, ჩვენს რესპუბლიკაში სამართალმა კვლავ შეიძინა სოციალური ღირებულება.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, თუ რა როლი იკისრია სამართლებრივ აღზრდას ახალგაზრდობის სოციალური აქტიურობის ამოღებაში. ამ დებულების რეალიზაციის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სკოლებში, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემოღებულია „საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველების“ საფლდებულო სწავლება. ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის გამოყენებულია მუშაობის სხვადასხვა ფორმა: შეხვედრები სწავლულებთან, პრაქტიკოსებთან, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, ვიქტორინები; ჩამოყალიბებულია სამართლებრივი ლექტორიუმები, ნორჩ იურისტთა სექციები პიონერთა სასახლეებთან და

სახლებთან; საჯაროდ იხილავენ სამართლებრივი თემებისადმი მიძღვნილ კინო-ფილმებს და სხვა.

სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მშრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში მეტად დიდია მასობრივი ინფორმაციის ორგანოების როლი.

უკანასკნელ ხანს საქმიანობა ამ მიმართულებით საგრძნობლად გააქტიურდა. პრესაში გამოქვეყნებული, რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალები ძირითადად ექმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს და ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, დამნაშავეობის პროვოცირებას, მისი თავიდან აცილების საქმეში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას.

ყველა ვაზეთში იბეჭდება საინტერესო მასალა სამართლებრივ თემებზე, შემოღებულია რუბრიკები: „დამნაშაულობათა კვალდაკვალი“, „წესრიგი ჩვენს ვარშემო“, „დავიცვათ მორალური კოდექსი“, „გაზეთმა გამოაქვეყნა, რა გაკეთდა?“, „სახელმწიფო ავტონისპექციის კუთხე“, „გვეკითხებით — გზასუხობთ“, „ჩვენი სამართლებრივი ლექტორიუმი“, „იურიდიული კონსულტაცია“, „სასამართლოს დარბაზიდან“, „ნამდვილად სახალხო“, „გზებსა და გზაჯვარედინებზე“ და სხვა.

მიუხედავად ამისა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობანი მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში ჯერ კიდევ მთლიანად ვერ არის გამოყენებული. პუბლიკაციებისა და გადაცემების თემატიკა შეზღუდულია, ყოველთვის არ შეესაბამება წაყენებულ ამოცანებსა და მოთხოვნებს. სათანადო ყურადღება არ ეთმობა სამოქალაქო, საბინაო, საოჯახო და სხვა მართალურთიერთობათა ანუ სამართლის იმ დარგების ფართოდ გაშუქებას, რომლებზეც ყველაზე მეტი რაოდენობის საკითხი აღედგრის მოსახლეობას. ახლა, როცა რაოდენობრივი თვალსაზრისით სამართლებრივი თემები ყურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში დამაკმაყოფილებელია, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გამოქვეყნებულ მასალათა ხარისხს, ვინაიდან ბევრ პუბლიკაციაში კიდევ ვხვდებით ცალკეულ მიუტყვებელ იურიდიულ შეცდომებს თუ უზუსტობებს.

ლექციური პრობაგანდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სამართლებრივი აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

ამ მხრივ ჩვენთან ბევრი რამ კეთდება. ყოველწლიურად სამართლებრივ თემებზე იკითხება რამდენიმე ათასი ლექცია, მაგრამ ხშირად აქაც ვაწყდებით ფორმალისმის ფაქტებს. ამასთან, შორეული რაიონების მოსახლეობასთან, აგრეთვე შრომით კოლექტივებში ლექტორები წლების მანძილზე არ ჩადიან.

ამ საქმიანობაში ყველგან და ყოველთვის არ არიან ჩაბმული მომზადებულები, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ლექტორები, ამიტომ მათ მიერ წაკითხული ლექციების ხარისხი დაბალია, ზოგჯერ ლექციები იკითხება არააქტუალურ თემებზე და მოძველებული ტექსტების მიხედვით. საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ ლექციების წინასწარი რეცენზირებისათვის. ლექციაში ყოველთვის არ არის ნაჩვენები სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების კონკრეტული ამოცანები და ვზები, კოლექტივებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში კანონიერების დაცვის მდგომარეობა და სხვ. სათანადო ყურადღება არ

ეთმობა ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ანტიხალხური არსის მხილებას.

ვანსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ლექციური პროპაგანდა შრომისა და მიწის კანონმდებლობის დარგში.

მშრომელთა სამართლებრივ აღზრდაში ასევე დიდი სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების როლი.

უნივერსიტეტები თავიანთ საქმიანობას, ჩვეულებრივ, წარმართავენ სანიმუშო სასწავლო თემატური გეგმის საფუძველზე, იყენებენ სწავლების სხვადასხვა ფორმასა და მეთოდებს, ჯგუფებს და ფაკულტეტებს ქმნიან მსმენელთა დაინტერესების გათვალისწინებით.

ამჟამად რესპუბლიკაში არის 65 ასეთი უნივერსიტეტი, რომლებშიც გაერთიანებულია 10 ათასამდე მსმენელი. უნივერსიტეტების მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. კერძოდ, არ ეწყობა სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, სათანადო ყურადღება არ ეთმობა თვალსაჩინოების გამოყენებას, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული მსმენელთა მომზადების დონე, ხშირად ისინი არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ლიტერატურით. არ ხორციელდება საჭირო დონისიძებანი მათი ქსელის გასაფართოებლად, ვანსაკუთრებით სოფლად. ყოველივე ამის გამო, სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები ჯერ კიდევ ვერ გადაიქცნენ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის, მათი იურიდიული კულტურის ამაღლების კერებად.

სამართლებრივ პროპაგანდაში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სამდღიური, ზუთდღიური, დეკადა, კითხვა-პასუხის საღამო, წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებთან მშრომელთა შეხვედრა. სამართლებრივი აღზრდის ეს ფორმები მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში და დიდი სარგებლობა მოაქვს. აქვე არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ეს ღონისძიებები ყოველთვის სათანადო დონეზე არ იმართება, ზოგჯერ მათ აკლია მიზანდასახულობა.

შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებში მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკითხების გათვალისწინებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ მხრივ გაწეული მუშაობა გარკვეულად განაპირობებს კოლექტივების წარმატებებს. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოებს თავისდროზე მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები ამის თაობაზე, ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელელი დღემდე არ იჩენს დაინტერესებას ამ საკითხის მიმართ.

სამართლებრივი აღზრდის პროცესის სწორი, გააზრებული ორგანიზაციისათვის შემუშავებულია პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპლექსურ ღონისძიებათა მთელი სისტემა კონკრეტული გეგმის სახით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1977 წლის 15 მარტის დადგენილებით.

სამართლებრივი აღზრდის დარგში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობამ, მათი მუშაობის კოორდინაციისა და მეთოდიკური ხელმძღვანელობის აუცილებლობამ მოითხოვა შექმ-

ნილიყო ერთიანი ორგანიზაციული ცენტრი. საკავშირო მასშტაბით ასეთი გამართიანებელი ცენტრია სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭო. ასეთივე საბჭოები შექმნილია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებთან, აგრეთვე ოლქებისა და მხარეების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების იუსტიციის განყოფილებებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია სამართლებრივი პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების შექმნა რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებშიც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1977 წლის 23 აგვისტოს დადგენილებით მოიწონა საბჭოს სანიმუშო დებულება, პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს დაავალა საბჭოების ჩამოსაყალიბებლად მუშაობის დამთავრება იმავე წლის 1 სექტემბრისათვის. საბჭოების თავმჯდომარეებად რეკომენდაცია გაეწიათ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, რომლებიც იდეოლოგიურ მუშაობას ხელმძღვანელობენ. ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა კიდევ ერთხელ მოწმობს პარტიის ზრუნვას მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისათვის, კანონის ავტორიტეტის ამაღლებისა და სოციალური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის. ახალ რგოლზე ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლების საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა.

არსებითად, საბჭოები უნდა გადიქცნენ არა მარტო საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის ორგანოებად, არამედ ამავე დროს უნდა გახდნენ აღმასრულებელი ორგანოებიც, რომლებიც ადგილებზე პრაქტიკულად წარმართავენ მთელი სამართლებრივი პროპაგანდის პროცესს, უხელმძღვანელებენ სამართლებრივი აღზრდის ყველა ასპექტს. მათ უნდა შეისწავლონ და განაზოგადონ მოსახლეობის სამართლებრივი მომზადების დონე, ყოველ უბანზე შეამოწმონ, თუ როგორ იცავენ კანონიერებას რეალურად, გავლენა მოახდინონ ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

რაიონული და საქალაქო საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების საქმიანობა ხორციელდება საბჭოს სანიმუშო დებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ შეისწავლა, თუ რა საქმიანობა გასწიეს სამართლებრივი პროპაგანდის და სამართლებრივი აღზრდის რაიონულმა და საქალაქო რგოლებმა ჩამოყალიბების დღიდან. გამოირკვა, რომ მუშაობას ისინი წარმართავენ კვირტალური და წლიური საშუალო ვეგმების მიხედვით, რომ საბჭოების სხდომებზე იხილება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის: სახელმწიფო და სამართლის საფუძვლების სწავლების მდგომარეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; არასრულწლოვანთა დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების დებულებათა პროპაგანდის გაძლიერების შესახებ. ახალგაზრდობის, აგრეთვე ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში მომუშავე მუშაკთა სამართლებრივი კულტურის ამაღლების შესახებ და სხვ. ქალაქ-



ბის: ბათუმის, ჭიათურის, წყალტუბოს, თბილისის კიროვისა და ოქტომბრის რაიონების საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოები ნაცოფიერად და შინაარსიანად მუშაობენ. ქ. ბათუმის საბჭოს შედგენილი აქვს კომპლექსურ დონისძიებათა გეგმა. გაიმართა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის კვირეული დღეებით: „დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკა მთელი საზოგადოების ამოცანაა“. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სწავლების, აგრეთვე მოსახლეობაში მის პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით მოეწყო საქალაქო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მე და კანონი“. ქ. წყალტუბოს საბჭომ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკებისათვის ჩაატარა თეორიული კონფერენცია სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებზე.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის საბჭომ შეისწავლა სკოლებში „საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების მიმდინარეობა და მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც დაეგზავნა სკოლებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებს.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის საბჭომ პარტიის რაიონის განსახილველად მოამზადა წარმოება-დაწესებულებებში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაციული ორგანოების როლის ამაღლების საკითხი.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა ქ. ჭიათურის საბჭომ, რომელმაც ქალაქის მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში, შახტებში, სამთამადნო კომბინატში, მადართსამმართველოში, მანდაეთისა და უსახელოს საბჭოთა მეურნეობებში, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში შექმნა ანალოგიური საბჭოები.

ამასთან ერთად შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქალაქებისა და რაიონების საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების საქმიანობაში ბევრი სერიოზული ნაკლოვანებებია.

ჯერ ერთი, სადირექტივო ორგანოების დადგენილებით სათანადო ორგანიზაციული მუშაობა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების შესაქმნელად უნდა დამთავრებულიყო 1977 წლის 1 ოქტომბრამდე. მიუხედავად ამისა, საბჭოები დაწესებულ ვადებში არ ჩამოყალიბდა ცხაკაიას, გორის, კასპის, ქ. თბილისის კალინინის რაიონებში. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში საბჭოს ფუნქციები შეუთავსეს რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს. ბუნებრივია, რომ ამან გავლენა მოახდინა საბჭოების მუშაობის ხარისხიანად წარმართვაზე. საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოებს ევალებოდათ მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურ საბჭოსთან გარკვეული მეთოდური ორგანიზაციული დახმარების და ინფორმაციის ურთიერთ მიღების მიზნით. სამწუხაროდ ასეთი კონტაქტი ჯერ კიდევ არ არსებობს. ანითაც უნდა აიხსნას. რომ საბჭოს თხოვნის მიუხედავად რესპუბლიკაში არსებული 90 საბჭოდან, ინფორმაციები საბჭოს შემადგენლობისა და სამუშაო გეგმის შესახებ მხოლოდ სამოცმა მოგვაწოდა. ასეთი ინფორმაციები არ გამოგზავნეს ბორჯომის, ვანის, ქარელის, ვალის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მახარაძის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, წულუკიძის, წითელწყაროს და ხობის რაიონების საბჭოებმა. გეგეჭკორის, დუშეთის, ზესტაფონის, ლენტეხის, ქარელის, ყვად-

ლის, ცაგერის რაიონების საბჭოებმა კი ინფორმაციები გამოგზავნეს მხოლოდ შემადგენლობის შესახებ.

მიღებული მასალების გაანალიზებით გამოირკვა რომ ზოგიერთი საკორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭო სწორად არ არის დაკომპლექტებული. მაგალითად, წალენჯიხის რაიონში საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს რაიონის პროკურორი, კასპის რაიონის საბჭოს შემადგენლობაში პროკურორი და სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე არ აურჩევიათ, ხოლო გარდაბნის რაიონის საკორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს შემადგენლობაში არ შეიყვანეს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომისა და განათლების ორგანოთა მუშაკები.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა საკორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ 1978 წლის 7 იანვრის გაფართოებულ სხდომაზე მიიღო რეკომენდაციები — სამართლებრივი პრობაგანდის და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის რაიონული (საქალაქო) საკორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების მუშაობის ორგანიზაციისა და ამოცანების შესახებ, რომელიც დაიგზავნა ადგილებზე. საბჭოების საქმიანობის გაცნობამ გამოავლინა, რომ მათ უმრავლესობას არც განუხილავს აღნიშნული რეკომენდაციები და არ დაუსახავს ღონისძიებები. საბჭოების სამუშაო გეგმები საჭიროებენ კორექტირებას, ისინი შემუშავებულია რაიონში არსებული ოპერატიული მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, უმთავრესად ითვალისწინებენ ისეთ ღონისძიებებს (ლექციების ჩატარება, კითხვა-პასუხის საღამოების, ლექტორის დღეების მოწყობა და სხვა), რაც საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაციების უშუალო მოვალეობაა (მესტიისა და გარდაბნის რაიონები).

საბჭოებს ევალეობათ სამართლებრივი პრობაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის დარგში მუშაობის გაანალიზება და კორდინაცია, ხოლო საბჭოების უმრავლესობას გეგმებში ასეთი საკითხი შეტანილი არა აქვს. გათვალისწინებული არ არის აგრეთვე სამართლებრივი აღზრდის სფეროში ჩატარებულ ღონისძიებათა ხარისხის შესწავლა. საბჭოები არ იჩენენ დაინტერესებას იმისადმი, არის თუ არა საწარმოთა სოციალური განვითარების გეგმებში გათვალისწინებული სამართლებრივი აღზრდის პრობლემები. რა ღონისძიებები ხორციელდება ადგილობრივი დანაშაულის პროფილაქტიკისათვის და სხვა.

ზოგიერთი საბჭოს ორგანიზაციული მუშაობა არ შეესაბამება ლებულეობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რეგულარულად არ იწვევენ სხდომებს ქ. გორისა და მისი რაიონის, ცხაკაიას, ყვარლის, მესტიის საკორდინაციო საბჭოები. შექმნის დღიდან მათი საქმიანობის გაცნობის მომენტისათვის მხოლოდ თითო სხდომა ჰქონდათ ჩატარებული. არც ერთი სხდომა არ მოუწვევიათ გარდაბნის, ქარელის, კასპის, ლავოდების, წალენჯიხის, ხაშურის რაიონების, ქ. თბილისის კალინინის რაიონის საკორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოებს. ქ. გორის საკორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხებიდან შეისწავლა და განიხილა მარტო ერთი საკითხი. განხილულ საკითხებზე ზოგიერთი საბჭო არ ლებულობს შესაბამის რეკომენდაციებს.

გარკვეულწილად ეს ნაკლოვანებები იმით არის განპირობებული, რომ იდეოლოგიური მუშაობის ამ რეოლში სათანადოდ არ აქტიურობენ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, აგრეთვე იმითაც, რომ სამოქალაქო და რაიონულ საბჭოებს საჭირო დახმარებას არ უწევს რესპუბლიკური საბჭო. ამ

ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში გამოსწორებისა და მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის აუცილებელია რაიონისა და ქალაქების საკოორდინაციო-მეთოდოლოგურმა საბჭოებმა შეიმუშაონ სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის პერსპექტიული და ყოველკვარტალური საუწყებათშორისო გეგმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამართლებრივი აღზრდის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, აგრეთვე ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ღონისძიებანი.

საბჭოებმა სამუშაო გეგმებში უნდა შეიტანონ სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის აქტუალური საკითხები, უწინარეს ყოვლისა კი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროპაგანდის გაძლიერება. მისი დებულებანი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მიღივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „მთლიანად უნდა დამკვიდრდეს ყველა სახელმწიფო ორგანოს, ყველა თანამდებობის პირის, ყველა საბჭოთა მოქალაქის ყოველდღიური საქმიანობის ცოცხალ პრაქტიკაში“. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა ფორმა და საშუალება, კერძოდ, შეიქმნას ლექტორიუმები, შესაბამისი რუბრიკები პრესაში, ვაიმართოს ლექციები და საუბრები, როგორც უშუალოდ აუდიტორიებში, ისე დაწესებულებებში მოეწყოს სამართლებრივ თემებზე კინოფილმების ჩვენება, გამოფენები კულტურის სახლებში, სასახლეებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონსტიტუციის საკითხებზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებისა და გამოსვლების მნიშვნელობის გაშუქებას, მოსახლეობისათვის იმ თვისებრივი და მოსვლურული მნიშვნელობის განხილვას, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა თავისი განვითარების უკანასკნელ ოთხ ათწლეულში. ლექციებსა და საუბრებში კონკრეტული მასალების გამოყენებით დამაჯერებლად უნდა ცხადვყოთ საყოველთაო-სახალხო დემოკრატიის უპირატესობანი და მონაპოვრები, მოქალაქეებს შევუქმნათ დასაბუთებული და სრული წარმოდგენა კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პრინციპების, აგრეთვე ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სისტემის ახსნა-განმარტების დროს აუცილებელია მომარჯვებული იქნეს თვალსაჩინოებანი.

საბჭოებმა ყოველნაირად უნდა აამაღლონ ლექციური პროპაგანდის დონე, უფრო მეტი იზრუნონ თემატიკის შერჩევისათვის, მოაწყონ ლექციათა თეზისებისა და ტექსტების მოსმენა, მათი რეცენზირება, შეისწავლონ მსმენელთა შეკითხვები და წინადადებები, პრაქტიკაში დანერგონ დადებითი გამოცდილება.

მოსახლეობას სისტემატურად უნდა განემარტოს სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა, ფუნქციები, მათი საქმიანობა და კომპეტენცია, მოქალაქეთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების გადაწყვეტის წესის სიახლენი შრომითი, საბინაო, სამოქალაქო, საკოლმეურნეო, საოჯახო სამართალში, ახალი საკანონმდებლო ნორმები ბუნების დაცვისა და მისი სიმდიდრის რაციონალური გამოყენების შესახებ.

საბჭოებმა უნდა გაააქტიურონ გავრცელებულ სამართლისა და მორალის შტატგარეშე განყოფილების, მსხვილ საწარმოებსა და მეურნეობებში საზო-

გადოებრივი იურიდიული საბჭოების საკონსულტაციო პუნქტების მუშაობა, ხოლო იქ, სადაც ასეთი რგოლები არ არის, მოავგარონ მათი შექმნის საკითხი, დროდადრო გააანალიზონ პრესისა და რადიოს მუშაობა სამართლებრივი პროპაგანდის სფეროში.

საბჭოები მოვალენი არიან მაქსიმალურად გააფართოონ სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი როგორც რაიონულ ცენტრში. ისე საწარმოებსა და მეურნეობებში, რათა მათში გაერთიანდნენ მშრომელთა უფრო ფართო მასები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო აქტივი, ამხანაგური სასამართლოების წევრები, სახალხო რაზმელები, სახალხო სასამართლოების მსაჯულები.

საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებამ ხელი უნდა შეუწყოს სამართალმცოდნეობის კურსის სწავლების დონის ამაღლებას. ახალგაზრდობისათვის საჭიროა პერიოდულად მოეწყოს სამართლებრივ თემებზე დისკუსიები, ვიქტორინები, სპექტაკლებისა და კინოფილმების, ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა.

საბჭოებმა აუცილებლად უნდა მიაღწიონ იმას, რომ შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დონისძიებათა გეგმებში გაითვალისწინონ მუშათა და მოსამსახურეთა სამართლებრივი აღზრდის კონკრეტული დონისძიებანი, მონაწილეობა მიიღონ ამ გეგმების შემუშავებაში. გეგმების შემუშავებისას ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოო მაჩვენებლები, ამ თბიექტებზე სამართალდარღვევათა მიზეზებისა და პირობების შესწავლისათვის გაწეული ანალიტიკური მუშაობის შედეგები და სხვა. საბჭოები მოვალენი არიან რეგულარულად შეისწავლონ ადმინისტრაციული ორგანოების, სახალხო რაზმელების, ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის პრაქტიკა პროფილაქტიკის სფეროში, რათა ეს მონაცემები გაითვალისწინონ სამართლებრივი პროპაგანდის საერთო დონისძიებათა დაგეგმვის დროს.

საჭიროა უფრო ფართოდ და აქტიურად გამოვიყენოთ სამართლებრივი აღზრდის უკვე აპრობირებული ფორმები: როგორც არის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ხუთდღიურები, კვირეულები, დეკადები, კითხვა-პასუხის საღამოები; მშრომელთა და სასწავლებლების კოლექტივების შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერებთან, ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან. ამავე დროს საბჭოს სხდომებზე აუცილებელია რეგულარულად მოისმინონ საწარმოების, დაწესებულებების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობის შესახებ და შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით რაიონული და საქალაქო საკორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

მექრთამეობის საქმიანობის გამოძიებისა და განხილვის ზოგადი საკითხი*

მ. ზ. ანაზინი,

თორღიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მ. ა. მარაზცოვი,

თორღიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

მექრთამეობა სოციალისტური წყობილებით ისეთ უცხო მოვლენებს მიეკუთვნება, რომლის აღმოფხვრას ჩვენს ქვეყანაში უპირველესი ყურადღება ექცევა.

მექრთამეობის შესახებ ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები გვიჩვენებს, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ხანდახან დამაკმაყოფილებლად იბრძვიან ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ. მაგრამ ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და განხილვისას ზოგჯერ უშვებენ შეცდომებს. ეს იმის მიზეზიც არის, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ყოფილა მიღებული სახელმძღვანელო განმარტებები მექრთამეობის საქმეთა პრაქტიკის შესახებ, ლიტერატურაში კი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებია გამოთქმული.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, როცა 1977 წლის 23 სექტემბერს თავისი პლენუმის მსჯელობის საგნად აქცია მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და მიიღო ახალი სახელმძღვანელო განმარტებანი „მექრთამეობის საქმეთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, ეს დადგენილება უთუოდ ხელს შეუწყობს მექრთამეობის საქმეთა გამო სამართალშეფარდების პრაქტიკის გაუმჯობესებას და ახალ სტიმულს მისცემს ამ დანაშაულობასთან ბრძოლის გააქტიურებას.

დღემდე მოქმედ 1970 წლის დადგენილებასთან შედარებით ახალი დადგენილება მთელ რიგ კონსტრუქციულ ნოველებს შეიცავს.

მაგალითად, ბოლო ხანებამდე სადისკუსიო საგანი იყო საკითხი — უნდა დაბრუნებოდა თუ არა ქრთამის მიმცემს ქრთამის სახით მიცემული ფული ან სხვა ფასეულობანი, თუ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. პრაქტიკაში ეს საკითხი არაერთგვაროვნად წყდებოდა. ამჟამად ამ საკითხზე არის მკაფიო და ამომწურავი განმარტება. ახალი დადგენილების მე-13 პუნქტში ნათქვამია, რომ ჩამორთმეული ფული და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ქრთამის საგანს წარმოადგენდნენ და ნივთიერ მტკიცებულებად იყო მიჩნეული, უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში.

ეს დებულება ვრცელდება მექრთამეობის სრულიად სხვადასხვა შემთხვევაზე, დამოუკიდებლად იმისა, მიყვანილია თუ არა დანაშაული თავის ლოგიკურ დასასრულამდე, მიცემულია თუ არა ქრთამის მიმცემი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ან შეწყდა თუ არა საქმე მის შესახებ საქართველოს

* სტატია დაწერილია ჩვენი ჟურნალისათვის.

სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად (ე. ი. ჩადენილი დანაშაულის ნებაყოფლობითი განცხადების შემთხვევაში ან მისგან ქრთამის გამოძალვის ფაქტის დადგენისას).

სახელმწიფოს შემოსავალში ფულის ან ფასეულობათა ჩარიცხვისათვის აუცილებელია ორი პირობა: პირველი — საქმესთან დაკავშირებით ჩამორთმეული ნივთები ან ფასეულობანი უნდა წარმოადგენდნენ ქრთამის მიცემადების საგანს. მეორე — ისინი უნდა ჩაითვალოს ნივთიერ მტკიცებულებებად. მართალია, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების ხსენებული დებულების ფიქსირებულ საერთო წესში დაშვებულია ერთი არსებითი გამონაკლისი, იგი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ქრთამის მიმცემის მიმართ ხდება გამოძალვა და მან ნებაყოფლობით განაცხადა ეს ქრთამის გადაცემამდე. ამ დროს, როგორც დადგენილების მე-12 პუნქტი განმარტავს, ფული ან სხვა ფასეულობანი უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელს.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ორგანოს ეს პოზიცია სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ.

საკითხის ამგვარ გადაწყვეტას მყარი სამართლებრივი, მეცნიერული საფუძველი აქვს და მართებულ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკას ემყარება. იგი დროული და მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ მოუწოდებს მოქალაქეებს აცნობონ ხელისუფლებას ქრთამის გამოძალვის ყოველი ფაქტი. მაგრამ უფრო მკაფიოდ რომ გავერკვეთ ამ სახელმძღვანელო მითითებაში, სწორად მოვახდინოთ პრაქტიკაში მისი რეალიზაცია, თავიდან ავიცილოთ შესაძლებელი შეცდომები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება მასში ასახული ძირითადი იდეების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ, ამ განმარტების შესაბამისად, ქრთამის სახით გადაცემული ფულის ან ფასეულობის დაბრუნება მათი კანონიერი მფლობელისათვის, რამდენიმე პირობას გულისხმობს. სახელდობრ, იგი შეიძლება განხორციელდეს ქრთამის გამოძალვისას და თუ პირი, რომელსაც ქრთამი გამოსძალეს, ნებაყოფლობით განაცხადებს ამას.

მაგრამ მარტოოდენ ეს პირობებიც არ კმარა მართებული გადაწყვეტილების მიღებისათვის. საჭიროა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაც: ნებაყოფლობითი განცხადება უნდა მოხდეს ქრთამის გამომძალველისათვის ფულის ან სხვა ფასეულობათა გადაცემამდე.

იქედან ჩანს, რომ განხილული განმარტებები უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ დიფერენციულად მივუდგეთ ჩადენილის შეფასებას ორ შედარებით უფრო დამახასიათებელი სიტუაციისადმი, რომლებიც იქმნება მექრთამეობის საქმის გამო. ჩვენი აზრით, ისინი ერთ შემთხვევაში განპირობებულია დამთავრებული ან დაუმთავრებელი დანაშაულით, რაც მოხდა ქრთამის მიმცემის განზრახვისა და მისი მოქმედებისაგან დამოუკიდებლად, მეორე შემთხვევაში — დაუმთავრებელი დანაშაულით, იმ პირის მიერ გამოჩენილი ინიციატივის წყალობით, რომელსაც ქრთამს სძალავდნენ.

ერთი შეხედვით, უკანასკნელი აბზაცი შეიძლება ზუსტი არ მოგვეჩვენოს, რამდენადაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში იმ გარემოებათა განმარტებისას, რომლებიც კანონიერი მფლობელისათვის ფულის ან სხვა ფასეულობათა დაბრუნების საფუძველზე ხდება. ლაპარაკია მათი შესრულებული გადაცემის შესახებ, თუნდაც იმის შემდეგ, როდესაც

საც გამოძალვის თაობაზე მოხდა ნებაყოფლობითი განცხადება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ იგულისხმება დაუმთავრებელი დანაშაულის განსაკუთრებულ შემთხვევა, რომელიც სპეციალურ დაწვრილებით განხილვას მოითხოვს.

კარგად არის ცნობილი, რომ ხშირად მოქალაქენი ნებაყოფლობით მიმართავენ სისხლის სამართლის ორგანოებს, რათა დაიცვან ისინი გარკვეული, თანამდებობის პირთა კანონსაწინააღმდეგო შევიწროებისაგან, რომლებიც მათ ქრთამს გამოსძალვეს და მოითხოვენ შეწყვიტონ უკანასკნელთა დანაშაულებრივი ქმედობა. ასეთ სიტუაციებში, თუ არის მონაცემები, რომლებიც ადასტურებს შეტანილი განცხადების საფუძვლიანობას, ორგანო, რომელსაც განმცხადებელმა მიმართა; ჩვეულებრივ უზრუნველყოფს კონტროლს მოთხოვნილი ფულის ან სხვა ფასეულობის გადაცემისადმი.

ამგვარი ოპერაციის კვალიფიციურად და ობიექტურად შესრულება იმის საშუალებას იძლევა, რომ მაკონტროლებელი ორგანო აშკარად დარწმუნდეს იმ ფაქტის რეალობაში, რომლის თაობაზეც შეტანილია განცხადება, ყოველმხრივ და სრულად შეაფასოს იგი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „ქრთამის გადაცემის“ ასეთი კონტროლის შედეგად მიღებულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობით, ჩვეულებრივ, იძლევა დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის საფუძველს.

პირველი საკითხი, რომელიც ხშირად წამოიჭრება ხოლმე ასეთ მოქმედებათა შეფასებისას, ეხება მათს დასაშვებლობას. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოთა ზოგიერთი მუშაკი, აგრეთვე ბრალდებულთა დამცველები, ზოგჯერ ამ მოქმედებას, პროვოკაციად მიიჩნევენ, რომელიც თითქმის ფაქტიურად ხელს უწყობდეს დანაშაულის ჩადენას, ეწინააღმდეგებოდეს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს და დანაშაულის თავიდან აცილების ამოცანას. ასეთი აზრი გამოთქვა, მაგალითად, ქ. შიმკენტის ზიბეკმინსკის რაიონის სახალხო სასამართლომ — ზ.-ს საქმის გამო გამოტანილ კერძო განჩინებაში მილიციის მუშაკთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულის მხილებაში მონაწილეობდნენ.

ამ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით შემდეგი მოსაზრების გამო.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს, გამომძიებელს, მოკვლევის ორგანოს მუშაკს და მოსამართლეს თუ არის საბაბი და საფუძველი, აკისრებს მოვალეობას, არა მარტო აღძრას სისხლის სამართლის საქმე, არამედ აგრეთვე მიიღოს ღონისძიებანი დანაშაულის თავიდან აცილების ან შეწყვეტისათვის და მისი კვალის გამაგრებისათვის.

განხილულ შემთხვევაში ლაპარაკია სწორედ არა დანაშაულის ხელოვნურად შექმნაზე, არამედ, ერთი მხრივ, ქრთამის ამღების დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტის მომენტის განსაზღვრაზე და ამავე დროს მის მიერ დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობის შემცველი უკვე ჩადენილის კვალის გამაგრებაზე. ამით, როგორც საფუძვლიანად არის აღნიშნული ლიტერატურაში, უზრუნველყოფთ დამნაშავის მხილების ამოცანის რეალურ გადაწყვეტას,

სისხლის სამართლის საქმის გამო კანონის სწორ შეფარდებას და დანაშაულის იცილებას.¹

იმ დასკვნას, რომ კონტროლირებული, „ქრთამის მიცემის“ ოპერაციის დროს არის პროვოკაციის ელემენტები, როგორც ჩანს, საფუძველი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა ეს ოპერაცია ეწყობა არა უკვე მომხდარ გამოძალვასთან დაკავშირებით, არამედ მაშინ, როდესაც ესა თუ ის პირი, რეალური ფაქტების გარეშე, უსაფუძვლოდ არის ექვემდებარებული მეჭრთამეობაში.

პროვოკაციად უნდა შეფასდეს ქრთამის ხელოვნურად გადაცემა იმ მიზნით, რომ აშკარად უდანაშაულო პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცენ ან შეარცხვინონ. ამრიგად, ეგრეთ წოდებული კონტროლირებული „ქრთამის მიცემის“ ჩატარებას ასაბუთებენ, თუ მას აკეთებენ, ჯერ ერთი მას შემდეგ, როდესაც მოხდა ქრთამის გამოძალვის ფაქტი, რის შესახებაც, პირი, რომელსაც იგი, გამოძალვს, აცხადებს სათანადო კომპეტენტურ ორგანოში; მეორე მხრივ, იმ მიზნით, რომ ამხილონ გამოძალველი, შეწყვიტონ მისი დანაშაულებრივი საქმიანობა და აიცილონ ახალი დანაშაულობანი.

ხოლო კანონიერ მფლობელთათვის, მტკიცებულებად გამოყენებული ფულისა და სხვა ფასეულობათა დაბრუნების საჭიროება შემდეგი გარემოებებით საბუთდება. პირველ ყოვლისა, რეალურად არ არის ქრთამის მიცემი, თუმცა არის პირი, რომელიც ქრთამის მიმღების თვალში ასეთ ფიგურად ისახება. თვით ის ფაქტი, რომ შეპირებულ საგანს ღებულობს პირი, რომელსაც სურდა ქრთამის მიღება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სწორედ ქრთამის რეალური მიღება მოხდა, რადგანაც ეს ხდება იმ პირის ნებაყოფლობითი განცხადების შემდეგ, რომელსაც გამოსძალავენ ქრთამს, თანაც ხდება ხელისუფლების ორგანოთა თანხმობითა და კონტროლით. ასეთ შემთხვევაში პირი, რომელიც გამოძალველს ნივთებს (ფული და სხვ.). გადასცემს, დამნაშავედ კი არ ჩაითვლება, არამედ წარმოგვიდგება გამოძალველის მხილების ფუნქციონალური სისტემის საშუალებების, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტის, ე. ი. ისეთი მოქმედებების ერთ-ერთ ელემენტად, რომლებსაც საფუძვლად უდევს დაცვის მიზანი, და არა სათანადო ურთიერთობათა ბრალეული და სისხლისსამართლებრივად დასასჯელი დარღვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მხილების განხილული ოპერაცია ქრთამის მიცემის იმიტაციას, ქრთამის მიცემა-აღების დინამიკური მოდელის ნაირსახეობაა და ემსგავსება ორიგინალს. ქრთამის გადაცემა-მიღების მოდელი და ორიგინალი, როგორც ცნობილია, იდენტური ცნებები არ არის. მაშასადამე, იმ პირის მოქმედება, რომელმაც გამოძალვის შემდეგ, თუმცა მიიღო შეპირობებული ფული ან ფასეულობანი, ზემოაღნიშნულ გარემოებებში თავისებური მცდელობაა უგარგისი ობიექტის მიმართ. ნათქვამს დაუშვებებთ, რომ გაანალიზებულ შემთხვევებში არ არსებობს ისეთი ელემენტიც, როგორც არის ქრთამი, რამდენადაც დამნაშავის მხილების მიზნით გადაცემული ნივთი, თავისი არსით მხილების იგივე საშუალებაა, ორიგინალის თავისებური შემცვლელი, მისი მოდელია.

და ამიტომ, იძლევა რა განმარტებებს იმ გარემოებათა თაობაზე, რომელთა დროსაც საჭიროა ქრთამის სახით გადაცემული ფულის ან სხვა ფასეულო-

¹ იხ. გ. მ. მანკოვსკი, „მეჭრთამეობის საქმეებზე გამოძიების ზოგიერთი სისხლის სამართლებრივი და პროცესუალური საკითხები“. (საგამოძიებო პრაქტიკა), 1963 წ. გვ. 114—115.

ბათა კონფესკაცია, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი (პ. 12) შემთხვევით როდი ხმარობს ტერმინს „ქრთამის საგანი“. ეს ტერმინი არ არის ნაწიური განმარტებაში, რომელიც კანონიერ მფლობელთათვის ფულისა და სხვა ფასეულობათა დაბრუნების შემთხვევებს შეეხება.

ზემოთქმულის მიხედვით, სწორად გვეჩვენება მექრთამეობის საქმეთა გამო უკანასკნელი დადგენილების მიღებამდე დონეცკის საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც მფლობელს დაუბრუნდა მსჯავრდებული კ.-ს მხილების მიზნით გამოყენებული 500 მანეთი.

სხვანაირად მოიქცა პოლტავის საოლქო სასამართლოს კოლეგია. მან, ჩვენი აზრით, საკმაო საფუძვლების უქონლად, კონფესკაცია უყო და სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხა 150 მანეთი, რომელიც მსჯავრდებულ პ.-ს გადაეცა აგრეთვე მისი მხილებისათვის.

ნათქვამიდან მჭიდროდ დაკავშირებულია მეორე, პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ დაკვალიფიცირდეს ქრთამის ამღების მოქმედება, თუ მან მოთხოვნილი თანხის მიღებისას არ იცოდა, რომ სინამდვილეში ატარებდნენ მისი მხილების ზემოაღნიშნულ ოპერაციას. როგორც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის მასალების განზოგადებიდან ჩანს, უფრო ხშირად აღნიშნული პირის ასეთი მოქმედება დაკვალიფიცირებულია როგორც დამთავრებული დანაშაული — ქრთამის მიღება. ამ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა საეჭვოა.

მექრთამეობის საქმეთა გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ბოლო დადგენილების მე-6 პუნქტის თანახმად, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა დამთავრებულად ითვლება ქრთამის თუნდაც ნაწილის მიღების მომენტიდან. ხოლო თუ შეპირებული ქრთამი არ იყო მიღებული ქრთამის მიმღების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, მის მიერ ჩადენილი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქრთამის მიღების მცდელობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, იძლეოდა რა ამ განმარტებას, ემუარებოდა იმ თეორიულ დებულებას, რომ ქრთამის მიღება, როგორც დამთავრებული დანაშაული, გულისხმობს შემდეგი ხუთი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის არსებობას:

1) ქრთამის მიმცემი; 2) ქრთამის ამღები; 3) ქრთამის საგანი; 4) ქრთამის მიცემა; 5) ქრთამის აღება.

ამ ელემენტებიდან თუნდაც ერთის არარსებობა ზემოთხსენებულ დანაშაულის შემადგენლობას.

განალიზებულ შემთხვევებში ფაქტიურად ერთბაშად არა გვაქვს სამი ელემენტი: 1) ქრთამის მიმცემი; 2) ქრთამის საგანი; 3) ქრთამის მიცემა. აღნიშნულ სიტუაციაში ქრთამის გამომძალავი კარგავს ქრთამის რეალური ამღების ნიშნებს და იქცევა პირად, რომელიც ქრთამის აღების მცდელობას ეწევა.

ასეთი დასკვნა შეესაბამება განმარტებას, რომელსაც შეიცავს აღნიშნული დადგენილების მე-6-ე პუნქტი. იქ ნათქვამია, რომ, როდესაც შეპირებული ქრთამი არ იყო მიღებული ქრთამის მიმცემის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად, მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ქრთამის აღების მცდელობა.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქრთამის მიცემა-აღების შეთანხმების შემდეგ, თანამდებობის პირი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ქრთამის მიღება, ნებაყოფლობით უარყოფს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას და ქრთამის მიღებამდე აცნობებს ამას ხელისუფლების ორგანოს. ასეთ ვითარებაში, თუ განმცხადებელი ქრთამის გამომძალავი არ იყო, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისი მიცემისათვის საფუძველი არ მოიპოვება. ეს არ გამოირჩევა ამგვარ სიტუაციაში მეორე მხარის, ე. ი. ქრთამის მიმცემის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ამისათვის საფუძველი მაშინ იქნება, როდესაც ქრთამის მიმცემი ეცდება ქრთამი გადასცეს თანამდებობის პირს. ამასთანავე კვალიფიკაციისთვის არა აქვს მნიშვნელობა, იცოდა თუ არა ამ მომენტში ქრთამის მიმცემმა, რომ თანამდებობის პირმა ხელი აიღო დანაშაულის ჩადენის განზრახვისაგან.

ამასთან ერთად, ქრთამის მიმცემი, თუ თანამდებობის პირს აქაზებდა, რომ ქრთამი აეღო, იგი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ამ დანაშაულის ჩადენისათვისაც.

ამისაგან განსხვავებით, უკეთუ ქრთამის მიმღების ქმედებაში არის შენაფერისი დამთავრებული ან დაუმთავრებელი დანაშაულის შემადგენლობა, მის მიერ ქრთამის გამოძალავა, ყველა გარემოებაში არ სჭირდება დამატებითი დაკვალიფიცირება ქრთამის მიცემის წაქეზებისთვის. ამ ქმედებებს მოიცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი, რომელიც გამოძალავს ქრთამის მიღების დამაკვალიფიცირებელ ნიშნად მიიჩნევს.

დასასრულ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევხვით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნოველას, რომელიც მიღებულ დადგენილებაშია.

მექრთამეობა დანაშაულია, რომლის შედეგადაც ქრთამის მიმცემი პირები ხშირად უკანონოდ მოიპოვებენ ხოლმე გარკვეულ კეთილდღეობას, უფლებებს, უპირატესობებს. ვასული წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ სასამართლოები ხშირად არათუ არ წყვეტდნენ, არამედ არც კი მსჯელობდნენ საკითხზე, რათა ქრთამის მიმცემს ჩამოერთვას მიღებული სიკეთე. მაგალითად, სამარინისა და სხვა პირების საქმის გამო გამოირკვა, რომ ქრთამის მიმცემებმა უკანონოდ მიიღეს ავტომანქანით და მოტოციკლით მართვის უფლება. მაგრამ სასამართლოში საქმის განხილვისას მათთვის აღნიშნული უფლებების ჩამორთმევის საკითხზე მსჯელობაც კი არ ყოფილა. ამ გარემოებას არც შემდგომმა სასამართლოებმა მიაქცია ყურადღება.

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ერთეული არ არის.

იმსჯელა რა ამის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზეც. დადგენილებაში სასამართლოების ყურადღება მიექცა იმას, რომ სათანადო კომპეტენტურ ორგანოთა მიმართ საჭიროა კერძო განჩინებების გამოტანა, რათა პირებს ჩამოერთვათ ქრთამით უკანონოდ მიღებული სიკეთე.

ეს ნოველა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. უეჭველია, გარკვეულ დადებით გავლენას მოახდენს მექრთამეობასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებაზე. კერძოდ, ჩვენი აზრით, იგი ამ დანაშაულობათა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამ სახელმძღვანელო მითითების წარმატებით რეა-

ლიზაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა სიკეთე და უპირატესობა შეიძლება ჩამოერთვას ქრთამის მიმცემს, რომელმაც ისინი უკანონოდ მოიპვა, და რა პირობებშია საჭირო ამ ღონისძიების მიღება. მაგალითის სახით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, მხოლოდ ზოგიერთ სიკეთეს, სახელდობრ, ბინების ორდერებს, დიპლომებს, რომლებიც, შესაბამისად, შეიძლება ბათილად ან გაუქმებულად იქნეს ცნობილი.

გასაგებია, რომ მეტად ძნელია მიღებული ყველა სიკეთის ამომწურავი განსაზღვრა. და ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია ფორმულირებულ იქნეს ამ ამოცანის გადაწყვეტის ზოგადი წესი.

ჩვენი აზრით, ქრთამის მიმცემს უნდა ჩამოერთვას უკანონოდ მოპოვებული სხვადასხვა სიკეთე, რომლებითაც სარგებლობენ ან მომავალში შეუძლიათ ისარგებლონ. ამრიგად, ლაპარაკია ობიექტურად არსებულ, ამოუწურავ უფლებებზე, უპირატესობებზე და ა. შ., და არა სასამართლოში ამ საკითხზე მსჯელობის დროისათვის რეალიზებულ სიკეთეზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი არ აღნიშნავს ამ წესიდან რაიმე გამონაკლისს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი გამონაკლისი მაინც შესაძლებელია. აქ მნიშვნელოვანია თავიდან ავიცილოთ უკიდურესობანი, და პირველ ყოვლისა, ჰუმანური ხასიათის მოსაზრებებით. მაგალითად, სწორი არ იქნებოდა ქრთამის მიმცემს ჩამოვართვათ დეფიციტური წამალი, რაც მან ქრთამის მეშვეობით პოილო, და რაც ძალიან სჭირდება მას ავადმყოფობის სამკურნალოდ.

უკეთეს სასამართლო შესაძლებლად ცნობს არ ჩამოართვას ქრთამის მიმღებს გარკვეული სიკეთე, თუმცა უკანონო გზით მიღებული, ეს გადაწყვეტილება უნდა ყოველმხრივ დაასაბუთოს.



საქართველოს სსრ სსკ 47' მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ

წ. ჟიჟინი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 20 აპრილის ბრძანებულებით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 47' მუხლი, რომელმაც საბჭოთა სისხლის სამართალში შემოიღო ახალი ინსტიტუტი — არასრულწლოვან დამნაშავეთათვის განაჩენის აღსრულების გადადება.

განაჩენის აღსრულების გადადება პიროვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას როდი ისახავს მიზნად, არამედ საშუალებას აძლევს მას გამოსწორდეს საზოგადოებისაგან უიზოლაციოდ. კანონი კრძალავს განაჩენის აღსრულება გადაედოს არასრულწლოვან დამნაშავეს, თუ მას აღრე ჰქონდა შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა. ბუნებრივია, ამ სახის სასჯელის გამოყენებისას სასამართლოები ინდივიდუალურად უნდა მიუდგნენ სამართალში მიცემულ თითოეულ მოზარდს. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ განაჩენის აღსრულების გადადება იმ პირის მიმართ, ვინც აღრე ჩაიდინა სამართალდარღვევა, რის გამოც გაიგზავნა სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში და საქმე შეწყდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე იმ არასრულწლოვანის მიმართ, ვინც მეტად უარყოფითად ხასიათდება სამუშაოზე, სასწავლებელსა და ყოფა-ცხოვრებაში, რომლის მიმართაც არაერთხელ არის გამოყენებული საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი, ან ვინც რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა. ასეთ მოზარდთა გამოსწორება საზოგადოებისაგან უიზოლაციოდ, ჩვეულებრივ, შეუძლებელია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გაითვალისწინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუხლის სწორად გამოყენებას რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ და ამ მიზნით შეისწავლა და განაზოგადა სასამართლო პრაქტიკის მასალები.

1977 წელს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ მსჯავრდებული არასრულწლოვანებიდან განაჩენის აღსრულება გადაედო მხოლოდ 18,0 პროცენტს. 1978 წლის I კვარტალში კი მსჯავრდებულთა 46,7 პროცენტს.

სახალხო სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ განაჩენის აღსრულების გადადებას იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც პირველად შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით. სასჯელის აღსრულებ-

ბის გადადებისას ითვალისწინებენ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას, დანაშაულის პიროვნებასა და საქმის სხვა გარემოებებს, აგრეთვე დამნაშავეს გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის შესაძლებლობებს საზოგადოებისაგან უიზოლაციოდ.

ამასთან განზოგადების მასალები გვიჩვენებს, რომ ყველა სასამართლო არ ასრულებს კანონის მოთხოვნებს. არცთუ იშვიათად ამ მუხლს იყენებენ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რომელიც თავისი ხასიათითა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით მოითხოვდა მათს აუცილებელ იზოლაციას საზოგადოებისაგან.

როდესაც კანონმდებელი ლაპარაკობს ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებაზე, აქ იგი ვულისხმობს ქმედობის სიმძიმესა და დამდვარ შედეგს, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს, განსასჯელის როლს ჯგუფურ დანაშაულში, დანაშაულებრივ ქმედობაში ეპიზოდთა სიმრავლეს, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობას. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამნაშავეს პიროვნების მონაცემებს. განზოგადებამ ცხადყო, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოები ჯერ კიდევ საკმარისად არ სწავლობენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემი არასრულწლოვანი პიროვნების მონაცემებს. სასამართლოებში შემოსულ საქმეთა უმრავლესობას არა აქვს დართული დახასიათებანი, იმის მონაცემები, ყოფილა თუ არა დამნაშავე აღრიცხვაზე ინსპექციაში ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში, ჰქონდა თუ არა მას ადრე სამართალდარღვევა და ზემოქმედების რა ღონისძიებები შეეფარდა მოზარდს.

თავის მხრივ სასამართლოებიც არ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას წინასწარი გამოძიების მასალებისადმი, სამსჯავრო გამოძიებაში არ ავსებენ ამ ხარვეზებს, რის გამოც გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ ზოგჯერ იღებენ ხოლმე არასრულად გამოკვლეული მასალების მიხედვით. ზოგიერთ საქმეებში გაურკვეველია, რას ემყარება სასამართლოს დასკვნები საზოგადოებისაგან უიზოლაციოდ პირის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის შესაძლებლობის შესახებ. მაგალითად, ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ო. მამისწარაშვილი) გაასამართლა არასრულწლოვანი ს. გუბელაძე და გამოიყენა სსკ 47¹ მუხლი. საქმეს არ ერთვოდა დახასიათება; სამსჯავრო სტდომიზეც არ გამოურკვევიათ მონაცემები მისი პიროვნების შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა სასამართლოები უფარდებენ მოზარდებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე და არ მსჯელობენ განაჩენის აღსრულების გადადების შესაძლებლობის შესახებ. ეს ეწინააღმდეგება სსკ 47¹ მუხლისა და „სასამართლოების მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 39¹ მუხლის გამოყენების პრაქტიკის გამო“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 31 მარტის № 3 დადგენილების პირველი მუხლის მოთხოვნებს.

ზოგჯერ სახალხო სასამართლოები არ იყენებენ სსკ 47¹ მუხლს, თუმცა ამის აუცილებლობა არის ხოლმე. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1977 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ცვლილება შეიტანა ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს 1977 წლის

9 სექტემბრის განაჩენში (მოსამართლე — ვ. ვალუსტიანი) არასრულწლოვანების მ. ფიფიას და გ. გუგუნავას მიმართ, რომელთაც საქართველოს სსრ სსკ 151-ე მუხლის მეორე ნაწილით შეეფარდათ 2—2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ არასრულწლოვანებს პირველად შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, ხასიათდებოდნენ დადებითად, სწავლობდნენ, კოლექტივი უამდგომლობდა მათთვის გადაეცათ ისინი აღსაზრდელად. სახალხო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ 471 მუხლი. კოლეგიამ სავსებით სწორად გადაუდო მსჯავრდებულებს განაჩენის აღსრულება. ასეთივე გარემოებების გამო შეიცვალა ოჩაჩიძის რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე — ჯ. ქეცბაია) განაჩენი არასრულწლოვანების რ. აგრბას, ი. კვიცინიასა და ზ. კვიცინიას მიმართ.

სასამართლოები ასრულებენ კანონის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ სასჯელის აღსრულების გადადებისას განაჩენში არ უნდა მიუთითოს შრომა-აღმზრდელითი კოლონიის სახე, სადაც სასჯელი უნდა მოიხადოს არასრულწლოვანმა. შესწავლილი საქმეებიდან თითქმის ყველა განაჩენში მითითებულია კოლონიის სახე, რაც სწორი არ არის.

ყველა განაჩენში გულდასმით არ არის მოტივირებული, თუ რატომ გადაიდო განაჩენის აღსრულება, თუმცა სასამართლოს ეს მოვალეობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ დასახელებული დადგენილების მე-6 პუნქტით. ბუნებრივია, ეს განსაზღვრულ სიძნელებთან არის დაკავშირებული, რადგანაც ერთსა და იმავე განაჩენში უნდა დასაბუთდეს როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის შეფარდების საჭიროება, ასევე ის მოტივები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, როცა გადაწყვიტა განაჩენის აღსრულების გადადება. მაზაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ნ. ჩინჩალაძე) არასრულწლოვან დ. ვაშაყმაძეს 1977 წლის 13 ოქტომბერს მსჯავრი დასდო და განაჩენის აღსრულება გადაუდო ისე, რომ აღწერილობით ნაწილში საერთოდ არ მიუთითა აღსრულების გადადების კონკრეტული მოტივები. ასეთივე შეცდომა დაუშვა იმავე მოსამართლემ 1977 წლის 19 ოქტომბრის განაჩენში თ. რობაქიძის მიმართ; მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — გ. ხინთიბიძე) 1977 წლის 12 ივლისს დადგენილი განაჩენით — ა. მორჩილაძის მიმართ.

სასამართლოები ყოველთვის სწორად არ განსაზღვრავენ გადადების ხანგრძლივობას. არცთუ იშვიათად განაჩენებში საკმარისი საფუძვლის გარეშე მითითებულია მაქსიმალური ვადა, რომლის უმეტესი ნაწილი, ჩვეულებრივ, მსჯავრდებულის სრულწლოვანების დადგომის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება.

კანონში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვის ევალება კონტროლი მოზარდის ქცევისადმი, თუ მას განაჩენის გადადების პერიოდში შეუსრულდა 18 წელი, და ვინ უნდა აღძრას უამდგომლობა ასეთი პირის სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ. მეორე საკითხს პასუხი ვასცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, რომელმაც თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ სრულწლოვანების დადგომის შემდეგ იმ მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება გადაიდო, უნდა გადაწყდეს ამ პირის საცხოვრებელი ადგილის სასამართლოს მიერ, გადადების ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანთა კომისიის და შინაგან სა-

ქმეთა ორგანოს ერთობლივი უზამდგომლობით; რაც შეეხება პირველ საკითხს, ესე იგი მისი ქცევისადმი კონტროლს, კანონმდებელი ამ საკითხს არ ითვალისწინებს. ერთნი თვლიან, რომ ასეთ პირთა ქცევას კონტროლს უნდა უწევდნენ არასრულწლოვანთა კომისიები და მილიციის ინსპექციები, მეორენი კი თვლიან, რომ, რაკი პირმა სრულწლოვანებას მიაღწია, ეს მოვალეობა უნდა დაეკისროთ შინაგან საქმეთა ორგანოებს და სამეთვალყურეო კომისიებს. ამ საკითხის გარკვევა აუცილებელია კანონის ერთიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

ზოგჯერ სასამართლოები უსაფუძვლოდ ადგენენ გადადების მინიმალურ ვადას, თუმც საქმის გარემოებათა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით ეს ვადა აშკარად არ ემარა მოზარდის გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად. მაგალითად, ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — დ. ნოზაძე) არასრულწლოვან მ. გელაშვილს 1978 წლის 2 მარტის განაჩენით ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორც არის სხეულის განრან მძიმე დაზიანება, წლითა და 6 თვით გადაუდო განაჩენის აღსრულება.

საქართველოს სსრ სსკ 471-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, განაჩენის აღსრულების გადადებისას სასამართლოს შეუძლია დაავალოს არასრულწლოვანს განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს მუშაობა ან სწავლა, აანაზღაუროს მიყენებული ზარალი. განზოგადებით გამოვლინდა მრავალი ფაქტი, როდესაც სასამართლოები ცდილობენ განაჩენის გადადებით მიაღწიონ მაქსიმალურ აღმზრდელობით ეფექტს და მოზარდებს ისეთ რამეს ავალებენ, რასაც კანონი არ ითვალისწინებს, მათ შორის ისეთსაც კი, რაც ქცევის ჩვეულებრივი ნორმა ან ზღუდავს მოზარდის თავისუფლებას. ზოგჯერ მოვალეობების შესრულებას თვით მსჯავრდებულს ანდობენ. აი ზოგიერთი ფორმულირება, რომელიც განაჩენში გვხვდება: „დაიცავს შრომის დისციპლინა“, „აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ-მასობრივ მუშაობაში“, „შეასრულოს კომკავშირული დავალებანი“, „აიმიდლოს ზოგადი განათლების დონე“, „შეასრულოს საწარმოო გეგმები“, „აღკვეთოს სპირტიანი სასმელების მიღება“ და სხვ.

სასამართლოები მხედველობაში არ იღებენ, რომ სსკ 471 მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი მოვალეობანი ამომწურავია და მისი განვრცობითი ახსნა-განმარტება დაუშვებელია. გარდა ამისა, ეს სიძნელეებისა და გაუგებრობის წინაშე აყენებს იმ ორგანოებსაც, რომლებიც კანონის შესაბამისად კონტროლს უწევენ მსჯავრდებულის ქცევას. კანონით გაუთვალისწინებელ მოვალეობათა წრის გაფართოებამ, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს განაჩენის გადადების არასწორი გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად, რადგან მოვალეობის შეუსრულებლობა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საფუძველია ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

აღსანიშნავია ერთი ფრიად გავრცელებული ნაკლიც, როდესაც სასამართლოს განაჩენში, რომლის აღსრულება გადადებულია, არ არის მითითებული დაკისრებული მოვალეობის შესრულების დრო. მაგალითად, ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ო. მამესწარაშვილი) 1977 წლის 25 ივლისის განაჩენის აღსრულება გადაუდო მსჯავრდებულ გ. გოგიჩაიშვილს ყოველგვარი დროის მიუთითებლად. ზოგადად დაავალა მას ჩამუღიყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. კანონის ამ მითითების

შეუსრულებლობა არსებითად აქვეითებს მისი აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალას, რადგან მსჯავრდებულის ქცევისადმი კონტროლის განმხორციელებელი ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვრულ დროში აღძრას გადადების გაუქმებისა და თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად იმ პირის გაგზავნის საკითხი, რომელიც არ ასრულებს სასამართლოს მიწერილობას.

ზოგიერთი სასამართლო ავალდებულებს მსჯავრდებულს მუშაობის ან სწავლის დაწყებას, მიყენებული ზიანის გამოსწორებას და აწესებს ამისთვის არარეალურ ვადებს, ამავე დროს აკისრებს მოზარდს არაკონკრეტულ, ალტერნატიულ მოვალეობებს. მაგალითად, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ მსჯავრდებულ ს. ქემერტელიძეს დაავალა ათ დღეში დაეწყო მუშაობა ან სწავლა. როგორც ჩანს, სასამართლომ არსებითად, ღრმად არ გაანალიზა, თუ რა მოვალეობა უნდა დაეკისრებინა მსჯავრდებულისათვის მისი ხელახლა აღზრდის მიზნით.

განზოგადების მასალები მოწმობს, რომ სასამართლოები ხშირად არ აკისრებენ მშრომელთა კოლექტივს ან პირს მსჯავრდებულის მეთვალყურეობას მასთან აღმზრდელობითს მუშაობას, თუმცა საქმეში არის გარკვეული კოლექტივის ან პირის თანხმობა ამ საკითხზე.

ამასთან, მეტად ხშირია, როცა სასამართლოები კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ამ მოვალეობას აკისრებენ გარკვეულ კოლექტივებს მათი თანხმობის გარეშე.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 18 ივლისის განაჩენით (მოსამართლე — შ. კალმახელიძე) ისე დააკისრა სპორტულ სკოლა-ინტერნატს მსჯავრდებული არასრულწლოვანის დ. ქაცანაშვილის აღზრდისა და გამოსწორების მოვალეობა, რომ ამაზე ამ დაწესებულების თანხმობა არ ყოფილა ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ს. ადამიანი), 1977 წლის 18 აგვისტოს განაჩენით ქ. თბილისის ტოლბუხინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან № 6 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელს მისი თანხმობის გარეშე დააკისრა ს. ტუხაშვილის მიმართ აღმზრდელობითი მუშაობა. ასეთივე შეცდომები დაუშვეს: თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — გ. მალრაძე) — მსჯავრდებულ ი. მანდას-ოღლის მიმართ, მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — გ. ზინთიბიძე) — მსჯავრდებულ ა. მორჩილაძის მიმართ, საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — თ. მიროტაძე) — მსჯავრდებულების ზ. შუბითიძისა და ვ. მაჭარაშვილის მიმართ, შიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ნ. ჩინჩალაძე) — მსჯავრდებულების დ. ვაშაყმაძისა და თ. რობაქიძის მიმართ, ვანის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ა. წულუკიანი) — მსჯავრდებულ ნ. კიკუტაძის და სხვათა მიმართ.

უფრო მეტიც, ზოგჯერ სასამართლოები საერთოდ არ მიმართავენ ზომებს ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის იმ არასრულწლოვანთა გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად, რომელთა მიმართ განაჩენის აღსრულება გადაიდო.

კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით (მოსამართლე — გ. დალაქიშვილი) არასრულწლოვან შ. ბარნოვს საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუხაჯა ორი წლით თავისუფ-

ლებს აღკვეთა და ამ განაჩენის აღსრულება გადაუდრო. განაჩენში არ ირინ მითითებული, თუ ვის ევალება არასრულწლოვანისადმი მეთვალყურეობა და მასთან აღმზრდელიობითი მუშაობის ჩატარება.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — გ. ხინთიბიძე) 1977 წლის 12 ივლისის განაჩენით ა. მორჩილაძეს საქართველოს სსრ სსკ 212-ე და 243-ე მუხლის მეორე ნაწილით შეუფარდა წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და გადაუდრო განაჩენის აღსრულება. განაჩენში არ მიუთითა, თუ ვის ევალებოდა მეთვალყურეობა.

მსგავსი დარღვევით განიხილა ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ზ. ცეციტიშვილი) რ. მიტკავას, გ. ივანიშვილისა და ქ. ვაჩიჩილაძის საქმე.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი, შეუძლია თუ არა სასამართლოს განაჩენის აღსრულების გადადებისას დაუნიშნოს მსჯავრდებულს საზოგადოებრივი აღმზრდელი, რამდენადაც კანონის შესაბამისად ასეთი პირებისადმი კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და შინაგან საქმეთა ორგანოები. საქართველოს სსრ სსკ 64-ე და სსსკ 379¹ მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულისადმი განაჩენის დადგენისას სასამართლო ვალდებულია განიხილოს საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნის საკითხი, რომელსაც გამოყოფს არასრულწლოვანთა კომისია სასამართლოს განაჩენის საფუძველზე. სწორედ ეს საკითხი განავითარა პლენუმმა თავისი ზემოაღნიშნული დადგენილების მე-7 პუნქტში, სადაც ჩაწერილია: „სასამართლოებმა უნდა მიიღონ ზომები ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის იმ არასრულწლოვანთა გამოსაწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად, რომელთა მიმართ განაჩენის აღსრულება გადაიდო, ამასთან ერთად რსფსრ სსსკ 401²-ე მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსსკ შესაბამისი მუხლებით სასამართლო ვალდებულია განიხილოს საკითხი არასრულწლოვანისათვის საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ“.

კანონის ამ მითითების მიუხედავად, სახალხო სასამართლოები შეცდომებს უშვებენ. შესწავლილი საქმეებიდან ყოველ მეორე საქმეში ასეთი ხარვეზია.

როდესაც ვლადარაკობ საზოგადოებრიობის როლზე მსჯავრდებულის გამოსაწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად, აუცილებელია სასამართლოებმა ეს იმგვარად განახორციელონ, რომ არ დაირღვეს სოციალისტური მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპი — მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. არც სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე და არც სამსჯავრო გამოძიების პროცესში არ შეიძლება წინასწარ გამოითქვას აზრი სამართალში მიცემულის ბრალეულობისა და სასამართლოს განზრახვისა განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ სახალხო სასამართლოები იშვიათად ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციებით მსჯავრდებულის გამოსაწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. მსჯავრდებულის მიმართ მეთვალყურეობისა და მასთან აღმზრდელიობითი მუშაობის გაწევის მოვალეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება იმ წესით, რომელიც განაჩენ-



ნის აღსრულების გადადებისთან არის დაკავშირებული, არ ეწინააღმდეგება კანონს და არასრულწლოვან სამართალდამრღვევთან აღმზრდელიობითი მუშაობის გაძლიერების დამატებითი საშუალებაა. სწორედ ამას გულისხმობს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-7 პუნქტის მეორე ნაწილი: „სასამართლო უფლებამოსილია იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც, რომლის აღსრულებაც გადაიდო, მშრომელთა კოლექტივს ან პიროვნებას მათი თანხმობით დააკისროს მოვალეობა თვალყური ადევნონ მსჯავრდებულს და ჩაატონ მასთან აღმზრდელიობითი მუშაობა და ამ საკითხს გადაწყვეტს იმ წესით, რაც დადგენილია რსფსრ სსსკ 369-ე და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ-ის შესაბამისი მუხლებით.“

სწორი არ არის სასამართლოთა პრაქტიკა, როდესაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ქცევისადმი მეთვალყურეობის გაწევას ავალდებენ მშობლებს. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საფუძვლების“ მე-18 მუხლი ისედაც ავალდებულებს მშობლებს აღზარდონ „თავიანთი შვილები კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, იზრუნონ მათი ფიზიკური განვითარებისა და სწავლებისათვის. საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის მათს მოსამზადებლად“. ეს მოვალეობანი მათ უნდა განახორციელონ, როგორც მშობლებმა. დაუშვებელია ეს მათ დავავალოთ სასამართლო გადაწყვეტილებით.

სასამართლოების არსებით ნაკლს სსკ 471 მუხლის გამოყენებისას წარმოადგენს ისიც, რომ არასრულწლოვანებს არ განუმარტავენ განაჩენის აღსრულების გადადების არსს და იმ შედეგებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობამ, ამ ვადაში მათ მხრივ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევამ, ახალი დანაშაულის ჩადენამ. შესწავლილ საქმეთა თითქმის არც ერთ სამსჯავრო სხდომის ოქმში არ არის ჩაწერილი ეს. ზედმეტია ალბათ იმის თქმა, რომ ამით მცირდება მიღებული გადაწყვეტილების გამაფრთხილებელი და აღმზრდელიობითი მნიშვნელობა.

არტთუ იშვიითია ისეთი ფაქტები, როდესაც არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სასამართლოები დროულად ანდა საერთოდ არ გზავნიან კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლებს, რომელთა აღსრულებაც არასრულწლოვანებს გადაედოთ. პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად „იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლის აღსრულება გადაიდო, მისი პირობები დაუყოვნებლივ უნდა გავგზავნოს არასრულწლოვანთა კომისიას, შინაგან საქმეთა ორგანოებს“.

ქ. რუსთავეის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე — თ. ყაჭვიშვილი) 1977 წლის 14 სექტემბრის განაჩენით არასრულწლოვან ვ. ტარასენკოს თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადაედო ორი წლით. სასამართლომ განაჩენის ასლი არ გაუგზავნა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

იმავე სასამართლოს მიერ განაჩენის ასლი არ გადაეგზავნა შინაგან საქმეთა განყოფილებას არასრულწლოვანების ი. სევასტიდისა და კ. ბარათაშვილის მიმართ.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ვ. შადური) ო. ვედოკიმოვისა და ს. ლეპტეროვას მიმართ დადგენილი განაჩენის ასლი არ გადაეგზავნა მსჯავრდებულთა სიცხორებელი

ადგილის მიხედვით. ასეთივე დარღვევები დაუშვეს: ქ. თბილისის 26 კომის-
 სრის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ს. ადამიანი) ს. ტუხა-
 შვილის საქმეზე, ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოში (მოსამართლე
 — თ. მამესწარაშვილი) — გ. როსტომიაშვილის, გ. გოგიჩაშვილისა და მ. მიქა-
 ძის საქმეზე.

ასეთი დარღვევების გამო მსჯავრდებულის ქცევა ხანგრძლივი დროის გა-
 ნმავლობაში რჩება იმ ორგანოთა მხედველობის არედან, რომლებსაც კანონ-
 ნით დავალებული აქვს მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზ-
 რდისათვის მუშაობის ჩატარება და მათ მიერ ახალი დანაშაულის ან სხვა ანტი-
 საზოგადოებრივი გადაცდომის მიღების თავიდან აცილება.

მიზანშეწონილია ამ კატეგორიის საქმის განხილვაში საზოგადოებრივი აღ-
 მზრდელის, მოზარდის სასწავლებლის, სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის
 საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობა, რაც უთუოდ ხელს შეუწე-
 ყობს საკითხის სწორად გადაწყვეტას.

თითოეულ რაიონში ადგილებზე უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აღმზრ-
 დელის რეზერვი, განისაზღვროს საწარმოები და სასწავლებლები, სადაც შეი-
 ძლება გაიგზავნოს მოზარდი, რომელსაც გადაედო განაჩენის აღსრულება და
 დანაშაულის ჩადენამდე არ მუშაობდა და არ სწავლობდა.

წინადადება უნდა მიეცეთ შინაგან საქმეთა ორგანოებს სახელობითი აღ-
 რიცხვა აწარმოონ მოზარდებისა, რომელთაც გადაედოთ განაჩენის აღსრუ-
 ლება, გამოყონ პასუხისმგებელი პირნი ასეთი სამართალდამრღვევის ქცევი-
 სადმი კონტროლის განსახორციელებლად.

პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმების განყოფილებაში სისტემა-
 ტურად უნდა მოწმდებოდეს განაჩენის აღსრულების გადადების საფუძვლიან-
 ნობა. ამასთან პროკურორი, რომელიც მონაწილეობს ასეთი საქმის განხილ-
 ვაში, მოვალეა მისცეს საფუძვლიანი დასკვნა განაჩენის აღსრულების გადადე-
 ბის შესაძლებლობის შესახებ, დაფუძნებული საქმეში არსებულ და სამსჯავ-
 რო სხდომაზე მოპოვებული მასალების ყოველმხრივ შესწავლაზე.

ასევე აუცილებელია საუწყებათშორისო თათბირის მოწვევა სასამართლო-
 ების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, არასრულწლოვანთა საქ-
 მეების კომისიების, მილიციის ინსპექციების, პროფტექსაგანმანათლებლო სა-
 მართველოსა და რაიონის განათლების განყოფილებათა წარმომადგენლების
 მონაწილეობით, სადაც ღრმად და საფუძვლიანად განიხილება საქართველოს
 სსრ სსკ 47¹ მუხლის გამოყენების ორგანიზაციის საკითხები და დაისახება რე-
 კომენდაციები ამ მიმართულებით.

არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადების კანონის
 ზუსტი აზრის გარკვევისა და პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხების სწორად გა-
 დაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე „სასამართლოების მი-
 ერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონ-
 მდებლობის საფუძვლების 39¹ მუხლის გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის
 უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 31 მარტის დადგენილებას.



სრულყოფილ სოფლის მეურნეობის იურიდიული სამსახური

ბ. ლემონჯაძე,

ჩხორიწყუს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსი

კარგად ორგანიზებულ იურიდიულ სამსახურს დიდი სარგებლობა მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის, ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მეურნეობათა საგეგმო, სახელშეკრულებო, საფინანსო საქმიანობის ეფექტიან წარმართვას, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განუხრელად დაცვას. მაგალითად, სოფლის იურისტებმა 1974 წელს მეურნეობათა სასარგებლოდ ამოიღეს დაახლოებით 300 მილიონი მანეთი თანხა. კერძოდ, რსფს რესპუბლიკაში იურისტებმა ამოიღეს 114,2 მილიონი მანეთი, უკრაინის რესპუბლიკაში — 93,5 მილიონი, ყაზახეთში — 14 მილიონი, საქართველოში — 2,9 მილიონ მანეთზე მეტი.¹

1975 წელს იურისტების დახმარებით საქართველოს სსრ მეურნეობებს დაუბრუნდათ 800 ჰექტარი მიტაცებული მიწა, სასამართლოს, არბიტრაჟის მეშვეობით და მათ დამოუკიდებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აუნაზღაურდა 6.752.346 მანეთი. თითოეული იურისტის ეკონომიკურმა ეფექტიანობამ რესპუბლიკაში საშუალოდ შეადგინა 32.463 მანეთი.²

იურიდიული სამსახურის ცნებისათვის

სამეურნეო სამართლის მეცნიერებაშიც და სახალხო მეურნეობის ორგანოების მართვის პრაქტიკაშიც იურიდიული სამსახური აღიარებულია მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილად. „იურისკონსულტები თანდათან ხდებიან სამეურნეო მშენებლობის აქტიური მონაწილენი, განუხრელად იცავენ რა სოციალისტური კანონიერების პრინციპებს სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში და ხელს უწყობენ მათი ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას... იურიდიული სამსახური მმართველობაში ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სამეურნეო ორგანო.“³

იურიდიული სამსახურის ცნება დღემდე ზუსტად არ არის განსაზღვრული. მასში ზოგჯერ გულისხმობენ იურიდიულ პირთა იურისკონსულტების მიერ გაწეულ სამართლებრივ ღონისძიებებს სოციალისტური კანონიერების დასაცავად, კერძოდ: კანონების შესრულების ორგანიზაციას, მისი აღსრულების კონტროლს, სამართლის პროპაგანდას, იმ საქმეებში მონაწილეობას, რომელსაც

¹ იხ. Н. Ф. Зайц, «Юридическое обслуживание колхозов и межколхозных организаций», М., 1977, стр. 4.
² იხ. მ. დიდიშვილი, „იურიდიული სამსახური სოფლის მეურნეობაში“, ჟურ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, № 2, 1977 წ. გვ. 46.
³ იხ. «Хозяйственное право», В. В. Лаптев и др. М., 1970 г., стр. 418—419.

განიხილავენ იურისდიქციული ორგანოები იურიდიული დოკუმენტების შედგენას.⁴

იურიდიული სამსახურის ეს განსაზღვრება ზუსტი არ არის, ვინაიდან, როგორც ვ.პ. ეფიმოჩკინი აღნიშნავს, ასეთ სამუშაოს მეურნეობაში ასრულებენ სხვა სამსახურებიც. იურიდიული სამსახურის ცნება რომ განვსაზღვროთ, აუცილებელია დავადგინოთ მხოლოდ იურიდიული სამსახურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, ისეთი ნიშნები რომლებიც დაახასიათებს იურიდიული სამსახურის ფუნქციებს და იმ საშუალებებს, რომლებსაც ის იყენებს. ლ. მ. შორს იურიდიული სამსახურის ძირითად განმასხვავებელ ფუნქციებად მიაჩნია, კანონიერების დაცვა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენება.⁵

ამგვარად, იურიდიული სამსახური არის სახალხო მეურნეობის რგოლებში იურიდიული სამსახურის ორგანოს (იურიდიული განყოფილებების, ჯგუფების, ბიუროს, მთავარი ან უფროსი იურისკონსულტის, იურისკონსულტის) მიერ გაწეული მუშაობა, სოციალისტური კანონიერებისა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით, მოსამსახურებელი იურიდიული პირის მიზნების მისაღწევად.

იურიდიული სამსახურის საქმიანობის მომწესრიგებელი აქტები

იურიდიული სამსახური სოფლის მეურნეობაში შედარებით ახალი საქმეა. იგი ჯერ კიდევ ორგანიზაციული ძიებებისა და ჩამოყალიბების პროცესშია.⁶ წინათ იგი გამოიყენებოდა მარტოოდენ სოფლის მეურნეობის მართვის ზემდგომ ორგანოებში, სამოციანი წლების მიწურულიდან კი უკვე ფართოდ ინერგება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სოციალისტური საზოგადოების განვითარებამ, მისმა სრულმა გამარჯვებამ, სოციალური ერთგვაროვნებისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა, სამართლის ღირებულების ამაღლებამ მოითხოვა იურიდიული სამსახურის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობაში, რადგან ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ირდევოდა მეურნეობრიობა, კანონიერება და სხვა. ეს იწვევდა მნიშვნელოვან ზარალს, ხოლო ზარალის ანაზღაურებისათვის თავს არავინ იწუხებდა. უგულებელყოფილი იყო აგრეთვე სახელმწიფოებრივი პირობების დაცვა, ხშირად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ანგარიშში ატყუებდნენ „საქსოფლტექნიკის“, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციები. დებიტორული დავალიანებები დიდ თანხებს შეადგენდა. საჭირო გახდა სოფლის მეურნეობის იურიდიული სამსახურის გაძლიერება.⁷

⁴ იხ. В. П. Ефимочкин. «Советское государство и право». № 8, 1976 г., стр. 64.

⁵ იხ. მესამე სქოლიოში დასახელებული სახელმძღვანელო, გვ. 419.

⁶ იხ. А. Г. Первушин, «Юридическая служба в хозяйстве», М., 1977 г., стр. 7.

⁷ იხ. ს. ჯაფარიძე, «კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურება», თბ., 1976 წ., გვ. 7; ხ. ახვლედიანი «სოფლის იურიდიული მომსახურება». ვაზ. «სოფლის ცხოვრება», 1968 წ. 2. I. მ. დიდიშვილი, «იურიდიული სამსახური სოფლად», ქუთ. «საქართველოს სოფლის მეურნეობა» № 9, 1968 წ., ე. მეტრეველი, «იურიდიული სამსახური სახალხო მეურნეობაში», თბ., 1976 წ., გვ. 3, 35.

1967 წლის 6 ნოემბერს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სა-სოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების იურიდიული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი სოფლის მეურნეობის სისტემაში იურიდიული სამსახურის სრულყოფის გზაზე. ბრძანებით მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს დაევა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში იურიდიული სამსახურის ჩამოყალიბება, განისაზღვრა სოფლის მეურნეობის საწარმოებში მომუშავე იურისკონსულტების ამოცანები და უფლება-მოვალეობანი.

1968 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული მომსახურების შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ 1968 წლის 18 ნოემბერს დაამტკიცა „დებულება რაიონის სოფლის მეურნეობის (საწარმო) სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფების შესახებ“. დაიწყო მეურნეობების დაკომპლექტება კვალიფიციური იურისტებით. მათი რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა და მატულობს. თუ 1971 წლის დამლევისათვის სოფლის იურისტების რიცხვი შეადგენდა 68 კაცს, 1976 წლის დეკემბრისათვის 230-ს გადააჭარბა. საქართველოს სოფლის მეურნეობის იურიდიული სამსახურის სრულყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის დადგენილებამ „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად.

1972 წლის 22 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დადგენილებით დაამტკიცა ზოგადი დებულება სამინისტროს, უწყების, მშრომელთა დებულებების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების იურიდიული განყოფილების, ბიუროს მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის შესახებ. მის საფუძველზე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1972 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით დაამტკიცა დებულება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სისტემაში იურიდიული სამსახურის შესახებ, ხოლო 1973 წლის 3 იანვარს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მიიღო ინსტრუქცია. ამ აქტების საფუძველზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1976 წლის 12 თებერვალს დაამტკიცა „დებულება რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან შექმნილი სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების შესახებ, რომელიც დღეისათვის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფების უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელი ძირითადი სახელმძღვანელო აქტია. ეს ნორმატიული აქტები აწესრიგებს იურისტების საქმიანობას სოფლის მეურნეობის სისტემის სხვადასხვა რგოლში.

იურიდიული სამსახურის ორგანიზაციისა და უფლება-მოვალეობის

ზოგიერთი საკითხი

როგორც ყოველ ახალ საქმეს, სოფლის მეურნეობაში იურიდიულ სამსახურსაც აქვს ხარვეზები.

იურიდიული სამსახური სოფლის მეურნეობაში ისე უნდა ყოფილიყო ორგანიზებული, რომ მომსახურება შეხებოდა სისტემის ყველა რგოლს. თავიდან ამის შესრულება შეუძლებელი იყო საჭირო კადრების ნაკლებობის გამო, ამიტომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებთან 1—3 მუშაკისაგან შემდგარი იურიდიული ჯგუფების შექმნა, რომელთაც კოლმეურნეობებისათვის უნდა გაეწიათ იურიდიული მომსახურება, პრაქტიკული დახმარება და კონტროლი. იმ კოლმეურნეობას, რომელიც დიდი მოცულობის მუშაობას ეწეოდა, რჩევა მიეცა მუდმივ შტატში აეყვანა იურისკონსულტი, ხოლო იმ კოლმეურნეობას, რომელსაც იურისკონსულტი შტატში არ ეყოლებოდა, ხელშეკრულება დაედო ადვოკატთა კოლეგიის იურიდიულ კონსულტაციასთან მომსახურების გაწევას შესახებ. პრაქტიკაში ეს დადგენილება შემდეგნაირად განხორციელდა; სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული იურიდიული ჯგუფი ფაქტიურად გადაიქცა კოლმეურნეობათა და სამმართველოს მომსახურებ პერსონალად, ხოლო კოლმეურნეობებს მეტად ნელი ტემპით აჰყავდათ შტატში იურისკონსულტები, ასევე იშვიათად აფორმებდნენ ხელშეკრულებებს იურიდიულ კონსულტაციებთან. სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფის წევრები ხშირად დასაქმებული იყვნენ ზემდგომი ორგანოების სხვადასხვა დავალებებით, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შტატში იურისკონსულტი არ ჰყავდათ. ასეთი დავალებები, თუ ისინი ეხება კოლმეურნეობების სამართლებრივ მომსახურებას, სამმართველოსთან არსებულმა იურიდიულმა ჯგუფმა უყოყმანოდ უნდა შეასრულოს, სხვა სამუშაო კი მათ არ შეიძლება დაეკისროს, რაც არაერთხელ იყო მითითებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებში.

სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფების მხრივ კოლმეურნეობების უშუალოდ მომსახურების პრაქტიკა უკვე სამართლებრივი აქტებით დამკვიდრდა. თუ 1975 წლამდე სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფები კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევდნენ სამმართველოს მუშევრებით, თავიანთ მუშაობას აგებდნენ ძირითადად სამმართველოდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე, 1975 წლის 22 მაისიდან კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. თავისი ამ თარიღის ბრძანებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააწესა ერთი იურისტი საშუალოდ 6-7 მეურნეობისათვის (ამჟამად იგი 4—5 მეურნეობამდე შემცირდა). ამ პერიოდიდან სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფები იწოდებიან სამეურნეობათა შორის იურიდიულ ჯგუფებად. მათი წევრები მოვალენი არიან იმუშაონ გრაფიკის მიხედვით, რასაც ამტკიცებს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო. იურისკონსულტებს ევალებათ გრაფიკის შესაბამისად ყოველდღიურად გამოცხადდნენ გაპაროვნებულ მეურნეობებში, ხელი მიაწერონ სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალს და მეურნეობათა ხელმძღვანელებს დაექვემდებარონ.

1975 წლამდე, სამმართველოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, იურისკონსულტები პერიოდულად დადიოდნენ კოლმეურნეობებში და ეხმარებოდნენ მათ, ამოწმებდნენ კანონიერების დაცვის მდგომარეობას, კონსულტაციას უწევდნენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს იურიდიულ საკითხებზე. იურისკონსულტები ორგანიზაციულად შედიოდნენ სამმართველოს აპარატში და ექვემდებარებოდნენ სამმართველოს შინაგანაწესს.

ახალი წესი საგრძნობლად აართულებს სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან არსებული იურიდიული სამსახურის მუშაების საქმიანობას, აყენებს მათ სამართლებრივად გაურკვეველ პირობებში. ეს კი იწვევს იურისკონსულტების შრომის ნაყოფიერების შემცირებას, დროის ზედმეტ დანახარჯებს და უშედეგო ფიზიკურ გადაქანცვას.

შრომის კანონმდებლობით მუშაკი, როგორც წესი, უნდა მუშაობდეს ერთ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში. იურიდიული ჯგუფის იურისკონსულტი კი ფაქტურად მუშაობს 5—6 მეურნეობაში, ერთდროულად ექვემდებარება 5—6 ადმინისტრაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაცდომის შემთხვევაში მას ერთი თვის მანძილზე ერთდროულად 5—6 დისციპლინური სასჯელი შეიძლება დაედოს.

მეურნეობები, რომელთაც სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან არსებული იურიდიული ჯგუფების იურისკონსულტები ემსახურებიან, ხშირად ტერიტორიულად ერთმანეთისაგან რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული. სხვადასხვა მეურნეობაში ათეულ კილომეტრზე ყოველდღიური სიარული უდავოდ მომქანცველია, თუ გავთვალისწინებთ სოფლის გზებსა და მიმოსვლის სიძნელეს. გარდა ამისა, ხშირად ერთ მეურნეობაში იურისტი არ ყოფნის ერთი დღე ანა თუ იმ კონკრეტული დავალების შესწავლისა და რეაგირებისათვის, ან პირიქით, საქმე მოითხოვს ერთ დღეში რამდენიმე მეურნეობაში მისვლას. გრაფიკის მიხედვით კი იურისტი მომდევნო დღეს უნდა გამოცხადდეს გარკვეულ მეურნეობაში, გამოუცხადებლობა შრომის დისციპლინის დარღვევად ჩაეთვლება, ამიტომ მან წინასწარ უნდა მიიღოს საჭირო ზომები რაც, ისედაც დროით შეზღუდულს, დროის დაკარგვის ახალ ფაქტორს უმატებს. პრაქტიკულად, ახალი წესის მიხედვით, იურისკონსულტი იძულებულია სამუშაო დროის დიდი ნაწილი ფუჭად დაკარგოს.

1976 წლის 12 თებერვალს დამტკიცებულმა დებულებამ არსებითად შეცვალა 1973 წლის 3 იანვრის ინსტრუქცია და იურისკონსულტები პასიურ მუშაებად აქცია, სამართლებრივად გაურკვეველ პირობებში ჩააყენა. ამასთან ცალკეული ბრძანებები, რომლებიც იურისკონსულტთა მუშაობას აწესრიგებს, ყოველთვის როდი შეესაბამება დებულების მუხლებს, რაც კიდევ უფრო გაურკვეველობას ბადებს. მაგალითად, დებულების მე-7 მუხლში ნათქვამია: „იურიდიული ჯგუფის მუშაკები საორგანიზაციო საკითხებზე სამმართველოს უფროსის კონტროლს ექვემდებარებიან, მათზე ვრცელდება სამმართველოს აპარატის შინაგანაწესი... ხოლო სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანებებით სამმართველოსთან არსებული იურიდიული ჯგუფის წევრები ყოველმხრივ ექვემდებარებიან მეურნეობათა ხელმძღვანელობას“. მაგალითად, „გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული იურიდიული ჯგუფის მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1977 წლის 15 აგვისტოს ბრძანების მე-4 მუხლში



ნათქვამია: „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მკაცრად მოსთხოვეს იურიდიული მომსახურებისათვის მათზე მიმაგრებულ იურისკონსულტებს გრაფიკის მიხედვით რეგულარულად ადგილებზე გამოცხადება და დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულყოფილად შესრულება, აწარმოონ მათი გამოცხადების აღრიცხვა“.

როგორღა დაექვემდებარებიან ასეთ პირობებში ისინი სამმართველოს შინაგანაწესს, როგორც ამას დებულება მოითხოვს? ჩვენის აზრით, ნაწილობრივ იურიდიული სამსახურის მცდარი ორგანიზაციის მიზეზია შრომის დისციპლინის ისეთი უხეში დარღვევები, რაზეც ლაპარაკია ზემოთდასახელებულ ბრძანებაში გორის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული იურიდიული ჯგუფის მუშაობის შესახებ⁸.

სოფლის იურისტების მუშაობის დღევანდელი ორგანიზაციის ძირითად ნაკლებ მხარეებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: პირველი — რაიადმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოები არსებითად იურიდიული მომსახურების გარეშე რჩებიან, მაშინ როცა სამმართველოებში თავს იყრის მრავალი საკითხი, რომელთა გადაჭრას იურისტის ხელიც სჭირდება. ამავე დროს სამმართველოსთან არსებული იურიდიული ჯგუფი არ არის ვალდებული მოემსახუროს სამმართველოს, თუ საკითხი კონკრეტულად კოლმეურნეობის სამართლებრივ მომსახურებას არ შეეხება, მაგრამ კოლმეურნეობასთან დაკავშირებული საკითხებიდან რომელია წმინდა სამართლებრივი, ამის დადგენა ზოგჯერ ძნელია. შეიძლება ხელმძღვანელს მიაჩნდეს, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში იურისტის ჩარევაც არის საჭირო, მაგრამ თუ საქმეში ღრმად ჩაიხეხნადვით, შესაძლოა იგი წმინდა სამართლებრივი ხასიათისა არ იყოს, თუმცა სოციალისტური კანონიერების დაცვის პოზიციიდან გამომდინარე იშვიათად თუ იქნება სამეურნეო საქმიანობაში საკითხი, რომელსაც იურისტის თვალი თუ ხელი არ სჭირდებოდეს. ამიტომ ხელმძღვანელობას უფლება უნდა ჰქონდეს სხვა სპეციალისტებთან ერთად იურისტებიც ჩააბას სადავო საკითხების გადაჭრაში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმოებაში მომუშავე იურისტების მხოლოდ სამართლებრივი საკითხებით შემოფარგვლა ნაკლებ ეფექტიანია. კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე იურისკონსულტი, იურისპრუდენციის გარდა, უნდა ერკვეოდეს წარმოების, ეკონომიკურ, საბუღალტრო, პროდუქციის ხრისხისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებში. ამასთან დაკავშირებით სწორად მიგვაჩნია გ. ს. შაპკინას აზრი: „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის თავისებურება ის არის, რომ იგი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს. სამართლებრივი ნორმების მოქმედებასა და გამოყენებასთან სისტემატური დამოკიდებულება აქვს არა მარტო და არა იმდენად იურიდიულ სამსახურს, რამდენადაც სხვა ქვეგანყოფილებს. სამართლებრივი სამსახურის როლი ის არის, რომ ორგანიზაცია გაუწიოს კანონმდებლობის სწორად და ეფექტიანად გამოყენებას ყოველ უბანსა და რგოლში“⁹. ეს იურისტს ავალდებულებს საფუძვლიანად ერკვეოდეს არა მარტო კანონმდებლობაში, არამედ წარმოებასთან დაკავშირებულ დარგებშიც (დღევანდელი მდგომარეობით, იურიდიული სამსახური პრაქტიკაში სრულყოფილად).

⁸ იხ. გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1977 წლის 9 აგვისტო, „როცა იურიდიული სამსახური მოისუსტებს“.

⁹ იხ. «Советское государство и право», № 5, 1976 г., стр. 39.

ფილად ვერ გამოიყენება, იურისტების არასათანადო სწავლების გამოც). სამეურნეო ხაზით მომუშავე იურისტებს უფრო ხანგრძლივად და საფუძვლიანად უნდა ეკითხებოდნენ სახალხო მეურნეობასთან დაკავშირებული სპეციალური დისციპლინები. ამგვარად, სოფლის მეურნეობის სამმართველოებს უფლება უნდა ჰქონდეთ გამოიყენონ იურიდიული ჯგუფები მეურნეობებთან დაკავშირებული ყოველგვარი სადავო საკითხის შესწავლისა და გადაჭრის დროს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სამმართველოს შტატში უნდა ჰყავდეს იურისტიც ან სამმართველოსთან არსებული იურიდიული ჯგუფის უფროსი ითვლებოდეს სამმართველოს მთავარ იურისკონსულტაციად და შესაბამისად გათავისუფლდეს მეურნეობების უშუალო მომსახურებისაგან.

მეორე — დღევანდელი მდგომარეობით, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, გარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა, აკონტროლებს სხვადასხვა საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციებს. უკანასკნელნი ფაქტიურად იურიდიული მომსახურების გარეშე არიან დარჩენილი, თუმცა მათი საქმიანობის შედეგები უკავშირდება კოლმეურნეობების საწარმოო-საფინანსო შედეგებს. (მხედველობაში გვაქვს წესი, რომლის მიხედვითაც საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციებმა, სამეურნეო წლის მოგებით დამთავრებისას, მოგებიდან გარკვეული თანხები უნდა ჩაურიცხონ წილობრივად მონაწილე კოლმეურნეობებს). სამმართველოსთან არსებული სამეურნეობათშორისო იურიდიული ჯგუფები მხოლოდ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ემსახურებიან, რომლებიც მათი შესაძენი ხარჯების თანხებს რიცხავენ სამმართველოს სპეცნაგარიშზე. ეს აზრი გამომდინარეობს მოქმედი დებულებიდან და ასეც არის დანერგილი პრაქტიკაში. მაგრამ საჭიროა საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციებსაც ჰყავდეთ იურისტი. ამ საკითხის მოგვარებას უდავოდ სჭირდება ზემდგომი ორგანოების ჩარევა და სათანადო სამართლებრივი აქტის მიღება, რომლითაც სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან არსებულ იურიდიულ ჯგუფებს დაევალებათ მომსახურება გაუწიონ მათაც.

მესამე — იურიდიული ჯგუფების პარალელურად ცალკეულ კოლმეურნეობებს შტატში ჰყავთ იურისკონსულტები, რომლებიც მხოლოდ იმ მეურნეობას ემსახურებიან, რომელთა შტატშიც შედიან. ისინი იურიდიულ ჯგუფში გაერთიანებულ იურისტებთან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან მუშაობის მოცულობის, შრომის პირობებისა და ანაზღაურების მხრივ. მათ პრემიები ეძლევათ სხვა სპეციალისტების თანაბრად, რასაც მოკლებულია სამმართველოს იურისტი. რაც შეეხება მეურნეობის იურისტების საქმიანობისადმი კონტროლს, ისინი უკონტროლოდ არიან მიტოვებული. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1976 წლის 12 თებერვლის დებულებამ შეკვეცა სამმართველოს იურიდიული ჯგუფის უფლებები. 1968 წლის 18 ნოემბრის დებულების მე-10 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, სამმართველოს იურისტებს ევალებოდათ კოლმეურნეობების შტატში მყოფი თუ ხელშეკრულებით მომუშავე იურისტების მიერ გაწეული მუშაობის შემოწმება, ინსტრუქტაჟის გაწევა, მუშაობის კოორდინირება და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა. ეს უფლებები ახალმა, 1976 წლის 12 თებერვლის დებულებამ წაართვა სამმართველოს იურიდიულ ჯგუფს. ამის შედეგად კოლმეურნეობების შტატში მომუშავე იურისკონსულტები სისტემატური

კონტროლისა და მეთოდური ხელმძღვანელობის გარეშე დაარჩნენ. მათ ამჟამად გაწეული მუშაობის წლიურ ანგარიშებსაც კი არავის სთხოვს. სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მოსული იურიდიული მუშაობის ამსახველ მასალებს არ აცნობენ მეურნეობების შტატში მყოფ იურისტებს, ვინაიდან ბოლო დებულებით ასეთი რამ გათვალისწინებული არ არის. სადავო არ უნდა იყოს, რომ ეს საკითხი სათანადო ჩარევასა და კორექტივს მოითხოვს. ერთსა და იმავე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში ერთა და იმავე სპეციალობისა და თანამდებობის მქონე მუშაკების შრომის პირობების ასეთი მკვეთრი განსხვავება საქმის სწორი ორგანიზაციის პირობებში არ უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება. ამისათვის საჭიროა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან არსებულ იურიდიულ ჯგუფებში გაერთიანდეს რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომუშავე ყველა შტატიანი და ხელშეკრულებით მომუშავე იურისტი და რაიონის მეურნეობები მათ გადაუნაწილდეთ თანაბრად, მაშინ თითოეულ იურისტზე გაპიროვნებული მეურნეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება. მაგალითად, ჩხორიწყუს რაიონში არის 27 კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცია. აქედან 21 მეურნეობას¹⁰ ემსახურება 6 იურისტი, რომელთაგან სამი სამმართველოსთან არსებულ იურიდიულ ჯგუფშია, ხოლო სამი მეურნეობას ჰყავს შტატში. სამმართველოს სამი იურისტი ემსახურება 18 მეურნეობას, მაშინ როცა დანარჩენი სამი ემსახურება მხოლოდ სამ მეურნეობას. ჩვენი წინადადების მიხედვით, თითოეულ იურისტზე მოვიდოდა დაახლოებით 3—4 მეურნეობა, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებდა იურიდიული სამსახურის ეფექტიანობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, სწორი არ არის წინადადება, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკების შტატში აყვანა ხდებოდეს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის მიხედვით, რომელსაც მ. პ. ვიშინსკი იყენებს თავის წერილში.¹¹

სოფლის მეურნეობაში იურიდიული სამსახურის მუშაკების შტატში აყვანა უნდა ხდებოდეს არა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის, არამედ მეურნეობის რენტაბელობისა და საქმის მოცულობის გათვალისწინებით. რა მცირერიცხოვანიც უნდა იყოს კოლექტივი, იურისტის დახმარება მას ყოველთვის სჭირდება.

სასარგებლო იქნება, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებში შეიქმნას მთავარი იურისკონსულტის შტატი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს როგორც იურიდიული ჯგუფის, ისე მეურნეობების იურისტების მუშაობას, ამასთან მოემსახურება უშუალოდ სამმართველოს.

სოფლის მეურნეობის იურისტების შრომის ანაზღაურების

ზოგიერთი საკითხი

მუშაკის საქმიანობის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ანაზღაურების სისტემა. სამმართველოს იურისტების შრომის ანაზღაურებაში

¹⁰ სიტყვა „მეურნეობას“ ვხმარობთ როგორც კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ასევე საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის აღსანიშნავად.

¹¹ იხ. «Советское государство и право», № 6, 1977 г., стр. 61.

დაშვებული იყო შეცდომები. 1968 წლის 30 ნოემბრის დებულებით იურისტების ხელფასი უტოლდებოდა (საწარმოო) სამმართველოს სპეციალისტების მინიმალურ ხელფასს და შეადგენს ჯგუფის უფროსისათვის თვეში 130 მანეთს, ხოლო უფროსი იურისკონსულტებისათვის — 110 მანეთს. მაშინ როცა სამმართველოს იურისკონსულტებისათვის ხელფასი უნდა დაეწესებინათ თვეში 150 მანეთი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 11 აპრილის № 329 დადგენილების № 5 დანართის თანახმად. აღნიშნული დადგენილება სამმართველოს იურისკონსულტებზე გავრცელდა 1975 წლიდან, ე. ი. მთელი ექვსი წლის განმავლობაში მათ ეძლეოდათ თვეში 20—40 მანეთით ნაკლები ხელფასი. რაც შეეხება იურისტებისათვის წლიური შედეგების მიხედვით პრემიების მიცემას, ეს საქმე კანონით დღესაც არ არის მოწესრიგებული. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იურისკონსულტების პრემიის საკითხი „გადაჭრა“ 1972 წლის 6 ოქტომბრის №№ 7-9-197 წერილით, რომელიც მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1975 წლის აპრილში გააცნეს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებს და დღესაც სახელმძღვანელო დოკუმენტია. ამ წერილში ნათქვამია: „სოფლის მეურნეობის სამმართველოს იურისკონსულტების პრემირება შეიძლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 სექტემბრის № 941 დადგენილების და შრომის და ხელფასების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 28 სექტემბრის № 308/3—23 დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე. ამ აქტების შესაბამისად იურისკონსულტები შეიძლება პრემირებულ იქნენ სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ პროფკავშირის ადგილკომთან შეთანხმებით ერთჯერადი წესით, წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, თვიური განაკვეთის 1,5 რაოდენობით საპრემიო ფონდის ანგარიშიდან...“ წერილს ხელს აეწრს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი ა. დენისოვი. ეს წერილი-განმარტება, რომელსაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კანონის ძალა მიანიჭა, მცდარად განმარტავს 1962 წლის სექტემბრის დასახელებულ აქტებს — სოფლის მეურნეობის სამმართველოს იურისტების საზიანოდ, ვინაიდან დებულების მიხედვით, თვენახევრის ხელფასით ჯილდოვდებიან ის სხვა მუშაკები, რომლებიც არ არიან სპეციალისტები და რომლებიც არ არიან შეტანილი დასახელებული დებულების დანართში. მაგრამ დებულების მიღების დროს იურისკონსულტები ვერ იქნებოდნენ დანართში შეტანილი, ვინაიდან მათი შტატები არ არსებობდა. ხოლო სსრ კავშირის შრომის და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1965 წლის 14 იანვრის № 32-ბ-2 დადგენილებით, იურისკონსულტები გათანაბრებული არიან სპეციალისტებთან. სოფლის მეურნეობის სამმართველოს იურიდიული ჯგუფების იურისკონსულტები იურიდიულად და ფაქტიურად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტები არიან. ა. დენისოვის ხელმოწერილი წერილი სწორი არ არის იურისტებისათვის მისაცემი პრემიის წყაროს მხრივაც. სამმართველოს იურისტებს ხელფასები ეძლევათ იმ მეურნეობების სახსრებიდან, რომლებსაც ემსახურებიან. ხოლო ა. დენისოვის განმარტების მიხედვით, იურისტებს პრემია უნდა მიეცეთ სამმართველოს მუშაკების საპრემიო ფონდიდან, ე. ი. სამინისტროს მიერ დაშვებული თანხებიდან. თუ კანონის არსით ვიხელმძღვანელებთ, სამმართველოს იურისკონსულ-



ტებს პრემიები უნდა ეძლეოდეთ კოლმეურნეობის სპეციალისტების თანაბრად, იმ კოლმეურნეობებიდან, საიდანაც ხელფასს იღებენ.

აღბათ, შესაბამისი ორგანოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომის და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 ივლისის დადგენილებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს „საახლხო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის წლიური შედეგების მიხედვით ჯილდოების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“, გაავრცელებენ სამმართველოების იურისკონსულტებზე ან დაუშვებენ დირექტივას, რომ სამმართველოების იურისტებს პრემიები ეძლეოდეთ არა თვენახევრის ხელფასის ოდენობით, არამედ სხვა სპეციალისტების თანაბრად, ე. ი. ხელფასის თვიური განაკვეთის 6-ჯერამდე, რასაც უკვე მიმართავენ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში.

ვფიქრობთ, ამ ხარვეზების გამოსწორება მნიშვნელოვნად აამაღლებს სოფლის მეურნეობაში იურიდიული სამსახურის ეფექტიანობას.

რედაქციისთვის: ტ. ლემონჯავას სტატიაში წამოჭრილია ბევრი საინტერესო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი. რედაქცია იმედოვნებს, რომ მას გამოეხმაურებიან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იურისტები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ბევრი საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაურევლად, ამიტომ რედაქცია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგანაც მოელის პასუხს.



სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძის პოლკანოვის პათი საქითსი

ა. უზუნაზვილი

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ და თეორიულ მემკვიდრეობასთან განუყოფლად არის დაკავშირებული მისი პრაქტიკული საქმიანობა. ილიას ბიოგრაფია რთულია და ისეთსავე სათუთ მიდგომას მოითხოვს, როგორც მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება. ილიას პრაქტიკული საქმიანობის ცალმხრივი, სუბიექტური გადმოცემა ისევე საზიანო და მიუღებელია, როგორც მისი შემოქმედების დამახინჯებული და ანტიმეცნიერული გაშუქება.

წინამდებარე სტატიის მიზანია ვაარკვიოს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთი საკითხი, რომლის თაობაზე ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოქმეული. საკითხი ეხება ილიას საქმიანობას სახელმწიფო საბჭოში და, კერძოდ, მის პრძოლას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

სახელმწიფო საბჭო რუსეთში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო. მისი წევრების ერთი ნაწილი მეფის მიერ იყო დანიშნული, ხოლო მეორე ნაწილს ირჩევდნენ.¹

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე 1906 წლის მარტში საქართველოს თავდაზნაურობამ თავის წარმომადგენლად გაგზავნა პეტერბურგში რუსეთის საიმპერიო ყრილობაზე. ყრილობას უნდა აერჩია თავისი წარმომადგენლები სახელმწიფო საბჭოში.² 8 აპრილს ყრილობამ ილია ჭავჭავაძეც აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად.

სხვათა შორის, ილიას, თურმე, არ უნდოდა გამხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, მა-

გრამ შემდგომში დათანხმდა, ალბათ, იმ იმედით, რომ შესაძლებლობა მიეცემოდა საკანონმდებლო ორგანოში დაეცვა ერისა და ჩაგრული ხალხის ინტერესები. თანამედროვის ცნობით, ილიას სახელმწიფო საბჭოს სესიის განხილვის წინ კორესპონდენტიხათვის განუცხადებია: „სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევსწირავ ჩემს ძალღონესს.“³

სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია გაიხსნა 1906 წლის 28 აპრილს და გაგრძელდა 7 ივლისამდე. ილია ჭავჭავაძე პირველი სესიის თითქმის ყველა სხდომას ესწრებოდა. 22 ივნისის სხდომაზე, როდესაც სახელმწიფო საბჭოს შინაგანაწესის პროექტი განიხილებოდა, ილიამ გააყრიტყა ეს პროექტი.

სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის დამთავრების შემდეგ ილია საქართველოში დაბრუნდა. 1907 წლის თებერვალში იგი კვლავ პეტერბურგში მიემგზავრება სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც 20 თებერვალს გაიხსნა და მუშაობას განაგრძობდა 6 ივლისამდე. დღემდე გაბატონებულია შეხედულება, რომ ილია ჭავჭავაძემ სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და წარმოიტყვა სიტყვა, რომელიც არ არის აღმოჩენილი, რად-

¹ სახელმწიფო საბჭო რუსეთში შეიქმნა 1810 წელს მ. სპერანსკის პროექტის მიხედვით. 1906 წლამდე იგი იყო უმაღლესი სათათბირო ორგანო, 1906 წელს მომხდარი რევოლუციის შედეგად კი გარდაიქმნა უმაღლესი საკანონმდებლო პალატად, რომელიც განიხილავდა და ამტკიცებდა სახელმწიფო სათათბიროში განხილულ კანონპროექტებს. სახელმწიფო საბჭოს გვერდით უმაღლესი ხელისუფლება მაინც მეფეს რჩებოდა, რომლის ხელმოწერადაც ვერავითარი კანონი ძალაში ვერ შევიდოდა. სახელმწიფო საბჭო არსებობდა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე.

² დეტულების მიხედვით თავადაზნაურობა სახელმწიფო საბჭოში ირჩევედა 18 წარმომადგენელს.

³ ვ. ზოლქვაძე. ახლო წარსულიდან, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ). ჟურ. „განათლება“, 1908 წ., № 3—4, გვ. 108.



განაც მეფის მთავრობას აუკრძალავს მისი გამოქვეყნება.

ძნელია იმის მტკიცება, თუ საიდან მომდინარეობს ეს აზრი, ვინ შეთხზა იგი პირველად, ვისთვის ან რისთვის არის საჭირო, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს უსაფუძვლო შეხედულება უფრო მეტად იკიდებებს ფენს და თანდათან სცილდება ბიოგრაფიული ფაქტის დადგენის ჩარჩოებს. მკვლევარები სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ ფაქტით ისინი ცდილობენ დასაბუთონ ილიას სიმპათიები 1905 წლის რევოლუციისა და დამარცხებული მუშათა კლასის წარმომადგენლებისადმი, რომელთაც მეფის რაქტაცია სასწრაფოებლით უსწორდებოდა, ასეთი ინტერპრეტაცია, ვფიქრობ, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. ილია მართლაც რომ გამოსულყო სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ეს ძალიან მცირე საბუთი იქნებოდა რევოლუციისადმი ილიას დამოკიდებულების განსაზღვრავად, რადგანაც სიკვდილით დასჯის მოსპობის მოთხოვნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რევოლუციის თანაგრძნობას და მხარდაჭერას. სახელმწიფო საბჭოში არაერთი წევრი გამოსულა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, მაგრამ არ ყოფილა მუშათა მოძრაობისა და პროლეტარული რევოლუციის მომხრე. ილიას დამოკიდებულება 1905 წლის მუშათა მოძრაობისთან, სახელმწიფო საბჭოში გამოუსვლელადაც საკმაოდ ნათლად და ობიექტურად არის გარკვეული და საჭირო არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი ფაქტების მომხრეობა. ილია თუ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ არ გამოსულა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი მომხრე იყო ასეთი სასჯელის და რეპრესიებისა, რაც იმ პერიოდში მძვინვარებდა.

სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის გამოსვლას ვრცლად ეხება და ასაბუთებს ილიას ცნობილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა. სხვა ავტორები ან ეთანხმებიან პ. ინგოროყვას, ან იმეორებენ მის არგუმენტებს. ლიტერატურაში საწინააღმდეგო მოსაზრებაც არის გამოთქმული და დასაბუთებული.⁴ ამ საკითხს

კვლავ ვუბრუნდებით იმიტომ, რომ პ. ინგოროყვას მტკიცება დღესაც ზეგრს სარწმუნოდ მაინცა. სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლის თაობაზე პ. ინგოროყვა წერს:

„სახელმწიფო საბჭოს... მეორე სესიაზე ილია გამოვიდა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ.

ილია ამ გამოსვლისათვის დიღხანს ემზადებოდა. ჩვენამდე შენახულია ამ სიტყვის შავები, კონსპექტური ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ ილიას ეს სიტყვა ვრცელი მოხსენების სახით მოუხაზავს.

სამწუხაროდ, სიტყვის სრული დღღანი დღემდე აღმოჩენილი არ არის; ირკვევა ამასთან, რომ სიტყვის დაბეჭდვა, მისი წარმოთქმის შემდეგ, მთავრობას აუკრძალავს.

ილიას სიტყვის შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობებია შენახული.

ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში საკითხის დასმისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ილია ყოფილა. ეს კითხვა წინასწარ გარჩეულია სახელმწიფო საბჭოს შემარცხენეთა ჯგუფში (რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და წევრი იყო ილია) და ილიას თავის თავზე აღუდია მოხსენების დამზადება ამ საგანზე. უურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც როგორც მოვიხსენეთ, მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში 1906—1907 წლებში, გადმოგვცემს:

„...სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა“.


მოხსენების დამთავრების შესახებ იგივე მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს ილიას ნათქვამს:

„გულში სდამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუყობთ ჩვენს წრეს (სახელმწიფო საბჭოს შემარცხენეთა ჯგუფს), მერმე, კი სახელმწიფო საბჭოს“.

სახელმწიფო საბჭოს წევრი ცნობილი რუსი მეცნიერი მაქსიმე მაქსიმეს ძე კოვალევსკი ამასთან აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიასთან ერთად გამოსულა პროგრესული მოღვაწე პროფ. ტაგანცევი. მ. მ. კოვალევსკი გადმოგვცემს: ...«внязь Чавчавадзе высказал-

4 იხ. მაგალითად, პ. კენჭოშვილი. ილია ჭავჭავაძე. 1962 წ. გვ. 89; გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე. 1966 წ. გვ. 110.

5 იხ. ს. ჯორბენაძე. ილია ჭავჭავაძე — სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლი. თსუ შრომები, ტ. 69, 1958 წ. გვ. 223—252; ა. შუშანიშვილი. ილია ჭავჭავაძის სისხლის სამართლებრივი შეხედულებანი, თსუ სტუდენტთა XX კონფერენცია. 1958 წ. გვ. 94.



ся за отмену смертной казни ...заодно с проф. Таганцевым».

როგორც ირკვევა, სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ილიას წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდა წარვეცხებით, რადგან ამ სხდომებზე წარმოთქმული წოდებით სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალული სიტყვათა შორის, როგორც ირკვევა, ყოფილა ილიას სიტყვაც.

ის გარემოება, რომ მთავრობას აუკრძალავს ილიას სიტყვის გამოქვეყნება, მოულოდნელს არას შეიცავს. ეს არის ის ხანა, 1907 წელი, როდესაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის დროს, რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში სანაწიხლები იყო აღმართული ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა დასასჯელად.

ილიას სიტყვა პირდაპირ იყო მიმართული მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ...

ილიამ სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნა გამოიყენა იმისათვის, რომ გახედულად დაეგმო ცარიტული თვითმპყრობელობის სისხლიანი გზა და მხარში ამოსდგომოდა ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებს⁶.

ასეთია ძირითადად ის დასკვნები, რომლებითაც თითქოს დასტურდება ილიას გამოსვლა სახელმწიფო საბჭოში. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი დამაჯერებელია, მტკიცებულებებიც საქმეა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

პირველი მცდარი დებულება, რომელსაც პ. ინგოროყვა აყენებს, ის არის, რომ ილია სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ საკითხის დასმის ინიციატორი ყოფილაო. შეუძლებელია სახელმწიფო საბჭოში ილია ყოფილიყო სიკვდილით დასჯის საკითხის დასმის ინიციატორი. საერთოდ, აქ ვისიმე ინიციატორობაზე ლაპარაკი არ შეიძლება და აი რატომ:

სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი, სახელმწიფო საბჭოში განხილვამდე, დასმული იყო პირველ სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც ფაქტიურად სახელმწიფო საბჭოს ქვედა პალატას წარმოადგენდა.

სასჯელთა სახეობებიდან სიკვდილით დასჯის ამოღების საკითხი ადრეც არაერთხელ

ყოფილა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოების მსჯელობის საგანი, მაგრამ იგი პირველ სახელმწიფო სათათბიროში დაისვა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ეს იყო 1906 წლის ზაფხული; ცარიზმის ჯალათები ყველა ღონისძიებას მიმართავდნენ რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. ფართოდ იყენებდნენ სიკვდილით დასჯას. სისხლის სამართლის სასჯელის ამ უმაღლეს ზომას მეფის მთავრობა მიმართავდა ხასამართლო წარმოების წესის დაუცველად. რუსეთის მოსახლეობა მოითხოვდა ამ თვითნებობის აღკვეთას. მასობრივად ეწეობოდა გამოსვლები, იმართებოდა მიტინგები, კრებები, სადაც მოითხოვდნენ სიკვდილით დასჯის გაუქმებას. პირველ სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ დეპუტატებს მოსახლეობა აბარებდა ებრძოლათ სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად, ეს გარემოება ბევრმა დეპუტატმა საზგანძობით აღნიშნა თავის გამოსვლაში⁷.

პირველმა სახელმწიფო სათათბირომ სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი განიხილა 1906 წლის 18, 26 მაისს და 19 ივნისს. მიუხედავად კადეტების ცდისა, ჩეფუშთა აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაჭრა, სათათბირომ წევრთა ნების უმრავლესობით მიიღო შემდეგი სახის კანონპროექტი:

- „მუხ. 1. სიკვდილით დასჯა გაუქმდეს.
- მუხ. 2. ყველა შემთხვევაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა (სისხლის სამართლის დებულება, დებულება სასჯელთა შესახებ, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო წესდებასი სასჯელთა შესახებ) ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, შეიცვალოს სიმძიმით მომდევნო სასჯელით“.

სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული აღნიშნული კანონპროექტი დასამტკიცებლად გადაიდა სახელმწიფო საბჭოში, როგორც შემდგომ საკანონმდებლო ორგანოში. სახელმწიფო საბჭოში დაუმტკიცებლად სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი ვერ მიიღებდა კანონის ძალას.

მაშასადამე, სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი სახელმწიფო საბჭოში შევიდა როგორც ქვემდებარე საკითხი. სახელმწიფო საბჭომ განიხილა არა ვისიმე საკანონმდებლო ინიციატივით დასმული საკითხი, არამედ პირველი სახელმწიფო სათათბიროდან შესული კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

6 პ. ინგოროყვა. ილია ჯავახიშვილი, ნარკვევი. 1957 წ. გვ. 178—180.
 7 იბ. მაგალითად, ნოვოდვორსკის, ლტოტის და სხვათა გამოსვლები კრებულში: «Государственная Дума. Стенографические отчеты. Сессия первая», Петербург. 1906 г.



დაუსაბუთებელია პ. ინგოროყვას მტკიცება, თითქოს ილია სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის საკითხზე გამოხუდიყოს 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. მართო ის ფაქტი, რომ ამ თარიღების სტენოგრაფიული ანგარიშები სრულად არ არის შემონახული, არ ნიშნავს იმას, რომ ილია სწორედ ამ დღეებში გამოვიდოდა. სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, ე. ი. 1907 წელს საერთოდ არ განხილულა სიკვდილით დასჯის საკითხი და როგორ შეეძლო ილიას აპრილში ან მაისში გამოხუდიყოს ამ საკითხზე.

სახელმწიფო საბჭომ სიკვდილით დასჯის საკითხი განიხილა პირველ სესიაზე 1906 წლის 27 ივნისს, ე. ი. პირველი სახელმწიფო სათათბიროს მიერ ამ საკითხზე კანონპროექტის მიღებიდან 8 დღის შემდეგ. 27 ივნისს კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობდა თორმეტი ორატორი, ექვსი მათგანი სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე იყო, ხოლო ექვსი — წინააღმდეგი.

27 ივნისს ვერ შეთანხმდნენ და გადაწყდა საკითხი მოსამზადებლად გადასცემოდა სპეციალურ კომისიას. რასაკვირველია, საკითხი მომზადებული და ნათელი იყო, ნათელი იყო ისიც, რომ სახელმწიფო საბჭო სათათბიროს მიერ მიღებულ კანონპროექტს არ დაამტკიცებდა, მაგრამ საბჭომ მაინც ამჯობინა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მანევრირებისა და თვალთმაქციობის გზა აერჩია:

სიკვდილით დასჯის საკითხის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 15 კაცის ოდენობით. 28 ივნისს აირჩიეს კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის შემადგენლობაში ილია არ ყოფილა შეყვანილი. კომისიას დაევალა მოემზადებინა საკითხი და მოხსენება წარმოედგინა საბჭოს სხდომაზე. კომისიას არ განუსაზღვრეს მოხსენების წარმოდგენის ვადა. საბჭოს ზოგიერთმა წევრმა შეიტანა წინადადება, რომ კომისიისათვის მოხსენების წარმოსადგენად განესაზღვრათ სამი დღის ან ერთი კვირის ვადა, მაგრამ ეს წინადადება უარყვეს, რადგან კომისიაც ცარილების ინტერესების დამცველი იყო და მოხსენებას მაშინ წარმოადგენდა, როცა სახელმწიფო საბჭო სიკვდილით დასჯის გაუქმების საწინააღმდეგო დადგენილების გამოტანას ხელსაყრელად მიიჩნევდა.

მართლაც კომისიის „ვერ მოასწრო“ სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაზე შეეტანა თა-

ვისი მოხსენება სიკვდილით დასჯის საკითხზე. სახელმწიფო საბჭოს მეორე სესია გაიხსნა 1907 წლის თებერვალში. ამ დროისათვის პირველი სახელმწიფო სათათბირო უყვე დათხოვნილი იყო და საბჭოს მეორე სესიის დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნა ის კანონპროექტები, რომლებიც პირველი სათათბიროდან იყო შესული.

სახელმწიფო საბჭომ 1907 წლის 14 მარტს გამოიტანა დადგენილება, რომ აღარ განხილულიყო კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რადგანაც სათათბიროს ის შემადგენლობა, რომელმაც კანონპროექტი მიიღო, დათხოვნილი იყო. ამ ასე რომ, კომისიის მიერ მომზადებული მოხსენება საბჭოს მეორე სესიაზე არ განხილულა და სიკვდილით დასჯის საკითხზეც არავინ გამოხუდა.

ილია ჭავჭავაძე რომ სიკვდილით დასჯის საკითხზე სახელმწიფო საბჭოში გამოხუდაყო, ეს უნდა მომხდარიყო 1906 წლის 27 ივნისს. ილიას მოღვაწეობის სხვა დღეებში სახელმწიფო საბჭოს აღნიშნული საკითხი არ განუხილავს. ხოლო რა გორც დაგინახეთ, ილია 27 ივნისს ამ საკითხზე არ გამოხუდა.

პ. ინგოროყვა სწორად არ იპოწმებს მაქსიმე კოვალევსკის: მ. კოვალევსკის არახოდეს არ უთქვამს, რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიასთან ერთად პრაოდ. ტავანცევიც გამოვიდაო. პ. ინგოროყვას, აღბათ მწედგელობაში აქვს მ. კოვალევსკის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1913 წელს ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სხდომაზე პეტერბურგში.⁹ კოვალევსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ: «Заодно с проф. Таганцевым, пятидесятилетнее служение которого русской Государственности мы будем праздновать на днях, князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни».

ნუთუ ამ სიტყვებიდან გამოდის ის დასკვნა, რომ ილიასთან ერთად სახელმწიფო საბჭოში ტავანცევიც გამოხუდა. სრულგებოდაც არა. ჭერ ერთი, „высказался“ არ ნიშნავს გამოხვლას. მეორე, „высказался“ შეიძლება არა მარტო სახელმწიფო საბჭოში, არამედ სხვაგანაც. მეხამე, პრაოდ. ტავანცევი სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის საკითხზე გამოვიდა 1906 წლის 27 ივნისს, მუხადადამე. ილიაც ამ დღეს უნდა გამოხუდიყო და არა 1907 წლის

⁸ იხ. Всеподданейший отчет председателя Государственного Совета за вторую его сессию. Петербург, 1907 г. стр. 8—9.
⁹ მ. კოვალევსკის სიტყვის პირი ინახება ყვარულში ილიას სახელმწიფოში.

17 აპრილს ან 2 მაისს, როგორც ამას პ. ინგოროყვა ამტკიცებს.

სხვათა შორის მ. კოვალევსკი სახელმწიფო საბჭოში არც პროფ. ტავანცევის გამოსვლას დასწრებია, რადგანაც საბჭოს წევრად იგი 1907 წლის თებერვალში აირჩიეს.¹⁰

მაშ საიდან იცოდა მ. კოვალევსკიმ, რომ პროფ. ტავანცევთან ერთად ილიამ გამოთქვა აზრი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ტავანცევის შეხედულებანი რომ იცოდა კოვალევსკიმ, ეს მოულოდნელი არ არის, რადგანაც ტავანცევი საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც სიკვდილით დასჯის სასტიკი მოწინააღმდეგე. იგი თავის შეხედულებებს გამოთქვამდა არა მარტო სახელმწიფო საბჭოში, არამედ ყველგან, სადაც კი სისხლის სამართლის საკითხებზე უხდებოდა გამოსვლა. მას სიკვდილით დასჯის საკითხზე არაერთი გამოკვლევა აქვს დაწერილი და, ბუნებრივია, რომ კოვალევსკი იცნობდა ტავანცევის შეხედულებებს.

მ. კოვალევსკის სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ ახლო ნაცნობობა ჰქონდა ილიასთან და გამორიცხული არ არის, რომ ილია თავის ნააზრევს სიკვდილით დასჯის საკითხზე გამოთქვამდა ხოლმე კოვალევსკის თანდასწრებით.

რა თქმა უნდა, მ. კოვალევსკის სიტყვები: «Заодно с проф. Таганцевым... князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни» არ უნდა გავიგოთ, როგორც ილიას გამოსვლა ტავანცევთან ერთად, ერთდროულად, ერთსა და იმავე ადგილას, არამედ აქ იგულისხმება, რომ ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოთქვამდა თავის შეხედულებებს ისევე აშკარად და პროგრესულად, როგორც პროფ. ტავანცევი.

ყოველ შემთხვევაში, ილია რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის საკითხზე გამოხუციყო, ეს აუცილებლად ეცოდინებოდა პროფ. ტავანცევს, მით უმეტეს, თუ პ. ინგოროყვას დავუჭერებთ, ილიაც მასთან ერთად გამოხუცდა. პროფ. ტავანცევმა რომ ილიას გამოსვლის შესახებ არაფერი იცოდა, ეს შემდეგი წყაროებიდან ჩანს.

პროფ. ტავანცევმა 1906 წლის დამლევს გამოაქვეყნა შრომა: «Закон-проект о смертной казни в Государственном Совете», რომელშიც დაწვრილებით არის განხილული სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის სა-

კითხის განხილვის ამბავი. ამ შრომაში პროფ. ტავანცევი იხსენიებს თითქმის ყველა ორატორს, რომელიც სახელმწიფო საბჭოში გამოვიდა სიკვდილით დასჯის საკითხზე. ილია რომ საბჭოში ნამდვილად გამოხუციყო, ცხადია, ტავანცევი მასაც მოიხსენიებდა.

არსებობს მეორე ფაქტიც: პროფ. ტავანცევი 1910 წელს ერთ-ერთ გადამუშავებულ შრომაში, ეხება რა სიკვდილით დასჯის საკითხს, აღნიშნავს, რომ სასჯელის ამ დონისძიების სიძაქრის გამო თვითონ დაზარალებულებიც კი წინააღმდეგი არიან დამნაშავეის დასჯისათ. ამ დებულების დასადასტურებლად ტავანცევს მაგალითად მოყვას ილიას მეუღლის — ოღლა თადეოზის ასულის წერილი კავკასიის მეფის ნაცვლისადმი.¹¹ ეს წერილი ილიას მეუღლემ დაწერა 1908 წელს. წერილში იგი მეფის ნაცვალს სთხოვს, რომ ილიას მკვლელებს ნუ დასჯით სიკვდილით, რადგანაც თვითონ ილია ასეთი სასჯელის წინააღმდეგი იყო. იმომეებს რა ოღლას წერილს, პროფ. ტავანცევი აქვე იხსენიებს ილიას, როგორც ერთ-ერთ ამხანაგს, სახელმწიფო საბჭოს წევრს. ბუნებრივია, ილია რომ სახელმწიფო საბჭოში გამოხუციყო, ტავანცევს ეს ეცოდინებოდა და მას მოიხსენიებდა როგორც სიკვდილით დასჯის ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს, რომელიც სახელმწიფო საბჭოში გამოვიდა, მით უმეტეს, რომ ტავანცევის დებულების დასადასტურებლად ეს უკეთესი საბუთი იქნებოდა.

რაც შეეხება მ. ბოლქვაძეს, რომელსაც პ. ინგოროყვა იმომეებს, არსად არ აღუნიშნავს, ილია სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა. 1908 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ახლო წარსულიდან“¹² მ. ბოლქვაძე გვამცნობს, რომ ილია სახელმწიფო საბჭოში „მიეკედლა მემარცხენეთა პატარა წრეს“. ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ რა წრე იყო ეს, ვინ შედიოდა მასში. ერთი რამ ცხადია, ეს ჯგუფი არ უნდა ყოფილიყო ოფიციალური კომისია. ეს იქნებოდა უფრო თანამოაზრეების ამხანაგური წრე, ჯგუფი. ბოლქვაძის ცნობით, „ეს მცირე გუნდი შეადგენდა განცალკევებულ კომისიას და დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს პირველ სათათბიროს წენერგიულ და გაბედულ მუშაობას. ეს წრე თავის კრებაზე არჩევდა იმ კითხვებს, რომელნიც სათათბიროში მზადდებოდა.

¹⁰ См. Государственный Совет 1906—1907 г. стр. 239.

¹¹ См. Н. Таганцев. Смертная казнь. Петербург. 1913 г. стр. 169.

12 ; — Ч С СВЫГ МВЫГУ

12 იხ. ქურხალი „განათლება“, 1908 წ., № 3—4.

ასეთი დიადი კითხვები იყო — ამნისტია, სიკვდილათ დასჯის მოხშობა, აგრარული კითხვა და სხვა. არც ერთი ამ კითხვისათვის არ აუხვევია ჯერდი ილიას... სიკვდილით დასჯის მოხშობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა. ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა წაეკითხა.¹³

ბოლქვაძის გადმოცემით, ილიას სიკვდილით დასჯის საკითხზე მოუშაადებია მეტად შინაარსიანი მოხსენება, რომელიც თავისი ამხანაგებისათვის წაუკითხავს და გადაუწყვეტია სახელმწიფო საბჭოშიც წაეკითხა. წაიკითხა თუ არა ილიამ ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში, ამის შესახებ მ. ბოლქვაძე არაფერს ამბობს.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ილიამ მოხსენება მოაწადა. მან 1906 წლის 27 ივნისის სხდომიდან იცოდა, რომ სიკვდილით დასჯის საკითხზე კომისია იყო გამოყოფილი და რომ ეს საკითხი სახელმწიფო საბჭოს კიდევ უნდა განეხილა. საფიქრებელია, რომ ილიამ გადაწყვიტა ამ მეორედ განხილვისას მიეღო მონაწილეობა და მოხსენებაც მოამზადა. ყოველ შემთხვევაში ილიას ეს გადაწყვეტილება უნდა მიეღო 1907 წლის 14 მარტამდე, ე. ი. სანამ მისთვის ცნობილი ვახდებოდა, რომ სახელმწიფო საბჭო სიკვდილით დასჯის საკითხს აღარ განიხილავდა.

ჩვენამდე მოღწეულია ილიას მიერ სიკვდილით დასჯის საკითხზე გაკეთებული მოკლე კონსპექტი, რომელიც სულ 7 პუნქტისაგან შედგება¹⁴. შესაძლებელია, ეს კონსპექტი წარმოადგენს ძირითად დებულებებს, იმ მოხსენების მოკლე ამონაწერს, რომელიც

ილიამ მოამზადა სახელმწიფო საბჭოში გამოსასვლელად, მაგრამ როგორც დაეინახეთ, ვერ მოუხსწრია გამოსვლა. კონსპექტი რომ სახელმწიფო საბჭოში გამოსვლის მიზნით უნდა იყოს გაკეთებული, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ საბჭოში გამოსულ ორატორს, შინაგანაწესის მიხედვით მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ მოკლე თეზისების გამოყენება უფლება. სავარაუდოა, რომ ილიამ მოხსენების მომზადების შემდეგ შეადგინა ეს მოკლე ამონაწერი, რათა საბჭოში გამოსვლის შემთხვევაში გამოეყენებინა. ისიც სავარაუდოა, რომ ილიამ მოხსენება თავიდანვე თეზისების სახით ჩამოაყალიბა და მოხსენების წერილობითი ტექსტი არ შეუდგენია.

ყოველ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კონსპექტის მიხედვით ვიმხედლებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოხსენება, წერილობით იყო იგი გაფორმებული თუ არა, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტის შესანიშნავი ნიმუში იქნებოდა.

ილიას შეხედულებანი სიკვდილით დასჯის საკითხზე დაკავშირებული არ არის მხოლოდ სახელმწიფო საბჭოსთან. მის მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ და კერძო წერილებში უხვად არის გამოთქმული მეტად ორიგინალური და ღრმავაროვანი დებულებები, როგორც სიკვდილით დასჯის, ისე სანაართლის სხვადასხვა დარგების საკითხებზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხები ილიას მემკვიდრეობიდან მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას და შესწავლას. სახიამოვნოა, რომ ამ მიმართებით უკვე გადაიღვა პირველი სერიოზული ნაბიჯები.¹⁵

13 ჟურნალი „განათლება“, 1908 წ. № 3—4, გვ. 110.

14 კონსპექტი პირველად გამოქვეყნდა ჟურ. „მნათობში“ 1957 წ. № 9.

15 იხ. ვ. ჟვანია. მართლმსაჯულება და პუბლიცისტის ზოგიერთი საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. 1974 წ. ვ. მეტრეველი. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე. 1977 წ.

ილია ჭავჭავაძე დანაშაულის პრისის შესახებ

დოკ. 3. დ. მატრეველი

ილია ჭავჭავაძეს თავის მდიდარ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ნაშრომებში საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული სამართლის საკითხებზე. ეს ბუნებრივია — ილია ხომ განათლებით იურისტი იყო და არ შეიძლებაოდა, მისი იურიდიული განსწავლულობა, მომრიგებელ მოსამართლედ და ნაწიც ვეჭილად მუშაობა სათანადოდ არ ასახულიყო როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ნაწარმოებებში.

ილია ჭავჭავაძეს არ შეუქმნია არავითარა სპეციალური იურიდიული ხასიათის ტრაქტატი, მაგრამ მის მრავალრიცხოვან შრომებში უხვად არის გამონათქვამები სხვადასხვა იურიდიულ საკითხზე. მათი შეგროვება და განალიზება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ დიდი მწერლის შეხედულებანი დანაშაულის, სასჯელის, მართლმსაჯულების, კანონიერების, დანაშაულის მიზეზების შესახებ, აგრეთვე სამართლის სხვა პრობლემებზე.

ილია ჭავჭავაძის სიხშილს სამართლებრივ შეხედულებათა შესასწავლად უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს მწერლის თვალსაზრისი დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ. ამ საკითხს ეძღვნება წინამდებარე წერილი.

ილია ჭავჭავაძე დანაშაულის არსის ახსნას ცდილობს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებით. არკვევს კერძოდ, თუ როგორ უნდა მოიქცეს პიროვნება, რომელიც საზოგადოებაში ცხოვრობს, რა მოვალეობა ეკისრება მას და როგორი უნდა იყოს საზოგადოების დამოკიდებულება ამ უკანასკნელის მიმართ, როცა ის არ ასრულებს თავის მოვალეობას. კაცთა საზოგადოება თავისი სიმკვიდრისა, შეურყევლობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელია და კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის. იგი გვეუბნება, თუ ერთმანეთობა გინდა, თუ კრებულად ყოფნა გსურს, ამა-და-ამაზედ ნაკლები სამართლედ არ იქონიო, ამა-და-ამა-

ზედ ნაკლებ გულმოდგინედ და ერთგულად არ მოეციოდ შენს მოვალეობას, ამაზედ ნაკლები თანაგრძნობა, თანაზიარობა, ერთმანეთობაში არ დაიზარო, ამა-და-ამაზედ ნაკლები საყოველთაო ტვირთი არა ჰქილო, და მებრვე სხვა. ამ სახით კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ერთმანეთობა და ყოფა-ცხოვრება ჰქმარობს მართლ minimum-ს სათნოებისას.

ამ minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველაკაცის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდევ. დამცილებული სცოდავს საზოგადოებას და ისევეა საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა.¹ (ხაზი ჩვენია ვ. მ.).

აქედან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის აზრით, დანაშაული მთელი საზოგადოების ინტერესების, ამ საზოგადოებაში დადგენილი ქცევის წესების მოთხოვნათა, ქცევის იმ სავალდებულო წესის დარღვევაა, რომლის შესრულება მოითხოვს სათნოების მინიმუმის გაღებას პიროვნებისაგან. პიროვნება, საზოგადოების სასარგებლოდ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ილიას აზრით, სასჯელს იმსახურებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის აზრით, დანაშაული საზოგადოების მოთხოვნათა შეუსრულებლობაა, მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქცევაა. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის დანაშაულის არსზე ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის გასარკვევად. იგი მეტად ზოგადად არის ჩამოყალიბებული, არ ჩანს დანაშაულის დამახასიათებელი სხვა კომპონენტები, განსხვავება დანაშაულსა და სხვა სამართალდარღვევას შორის. ამიტომ საჭირო ნდება მოვიშველიოთ ილია ჭავჭავაძის სხვა გამონათქვამები ცალკეულ დანაშაულობათა შესახებ და გავარკვიოთ დამსმული საკითხი. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ მწერალი დანაშაულის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებას ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაში ხე-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 224-225.

დავს, ხოლო თვით ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების კრიტიკიულად პიროვნების ქცევის მიზეზი და მიზანი მიაჩნია. ილია ჭავჭავაძე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს დანაშაულის ფორმალურ ნიშნებს და გამოთქვამს მოსაზრებას — ქმედობა დანაშაულად რომ დავაჯავლიფიციროთ, აუცილებელია გამოიძებნოს ამ ქმედობის გამომწვევი მთავარი მიზეზები, რომელთა მეშვეობითაც გამოასკარავდება მისი არსი, არის თუ არა იგი საზოგადოებრივად საშიში. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ თვით ილიას სიტყვებს: „აი ვხსოვს, ჩვენ წინა ჰდგას ერთი საწყალი, მიწასთან გასწორებული, ძონძებში და კონკეზში ძლივძლივ გახვეული დატაკი კაცი, რომელსაც უსმელ-უჭიმელობამ, შიშველ-ტიტველობამ ყოველივე ადამიანური ნიშნწყალი ჩამოართვა, გაუბათილა. სდგას საცოდავი და სცახცახებს ცალკე შიმშილითა და ცალკე სიცოცხესაგან და ელის მართლმსაჯულების მსჯავრს წარბშეკრულ და მიუდგომელ მსაჯულთაგან. მისი დანაშაული ის არის, რომ შმიერს ბაზარში ჩაუვლია, ფურწის დაზავუნდ პური დაუნახავს, უძღვევებს შიშს შიმშილით სიკვდილისას დაუხშვია გრძნობა სირცხვილითა, დაუვლია საცოდავს ხელი და ერთი ორშაურაიანი პური მოუტაცნია, „სახჯელი მაგას, სახჯელი“ — ვიძახით დიდი და პატარა: „როგორ თუ მოიბარა! როგორ თუ იჭურდა! პატრონა ქურდობისა და მტაცებლობის წაქეზება და წახალისება იქნება! ილია აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში დანაშაული კერძო საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ იქნებ ასეთ ქცევას ადამიანი სიკვდილისაგან დავსნა. ამ-

დენად ილიას ქურდის დასჯა უმართებულოდ მიაჩნია. მისი აზრით, უკიდურესად მძიმე გარემოებამ აიძულა ადამიანი ქურდობა დაეწყო, ამდენად არ შეიძლება იგი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას აქარწყლებს ქმედობის მიზეზი დაუძღვევლი ძალა შიმშილითა.

მეორე მხრივ, ქმედობას საზოგადოებრივ საშიშროებას უკარგავს დამნაშავეს ქცევის მიზანი — დამნაშავეს სურდა პურის ქურდობით გადაერჩინა თავი შიმშილით სიკვდილისაგან.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, უნდა დაისაჯოს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ხოლო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების კრიტიკიულად ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ დამნაშავეს ქცევის მიზეზი და მიზანი.


ილია ჭავჭავაძის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი, რომ დანაშაულია მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა და არა მცირე მნიშვნელობის ფორმალური დანაშაულობანი — გარკვეულად უახლოვდება სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის პროგრესულ მოთხოვნას — ფეოდალურ-კლერიკალური იურიპსრუდენციის საწინააღმდეგოდ, შემცირებულიყო კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა წრე, გაუქმებულიყო მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა დასჯადობა. კლასიკური სკოლის ერთ-ერთი მამამთავარი ჩეხოვ ბეკარია კატეგორიულად მოითხოვდა დასჯადობის გაუქმებას, რასაც აწესებდა უგუნური კანონმდებლობა, ნებისმიერ ქმედობაზე, ხოლო ვალტერი ნაროში ჰქილდო სამართლიანობისა

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 260-261. ეს მაგალითი არაერთგზისა მე-19 საუკუნის ქართველ თუ რუს სამოციანელთა შრომებში გამოყენებული, როგორც დანაშაულის, ისე მისი მიზეზების ასახსნელად. იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. I, გვ. 285-286; ასევე А. И. Герцен, Собрание сочинений в 30 томах. Изд. Академии наук СССР, т. 7, 1956, стр. 320.

3 ი. ჭავჭავაძის შრომებში შეინიშნება, რომ წყურაღს ქცევის განსაზღვრულად საერთოდ მიაჩნია მიზანი. ამ აზრის ნაწილობრივ დადასტურება შეიძლება ი. ჭავჭავაძის მიერ ფრ. ა. ლანგეს წიგნში სათანადო ადგილის ხაზგასმით. აქ აღნიშნულია: Мы на мгновения можем допустить мысль, что преследование личных интересов может стать в будущем единственным мотивом человеческих поступков: Фр. Альб Ланге. История материализма, С.-Петербург, 1899, стр. 666. ამ გამოთქვამიდან ჩანს, რომ ილია ეთანხმება მოსაზრებას, რომლის მიხედვით პირადი ინტერესი განაპირობებს ადამიანთა ქცევას. წიგნი დაცულია ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ფონდში, თბილისის კ. შარქის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში.

4 ტერმინი „ფორმალური“ — ნახშირი გვაქვს ზოგადი გაგებით და არა სისხლის სამართალში შემოღებული ფორმალური დანაშაულის ანუ უშედეგო დანაშაულის მნიშვნელობით.

5 Чезаре Бекария, О преступлениях и наказаниях. (биографический очерк). М., 1939, стр. 395.



და ჰუმანურობისათვის“ პირდაპირ წერს: „რადგან თაღლითობა, წვრილობანი ქურდობა, ქურდობა ჩვეულებრივ ღარიბთა დანაშაულს წარმოადგენს, და რადგან კანონებმა მდიდრები ქმნიან, ხომ არ იფიქრებდით, თქვენ, რომ, ყველა მთავრობა, შედეგმა რა მდიდრებისაგან — ვალდებულია უპირველეს ყოვლისა მოსპოს სიღარიბე, ნაცვლად იმისა, რომ დარაჯობდეს შემთხვევებს ჯალათებისათვის გადასაცემად“.⁶

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დონის დასადგენად ი. ჭავჭავაძე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობის მიმართ, ანუ ბრალს, და დამნაშავეს პიროვნებას.

ილია ჭავჭავაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ, თუ ადამიანი კაცთმოყვარე და სამართლიანია, იგი არ შეიძლება დამნაშავე გახდეს, ავკაცობა ჩაიდინოს, რადგანაც კაცთმოყვარობის გრძნობა ბოჭავს მას, ნების არ აძლევს ჩაიდინოს ავკაცობა.⁷

ილია ჭავჭავაძე გაკვირით ეხება გაუფრთხილებლობითა და განზრახ ჩადენილ დანაშაულობათა განსხვავებას. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული და მისი ჩამდენი პიროვნება ნაკლებად საშიშოა საზოგადოებისათვის, ვიდრე განზრახ დანაშაული და დამნაშავე. „დანაშაულობა, რომელიც წარმოსდგება ჩხუბისა და ერთმანეთის წაქიფებისაგან, ჯერ კიდევ იმას არა ბნინნავს, რომ დამნაშავე ავაზაკია, გულით წამხდარი კაცია. ესეგვარი დანაშაულობა შეიძლება ფათერაკად (საზი ჩვენია ვ. მ.) შეემთხვეს ყოვლად პატიოსან კაცს და ამიტომ ამისთანა დამნაშავე საშიში არ არის საზოგადოებისათვის. სულ სხვაა ავაზაკი, იგი დაუძინებელი მტერია. დაუძინებელი ბო-

როტია ყველასი. ავკაცობა მისი მულაში ხელობაა“.⁸ აქედან ნათლად ჩანს, აგრეთვე, რომ ილია გაუფრთხილებელ ბრალს, გაუფრთხილებლობას ფათერაკს უწოდებს და მიუთითებს, რომ ჩხუბი შეიძლება გაუფრთხილებლობით იქნეს ჩადენილი, ქურდობა და ყაჩაღობა კი მხოლოდ განზრახვით, ამიტომ ეს უკანასკნელი უფრო საშიშია, ვიდრე პირველი. ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის, დონის დასადგენად ილია ჭავჭავაძე მართლმოდ მიიშველიებს ბრალს.⁹

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, დანაშაული, ერთი მხრივ, საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო ქცევაა, მეორე მხრივ, კი — საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ილია ჭავჭავაძის სხვა ნაშრომების ანალიზის შედეგად ამ დასკვნამდე მივდივართ, რომ, რადგან დანაშაული საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო, საზოგადოებრივად საშიში ქცევაა, იგი დასაგმობია და გასაკიცხია.

ი. ჭავჭავაძე ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ქადაგებს და იბრძვის მათი ცნობიერებაში დამკვიდრებისათვის. ილია გმობს ანტისაზოგადოებრივ ქცევას, უპირველეს ყოვლისა კი დანაშაულს. „ოთარაანთ ქვრივში“ ილია ეხება ამ საკითხს. ოთარაანთ ქვრივი დარღმა შეიბყრო იმის ვაშო, რომ ვერ გაარკვია მისი ვაჟიშვილის უგუნებობის მიზეზი. იგი ფიქრობს: „ბნელმა თავის ნაბაღში გაახვია ჩემის გიორგის აშბავი. თუ სიყვარულია... ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის... ცოლო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე...“ ამ გამონათქვამიდან ჩანს, რომ ილია გმობს „ცოლოს“, „სისხლს“, ბოროტებას ანუ დანაშაულს. ილიას გმირებს — ოთარაანთ

⁶ Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу. М., 1956, стр. 320. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძე საოცრად ახლოს დგას კლასიკური სკოლის წარმომადგენლების — ბეკარიას, ვოლტერის და სხვათა თვალსაზრისთან სასჯელის, დანაშაულის მიზეზების და პროცესუალური სამართლის საკითხებზე. ვფიქრობთ, ი. ჭავჭავაძე საღუფტლიანად იცნობდა მათს შრომებს. ამ სკოლის რუს წარმომადგენლებთან (სპასოვიჩი, ტაგანცევი) კი პირადი ნაცნობობა ქონდა. სტატის მოცულობა არ იძლევა საშუალებას მოვხდინოთ შედარებითი ანალიზი ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე და ვუჩვენოთ ი. ჭავჭავაძის ორიგინალური თვალსაზრისი სისხლის სამართლის პრობლემებზე.

⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 299.

⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 234-235.

⁹ მკვლევარი ნ. კველიშვილი ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას და ბრალს. ეს დასტურდება მის მიერ ილია ჭავჭავაძის ციტატის არასწორი ინტერპრეტაციით. იხ. ნ. კველიშვილი, ი. ჭავჭავაძე იურისტი. თბილისი. 1970. გვ. 53.

საქართველო
საზოგადოებრივი მეცნიერებების
აქადემია

ქვრივს, გიორგის „ცოდოს“ ანუ დანაშაულის გაფიქრებაც კი აკრთობთ. გიორგის თქმით, „ცოდო“ ანუ დანაშაული მძიმეა, ხოლო მადლი მსუბუქია. ოთარნთ ქვრივს იმის გაფიქრებაც კი შიშის ზარსა სცემს, რომ მისმა შვილმა „ცოდო“ არ ჩაიდოს გულში, მან კარგად იცის, რომ „წუთისოფელი ცოდოს და მადლის ჭიდილია“: „ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლსა და ბუმბულისავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!... — უთხრა დედამ და ჩუაყვირდა შვილს, ახლარას იტყვისო... უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი დმერთმა მიხსნა — უბასუხა შვილმა. დედას გულზედ მოეშვა“.¹⁰

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე გმობს დანაშაულს, როგორც ანტისაზოგადოებრივ მოვლენას და მას უპირისპირებს მადლს, როგორც ჰუმანურობის გამოვლენას.

ილიას აზრით, დანაშაული მთლიანად, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეფასებითი ცნება, შეფასებითი კატეგორიაა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს რომ ილია ჭავჭავაძე უგულვებელყოფს დანაშაულის მატერიალურ ნიშნებს და მათთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობას დანაშაულის ფორმალურ ნიშნებს ანიჭებს. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ დანაშაულის არსის ახსნისას ილია მიუთითებს დანაშაულის ისეთ მატერიალურ ნიშანზე, როგორც არის საზოგადოების ინტერესების ანუ საზოგადოების საერთო ნების წინააღმდეგ მიმართული, საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგრამ, მეორე მხრივ, ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ დანაშაული დასაგმობი ქცევია. სწორედ დანაშაულის დაგმობა გულისხმობს შეფასებითობას, მაგრამ იგი მატერიალურ ნიშანს, ანუ ქმედობის საზოგადოებრივად საშიშროების ანალიზს ეფუძნება.

ილია ჭავჭავაძე რომ დანაშაულს შეფასებითის კატეგორიად მიიჩნევს, ეს დასტურდება 1881 წელს გაზეთ „ვერიასი“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ილია ჭავჭავაძე სვამს კითხვას: რა არის ცოდვა (დანაშაული). ილია პირდაპირ არ უპასუხებს ამ კითხვას და მიუთითებს, თუ რა არის ცოდვა და რა არ ჩაითვლება ცოდვად — ამაზე ჭერჭერობით კაცობრიობის ისტორიაში პასუხის არავის გაუცია: „ადამიანის უბედურება დღემდე იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და არ არის მადლი? რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი? რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვჩინია, რაც ერთ ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომავლინებელი, ის სახელგანთი საქმეა მეორეში“.¹¹

ილია გაკვირვებულია: „რათ უნდა იყოს ესე თუ გონება ადამიანისა ყველგან ერთნაირად ხადია და მრთელი?“

დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ გამოვხატოთ ილიას მიერ დასმული კითხვა, ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: დანაშაული, საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ობიექტური კატეგორიაა, თუ სუბიექტურია?

ილია უარყოფს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურობას და ასაბუთებს, რომ იგი სუბიექტური ანუ შეფასებითი კატეგორიაა: „კეთილი და ბოროტი, ცოდვა¹² და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა... ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის“.¹³

მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძის ზემოთ აღნიშნული გამონათქვამები იმით არის საინტერესო, რომ მან ფაქტიურად დასვა საკითხი დანაშაულის კლასობრიობის შესახებ, მაგრამ ახსნა ვერ მოუძებნა (შეიძლება განგებაც არ მოუძებნა). ილიას გა-

10 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 277-278.
 11 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 327. დანაშაულის არსზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძეზე გაცილებით ადრე (1844 წ.) ბ. ბელისკი აღნიშნავდა, რომ ადამიანთა საზოგადოება ჯერ კიდევ იმდენად არ არის განვითარებული, რომ შეთანხმდნენ, ჩამოაყალიბონ ჭეშმარიტებისა და მცდარობის, სამართლიანობისა და უსამართლობის, კანონიერისა და დანაშაულებრივის ერთიანი ცნებები, მანამდე კი, преступление будет только по наружности преступлением, внутреннем, существенно-непризнанием Справедливости и разумности того или другого закона» (В. Г. Белинский, Поли. собр. сочинений, т. XII, М.-Л., 1926, стр. 108).
 ი. ჭავჭავაძე გარკვეულ სიახლოვეს ამკლავებს ბ. ბელისკის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებასთან.

12 ტერმინ „ცოდვა“-ს ილია „დანაშაულის“ სინონიმად იყენებს.
 13 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 327-328.

კვირება იმის გამო, რომ „რაც ერთს შემთხვევაში ცოდვას მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორე შემთხვევაში“ — დანაშაულის კლასობრიობით აიხსნება. რასაც დანაშაულად გაბატონებული კლასი თვლის, ის ჩაგრული კლასისათვის არ წარმოადგენს დანაშაულს და პირიქით. სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძე, უარყოფდა რა კლასობრივ ბრძოლას, ვერ ხედავდა (ან განგებ არ სურდა დაენახა) დანაშაულის კლასობრივ ბუნებას. სწორედ ამიტომ მიაჩნია მას საზოგადოებრივად საშიში ქმედობა მთელი საზოგადოების ნების საწინააღმდეგოდ მიმართულ და დასაგმობ საქციელად. ილია ჭავჭავაძე ყოველთვის როდეს მიიჩნევდა დანაშაულად კანონებით აკრძალულ ქმედობებს, იგი დანაშაულის ცნების და არსის მატერიალური გაგების მომხრეა და არა ფორმალურისა. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძე უახლოვდება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისს დანაშაულის „შეფარდებითობის“ ანუ შეფასებითობის საკითხში¹⁴.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებებით, ვინაიდან დანაშაული საზოგადოების საერთო ნების საწინააღმდეგო ქცევაა, იგი აუცილებლად უნდა დაისაჯოს: „რა თქმა უნდა, რომ ყოველივე დანაშაული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქნას. ¹⁵ ასეთიანადაც მსჯელობს იგი „გლახის ნაამბობში“.

ნაწარმოებში ვაბრო, იგონებს რა თავის ბატონს დათიკოს, ჩამოთვლის მის დადებით თვისებებს და ამასთან ერთად მიუთითებს იმ უარყოფითზე, რაც მას ახასიათებდა. დათიკოს უარყოფითი თვისებები ბოროტებაში გადადის, დანაშაულში. სწორედ ამას აღნიშნავს ილია: „ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა — და მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა“¹⁶. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ბოროტებაზე რეაგირება აუცილებელია. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ილია თვითგასწორების მომხ-

რე იყოს. ¹⁷ არა, ილია ვმობს ბოროტებას და მოითხოვს მის აღკვეთას საზოგადოების სახელით. ილია არასოდეს არ დასულა თვითგასწორების, თვითგასმართლების თეორიამდე. პირიქით, მის ნაშრომებში დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივად საშიში და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედობების ზუსტი რეგლამენტაციის მოთხოვნას, რის მეორეხარისხიანი ფიქრობდა, რომ ბოლო მოღებოდა, ერთი მხრივ, თვითგასწორებას, თვითდასჯას და, მეორე მხრივ, მთავრობის თვითნებობის შეზღუდვას.

სოფლის ადგილობრივი მმართველობის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ილია ეხება სოფლის სასამართლოს უფლებამოსილებას და აღნიშნავს იმ უმართებულობას, რაც წესდებაშია მოცემული სოფლის სასამართლოს ქვემდებარეობის თაობაზე, კერძოდ, წესდებით სოფლის სასამართლოს ქვემდებარეობაში შედიოდა „წვირილმანი გადაცდომები“. იგივე სიტყვებით არის განსაზღვრული სოფლის მამასახლისის განსახილველი საქმეები. ილია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კანონში ზუსტად და ცალ-ცალკე ჩამოყალიბდეს ყველა ქმედობა, რომელიც ექვემდებარება როგორც სოფლის სასამართლოს, ისე სოფლის მამასახლისის. ამის დაუზუსტებლობა ილიას აზრით, გამოიწვევს ადმინისტრაციის უფლებების გაფართოებას და სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარებას ადმინისტრაციისადმი, რაც, ავტორის აზრით, მეტად საზიანოა.

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძეს დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის, ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებად მიაჩნია მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედობად აღიარება, რაც ვთვალისწინებული უნდა იქნას კანონში, აგრეთვე მათი დასჯადობა.

დანაშაულის არსზე ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის გასარკვევად მნიშვნელოვანია მწერლის შეხედულებანი ცალკეული სახეობის დანაშაულებრივ ქმედობებზე. ამაზე ილია მსჯელობს როგორც მხატვრულ ნაწარმოებ-

¹⁴ Б. В. Здравомыслов. Уголовно-правовые взгляды русских революционных демократов. М., 1959 г., стр. 15—57.

¹⁵ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, გვ. 337.

¹⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 81.

¹⁷ ა. ი. გერცენი ამავე საკითხზე შედარებით გაბედულად აცხადებს: ...в Томбовской губернии крепостной человек убил своего помещика, вступившись за честь своей невесты. И превосходно сделал, прибавим мы. Таковы нравственные последствия преступного и, по счастью, издыхающего теперь крепостного права». см. А. И. Герцен. Полн. собр. соч., под редакцией М. К. Лемке, т. X, стр. 205.



ბებში, ისე პუბლიცისტიკაში. მხატვრულ ნაწარმოებებში რამდენჯერმე გვხვდება მოსაზრება მკვლევლობის შესახებ. „კაკო ყაჩაღში“ ილიას მკვლელობის სახით გამოყვანილი ჰყავს ნაწარმოების მთავარი გმირი ზაქრო, რომელმაც ვერ აიტანა თავისი მამის ფიზიკური შეურაცხყოფა, უღმომბელი ცემა და მოკლა მოძალადე ბატონი.

პოემაში ილია ჭავჭავაძე ავითარებს იმ აზრს, რომ, მართალია, ადამიანისათვის სიცოცხლის მოსმობა, ვინც უნდა იყოს იგი, თუნდაც ბატონი, „ცოდვამ“ მაგრამ მასაც აქვს თავისი გამართლება. ამ შემთხვევაში კი ზაქრომ მოძალადის უკანონო მოქმედების გამო სულიერი აღელვების ნიადაგზე მოკლა ბატონი.¹⁸

ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ ნაწარმოებში წვეტებს უკიდურეს მდგომარეობაში ში ჩადენილი ქმედობის დანაშაულობათა საკითხს. „გლახის ნამბობში“ პატრიარქიდან გაქცეული გაბრო და ბებია შიმშილით იხოცებიან, ამიტომ გაბრო იძულებულია გავიდეს შარაგზაზე და მგზავრი გაძარცვოს.¹⁹ გაბრო ამბობს: „ის იყო ჩემი პირველი ავკაცობა, მაგრამ მევეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა?“.

აქ ილია ჭავჭავაძე ერთგვარად აშართლებს ასეთ დანაშაულს, რომელიც პიროვნების უზნეო საქციელიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ობიექტურ გარემოებებით არის განპირობებული. ილიას აზრით, თუ ქმედობა პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული, თუ იგი ობიექტურმა პირობებმა გამოიწვია, იგი ბოროტებად არ ჩაითვლება, იგი არ იკიცხება და ამიტომ არც უნდა დაისჯოს, რადგან არ წარმოადგენს დანაშაულს.

„გლახის ნამბობში“ ილია ჭავჭავაძე არა ერთგვარად ეხება მკვლევლობის საკითხს, ცდილობს გაარკვიოს — ყველა შემთხვევაში ჩაითვლება თუ არა ადამიანის მოკვლა დანაშაულად, „ცოდვად“.

მოხუცი პებია სიკვდილის წინ გაბროს სთხოვს, რომ, თუ მის შვილს თამროს ნამუსი აშხადეს და გააუპატიურეს, სამაგიერო გაღუბნად მოძალადეს, ეს ცოდვა, ანუ დანაშაული არ იქნება: „...თუ თამრო ნამუსწართმული ჰნახოს, შემომბოძე, რომ იმის დამლუპველს მზეს დაუნნებებ! შენომფი-

ცე, რომ ისე უზიარებელს და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვლები! შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, მე ამიღა კისრად“.²⁰ იქნება შთაბეჭდილება, თითქოს ილია დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვას ქადაგებდეს, თითქოს სამაგიეროს მიზღვა, რაც მკვლევლობით გამოიხატება, არ იქნება დანაშაული. მაგრამ ეს სწორი არ არის, ილიას არასოდეს არ უქადაგია, სამაგიეროს გადახდა და ამა თუ იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის მთლიანად გამართლება. ამის დამადასტურებელია ილიას შემდეგი სიტყვები: „კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულღვიძლსა მწვავდა მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთი წუთის უნის მოხაკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვიდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან ნამუსიც წართვა, — განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს მეთქი! — ვფიქრობდი გულზედ მოსული და ბრანმორიული. მამ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს მეთქი“.²¹

ილია ჭავჭავაძე მკვლევლობის გზით ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გადაჭრით წინააღმდეგობა. ილიას აზრით, კაცის კვლა, საბოლოო ანგარიშით, დანაშაულია, რა შემამსუხუშებელი გარემოებებიც უნდა უძღოდეს მას წინ. „გლახის ნამბობში“ გაბროს პირით ილია ასე გადმოგვცემს თავის აზრს: „ღმერთო დამისსენ კაცის კვლისაგანს თამრო უცოდველი მაჩვენე! ძნელი ყოფილა, შენი ჭირიმე, კაცის კვლის ფიქრის წინათვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა!... მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა. კაცს თუ ვინდა, რომ გულში ჯოჯონეთი გაუჩინოს, კაცის კვლის ფიქრი ჩაუხსნე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად“.

ილია ჭავჭავაძე მკვლევლობას, როგორც მძიმე დანაშაულს, უარყოფს ბუნებითი სამართლის იდეების მოშველიებით, იმით, რომ ადამიანი ამ ქვეყნად თავისუფალი იბადება და არავის არა აქვს უფლება შეეხოს, წაართვას მის, ის, რაც ბუნებამ მიანიჭა: „ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას

¹⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 175-176.
¹⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 110.
²⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 111.
²¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 113-114.
²² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 114.

აქვს თანახმობა ნება ამ თვალუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გეწყობა?...²⁴

მკვლელობის საკითხთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ გამოთქვამს აზრს, რომ „კაცი მოსიხსლეა“: „ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიო. კაცი მოსიხსლეა, მეც კაცთაგანი ვარ“²⁵ ზემოთ აღნიშნული გამოხატულებიდან იქმნება აზრი, თითქოს ილია ჭავჭავაძე დანაშაულს (ამ შემთხვევაში მკვლელობას) ადამიანის თანდაყოლილ თვისებად და ამიტომ მუდმივ მოკლენად მიიჩნევდეს. მაგრამ თუ გავეცნობით ილიას თვალსაზრისს დანაშაულის მიზეზებზე, ვნახავთ, რომ უმრავლეს დანაშაულთა მიზეზად მწერალი ცხოვრების მძიმე ეკონომიკურ პირობებს მიიჩნევს, და ამით სავსებით ემიჯნება დანაშაულის მიზეზების ბიოლოგიურ ანუ ლომბროზოლოგიურ თეორიას და აწიარებს კლასიკური და სოციალ-ლოგიური სკოლების ზოგიერთ პროგრესულ დებულებას. ამდენად, მკვლელობის, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი სახეობის შესახებ ილიას ასეთი გამოხატულება მის საერთო თვალსაზრისს არ ერწყემის და იგი მხატვრული ნაწარმოების ინტერესით უნდა იყოს გამოწვეული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძემ ძირითადად სწორად გააანალიზა დანაშაულის, როგორც საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედობის არსი, აღნიშნა დანაშაული, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ჩამოთვალა დანაშაულის სხვა მატერიალური ნიშან-თვისებები, მაგრამ საბოლოოდ იგი მინც შორს არის დანაშაულის არსის მარქსისტული გაგებისაგან. ილია

ჭავჭავაძე დანაშაულს კლასობრივ მოკლენად არ მიიჩნევს. იგი ცდებდა, როდესაც დანაშაული მთელი საზოგადოების ნების წინააღმდეგ მიმართული ქცევა ჰგონია. ამ მხრივ იგი ერთგვარად ჩამორჩა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებს — გერცენს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, რომლებიც დანაშაულის ცნებას ვაბატონებული კლასების შეხედულებათა შესაბამისად კი არ აყალიბებდნენ, არამედ ექსპლოატირებული კლასების მოთხოვნათა პოლიტიკებიდან აფუძნებდნენ²⁶. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისაგან განსხვავებით დანაშაულის პრობლემას ესებოდა არა ცარიულის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების, არამედ ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური პრინციპების ქადაგებისა და გავრცელების, აგრეთვე კლასობრივი ბრძოლის შერბილების ამოცანების შესაბამისად.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე დანაშაულის არსის განხილვისას ბუნებითი სამართლის მოთხოვნებით ხელმძღვანელობს. ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისს უახლოვდება იმ განსხვავებით, რომ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ბუნებითი სამართლის იდეებს მოიშველიებდნენ დანაშაულის არსის ახსნისათვის რევოლუციური ბრძოლის სამართლიანობის დასახატუებლად²⁷.

თუმცა ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი დანაშაულის არსის საკითხზე შორს არის მარქსისტული მოძღვრებისაგან, მაგრამ იგი მინც პროგრესულია და ორიგინალობით გამოირჩევა. ილია გვთავაზობს დანაშაულის, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქცევის, აღკვეთის ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ იდეებს.

²⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 31.

²⁵ იქვე.

²⁶ Б. В. Здравомыслов. Уголовно-правовые взгляды русских революционных демократов. М., 1959, стр. 15.

²⁷ იქვე.

ლვანდომოსილი



რესპუბლიკის დამსახურებულ იურისტს, რუსეთის სფსრ პერსონალური მნიშვნელობის პენსიონერს მიხეილ აბიათარის ძე იაკობაშვილს რომ გაიცნობთ, არ შეიძლება დიდი რუსი მწერლის ა. ჩეხოვის სიტყვები არ გაგასხენდეთ: — ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც. მართლაც, რომ ამ მრავალჭირნახული და დეაწლმოსილი ადამიანის ცხოვრებას გაეცნობით, არ შეიძლება არ მოიხიბლოთ მისი კეთილშობილებითა და სისპეტაკით, განსწავლულობითა და ადამიანობით, სიბრძნითა და წინდახედულობით.

ამ დღეებში მიხეილ იაკობაშვილს დაბადების 75-ე წლისთავი და იურიდიულ უწყებებში უწყვეტი მუშაობის 50 წელი შეუსრულდა. რედაქციის დავალებით იუბილარს შინ ვეწვიე.

— მიხეილი თავის კაბინეტშია. თუმცა არ უყვარს, როცა მუშაობის დროს აწუხებენ, მაგრამ არა უშავს, დაიცადეთ, ახლავე გამოვა.

ორ წუთსაც არ გაველო და კარებში თვით მიხეილ იაკობაშვილი გამოჩნდა. თეთრ ტყავთჭაბებულ პერანგში, ხშირი

სუჭუჭა თეთრი თმით, პენსნეთი და წიგნებით ხელში იგი ბიბლიურ პირს ჰგავდა.

— აა, ყმაწვილო, როგორც იქნა გამიხსენეთ არა, მოხუცი? დამივიწყეთ ხომ? არა უშავს, თქვენც მოხუცდებით და მეც სამაგიეროს გადაგიხდით, — ხუმრობს ბატონი მიხეილი და კაბინეტში მიმიძღვება.

საწერი მაგიდა საესგა წიგნებითა და ჟურნალებით, კარადების გარდა წიგნები იატაკზეც კი აწყვია.

სტუმრობის მიზანი გავაცანი და ჩასაწერად მოვემზადე.

— აბა, ვერე არ გამოვა, ხომ იცი მე იმერელი, საჩხერელი კაცი ვარ, სხვანაირად როგორ იქნება, არ დაილოცოთ, თანაც ქართული ანდაზისა არ იყოს, სტუმრის საბაბით მასპინძელიც გამოძღაო, ისე არ მომივიდეს. ხუმრობს ბატონი მიხეილი, — აბა მიირთვიეთ.

მასპინძლის ხალისიან საუბარში ნელ-ნელა გამოიკვება ამ დიდბუნებოვანი კაცის საინტერესო ცხოვრება.

16 წლის მიხეილი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე იყო, როდესაც 1918 წელს არალეგარულად შევიდა კომკავშირის რიგებში. მალე 1918 წლის ივნისში იგი საჩხერე-ჭიათურაში ჩამოყალიბებულ წითელ პარტიზანთა რაზმელი ხდება. საგულისხმოა, რომ ამ რაზმებს მიხეილის ძმა პეტერბურგში ზამთრის სასახლის ადების მონაწილე შალვა იაკობაშვილი ხელმძღვანელობდა. საჩხერე-ჭიათურის წითელ პარტიზანთა რაზმები შალვა იაკობაშვილის ხელმძღვანელობით მენშევიკებს შიშის ზარს სცემდნენ. ოსეთის პარტიზანებთან ერთად მზადდებოდა დიდი აჯანყება, მართა-

ლია, წითელ პარტიზანთა რაზმებს იარაღი აკლდათ, მაგრამ გამოსავალი მოიხსნა. პარტიზანთა ბანაკში ცნობა მოვიდა, რომ ქუთაისის სამხედრო გარნიზონში საჭურვლის ახალი პარტია მიიღესო. ჭიათურ-საჩხერის არალეგალური კომიტეტების წევრებისა და დემონიტიზებული ჯარისკაცებისაგან შეირჩა მამაცთა ჯგუფი, რომელთაც დაევალებათ კაზაკების ყოფილი სადგომებიდან იარაღის გატაცება.

პარტიზანთა მცირე ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ აგრეთვე მიხეილი და მისი ახლო ნათესავი, შემდეგში ღვაწლმოსილი პროფესორი ანტონ იაკობაშვილი, ბრწყინვალედ განახორციელა ოპერაცია. გატაცებული იარაღით სწრაფად შეიარაღდა წითელ პარტიზანთა რაზმი და 1918 წლის 28 ივნისს „მოღინახეს“ ციხეზე ოქტომბრის წითელი დროშა აფრიალდა.

მაგრამ მენშევიკებსაც არ ეძინათ. მათ დიდძალ რეგულარულ ჯარს მოუყარეს თავი და თავს დაეხსნენ წითელ პარტიზანებს. უთანასწორო ბრძოლაში საჩხერის მახლობლად, ე. წ. „ბერის ნათხართან“ პარტიზანები დამარცხდნენ, პარტიზანების მეთაური შალვა იაკობაშვილი მენშევიკებმა დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, ოს პარტიზანთა მეთაური ისაკ ხარებოვი მოკლეს, ვინც გადარჩა, იატაკქვეშა საქმიანობაზე გადავიდა.

მალე მიხეილ იაკობაშვილის ცხოვრებაში ახალმა სიომ დაბერა. იგი არალეგალურად გადმოდის თბილისში და უახლოვდება გამოჩენილ ბოლშევიკებს ბორის ძნელაძეს, ერიკ ბედიას, ვალია მეტონიძეს და სხვებს.

მალე საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლებების დროშა აფრიალდა. 1921 წლის 25 მარტი მიხეილ იაკობაშვილს არასდროს არ დაავიწყდება. ახალგაზრდა ჩეკისტი მამაცურად ჩაება კონტრრევოლუციურ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1923 წელს იგი კვლავ თბი-

ლისშია და მუშაობს სააქრთველოს სსრ საგანგებო კომისიაში, საიდანაც სასწავლებლად გზავნიან მოსკოვში უმაღლეს საფინანსო სკოლაში, რომელიც 1926 წელს დაამთავრა.

მიხეილ იაკობაშვილის წინაშე ახალი ასპარეზი გადაიშალა. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ იგი დაინიშნა საქართველოს ფინსახკომის საფინანსო საკონტროლო განყოფილების უფროსად, თელავის მაზრის საფინანსო განყოფილების უფროსად და მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

1927 წელს მიხეილ იაკობაშვილი პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მობილიზაციით კვლავ გაიწვიეს სამუშაოდ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. სულ მალე იგი ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სასამართლოს სასამართლო კოლეგიის წევრია. 1930 წელს მ. იაკობაშვილი გადააწყვეთ იმავე თანამდებობაზე, ბელორუსიის სსრ დედაქალაქ მინსკში.

1931 წელს მიხეილ იაკობაშვილის ცხოვრებაში ახალი ფურცელი იშლება. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიმიტით სასწავლებლად გაიგზავნა ქ. მოსკოვში წითელ პროფესურაში, რომელიც 1935 წელს პროფესორის წოდებით დაამთავრა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიაზე მიხეილ იაკობაშვილმა მალალი ცოდნა გამოამჟღავნა, რის გამოც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის რეკომენდაციით დაინიშნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პოლიტიკის სექტორის გამგის მოადგილედ.

ახალ ასპარეზზე სრულად გაიშალა და გამოჩნდა მიხეილ იაკობაშვილის მეცნიერული ერუდიცია და შემართება, რაც შესამებული იყო დიდ ორგანიზაციულ ნიჭთან, ამას ემატებოდა ღრმა პრინციპულობა და შრომისმოყვარეობა, პირად



ცხოვრებაში კი უბრალოება და თავმდაბლობა.

მიხეილ იაკობაშვილის ყველა ეს მაღალი მორალური და პოლიტიკური თვისება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1936 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიხეილ იაკობაშვილი გაგზავნა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის დირექტორად. სანტერესოა, რომ ინსტიტუტის დირექტორად მანამდე შეთავსებით მუშაობდა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი, საბჭოთა იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ ვასილის ძე კრილენკო.

1937 წელს მიხეილ იაკობაშვილი ინიშნება საკავშირო იურიდიული აკადემიის დირექტორად. მის წინაშე გადაიშალა დიდი შემოქმედებითი ასპარეზი. თავის ირგვლივ მ. იაკობაშვილმა შემოიკრიბა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები მ. სტროგოვიჩი, ა. გალუსკი, ა. გერცენზონი, მ. აგარკოვი, მ. გერნეტი, ა. ტრაინინი, ი. პიონტოვსკი და სხვები, აგრეთვე პრაქტიკოსი მუშაკები. ამ წლებში ზედიზედ გამოდის მთელი რიგი სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც მომავალ იურისტთა საზაგიდო წიგნები გახდა. მათი მომზადებისა და გამოცემის საქმეში კი მეტად დიდი იყო საკავშირო იურიდიული ინსტიტუტისა და საკავშირო იურიდიული აკადემიის დირექტორის მიხეილ იაკობაშვილის ღვაწლი და დამსახურება. სანტერესოა ერთი დეტალიც: საკოლმეურნეო სამართალი, როგორც მეცნიერული დისციპლინა ჩამოყალიბდა მ. იაკობაშვილის აქტუალური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით.

დაუდალავ შემოქმედებითს ძიებასა და შრომაში გავიდა ათეული წლები და მიხეილმა თვითონაც ვერ გაიგო, როგორ დაეთოვლა თმა და შემოაღამდა. ქართული მიწის ყივილი არა და არ ასვენებდა და აი ეს დღეც დადგა. 1959 წელს

მიხეილ იაკობაშვილი, რუსეთის სფსრ პერსონალური პენსიონერი, საქართველოს დაუბრუნდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი ცხოვრების ფერხულში ჩაება. მუშაობას იწყებს ჯერ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, შემდეგ იუსტიციის სამინისტროში კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ამ პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკაში ახალი კანონმდებლობის შემუშავებასა და სრულყოფაში. 1974 წლიდან მ. იაკობაშვილი თბილისის საბჭოს კომუნალური გაერთიანების იურიდიული განყოფილების უფროსია, მიხეილ იაკობაშვილის ცხოვრების დევიზია — მოახმარე შრომა სამართლიან საქმეს. დიდი ილია, ამბობს ბატონი მიხეილი, ბრძანებს: ქვეყანა ტადარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს. თან გვაწვდის მისი ბოლო ნაშრომის, ხელნაწერს, რომელიც სისხლის სამართლის ერთ-ერთი აქტუალური საკითხისადმი მიძღვნილი. მასში ავტორს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩაუქსოვია...

მიხეილ იაკობაშვილის ერთ-ერთი მთავარი გატაცება წიგნებია, მის ბინაში წიგნების კულტია გამეფებული. თაროებზე უნიკალური იურიდიული ლიტერატურის გარდა უცხოელი და საბჭოთა კლასიკოსების მრავალი ტომია. წიგნების სიყვარულმა შეაქმნევინა ალბათ მ. იაკობაშვილს მნიშვნელოვანი შრომა „წიგნით ვაჭრობა და სამართლის საკითხები“.

ეს წერილი სრული არ იქნება, თუ იმასაც არ აღვნიშნავთ, როგორი თბილი, ოჯახის მოსიყვარულეა მიხეილი, მან სამშობლოს ღირსეული შთამომავლობა აღუზარდა.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვის ტრანსპორტულთა შორის დიდი პატივი-

სცემა და ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი მიხეილის უფროს შვილს ანდრია მიხეილის ძე იაკობაშვილს, მოსკოვის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს და მოსკოვის ტრანსპორტის ინსტიტუტის დირექტორს. მას მნიშვნელოვანი დგაწლი მიუძღვის ჩვენი სამშობლოს გულის — მოსკოვის ტრანსპორტის გამართულ მუშაობაში.

ასევე ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში ანდრია მიხეილის ძის მეუღლე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ შალვას ასული ჭუმბურიძე-იაკობაშვილი, მათი შვილები — მოსკოვის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ზურაბი, უცხო ენათა ინსტიტუტის იაპონური სექტორის ასპირანტი ირინე და უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამ-

თავრებული — რძალი მარინე მღებრიშვილი.

მიხეილის უმცროსი შვილი რევაზი კი მამის კვალს გაჰყვა, მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და უკვე ექვსი წელია ამ დარგს ემსახურება.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა მიხეილ იაკობაშვილმა თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს მიუძღვნა. იგი უმწიკვლოდ, გულმხურვალედ ემსახურებოდა და ამჟამადაც ემსახურება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, კანონისადმი პატივისცემის დანერგვას. ვუსურვოთ მას დღევრძელობა და გამარჯვება თავის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ზ. მესხიშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს
უფროსი კონსულტანტი.

აღვოკაჲი — იურიდიულ მეხნიარებათა კანდილაჲი



უკვე ათ წელზე მეტია, რაც ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის აღვოკატი ამირან გედევანის ძე მიქაძე ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას ეწევა საბჭოთა სისხლის სამართლის განვითარების რთული საკითხი — ბრალის სოციალურ-პოლიტიკური არხი და ამ თემაზე წარადგინა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დისერტაციაში ა. გ. მიქაძემ კრიტიკულად მიმოიხილა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებანი და დასაბუთა, რომ ბევრი მათგანი მცდარია, არ გამომდინარეობს განზრახვის და გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრიდან, ეწინააღმდეგება ბრალის მატერიალისტურ გაგებას.

1976 წლის 10 სექტემბერს ა. გ. მიქაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მოსკოვის უნივერსიტეტის სპეციალიზებულ სისხლის სამართლის საბჭოს სხდომაზე. საბჭომ ერთხმად მიაკუთვნა ა. გ. მიქაძეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1977 წლის 2 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის კოლეგიამ დაამტკიცა ა. გ. მიქაძისათვის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭება.

ა. გ. მიქაძე მეცნიერულ მუშაობას წარმატებით უთავსებს აღვოკატურაში მუშაობას.

მას თავის მოვალეობად საქმის სიუვარული და ერთგულება გაუხდია. კანონის ღრმად ცოდნამ, საქმის ზედმიწევნით შესწავლამ, საკითხის სწორად დაყენებამ და ბევრ შემთხვევაში დადებითა შედეგმა ავტორიტეტი და სახელი მოუხვეჭა. ალბათ არასდროს არ დაივიწყებენ მის ამაგს მოქალაქეები თ. და ვ., რომლებიც სამართალში იყვნენ მიცემული შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 94-ე მუხლის მე-3 და მე-2 ნაწილით. საბრალდებო დასკვნის მიხედვით თ-ს და ვ-ს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ 1974 წლის თებერვალ-მარტში მათ № 88 ყალბი ფორმის გამოყენებით, მაგრამ თავიანთ სახელზე მალაზიებიდან ნისიად გამოიტანეს პირველმა 9, ხოლო მეორემ 4 ტელევიზორი და ისინი გადასცეს საქმეში ბრალდებულად გამავალ ვ-ს, რითაც ზედიზე შეუწყვეს ამ უკანასკნელს გაეტაცებინა ისინი. როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო სამსჯავრო სხდომის დროს თ-მ და ვ-მ თავი არ ცნეს დანაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტეს, რომ, მართალია, მათ მალაზიებიდან თავიანთ სახელზე ნისიად გამოიტანეს ტელევიზორები და გადასცეს ისინი ვ-ს, მაგრამ არ იცოდნენ, თუ ვ-ს მიზნად ჰქონდა დასახული მათი გატაცება, უფრო მეტიც ვ. მათ არწმუნებდა, რომ ტელევიზორები სჭირდებოდა საჩუქრად სხვადასხვა პირისათვის და რომ იგი ამ ტელევიზორების ღირებულებას შემდგომში თვითონ გადაიხდიდა. ამასთან თ-მ და ვ-მ დასძინეს: მათ რომ სცოდნოდათ ვ-ს დანაშაულებრივი განზრახვა, მაშინ ტელევიზორებს მალაზიებიდან არ გამოიტანდნენ, რამდენადაც ვ-ს მიერ გაკეთებულ ყველა № 88 ფორმაში გარდა საშუალო ადგილისა და ხელფასისა ყველაფერი სწორად იყო აღნიშნული, გამოტანილი ტელევიზორები თავიანთ სახელზეა გაფორმებული, ამდენად მალაზიები ამ ტელევიზორების ღირებულების დაფარვას მათ მოსთხოვდნენ. როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო სამსჯავრო სხდომის დროს თ-ს და ვ-ს ეს განცხადება მთლიანად დადასტურეს საქმეში ბრალდებულად გამავალმა ვ-მ და

ნაწილობრივ მალაქების წარმომადგენლებ-
მაც.

ა. გ. მიქაძე, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში თ-ს და ვ-ს ინტერესებს იცავდა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ როგორც თ-ს, ისე ვ-ს ქმედობაში არ არის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 94-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. მან დამატებულად დაასაბუთა თავისი პოზიცია, განმარტა თანამონაწილეობაში განზრახვის ერთიანობის აუცილებლობა, რომელიც მოცემულ საქმეში არ არსებობდა და სთხოვა სასამართლო კოლეგიას მოეხსნა მისი დაცვის ქვეშ მყოფი სამართალში მიცემულებითვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 94-ე მუხლის მე-3 და მე-2 ნაწილი, როგორც უსაფუძვლოდ შეარღვენო. ამასთან ა. გ. მიქაძემ განუმარტა კოლეგიას, რომ კვალიფიკაცია თ-ს და ვ-ს ქმედობათა მიმართ სხვა მხრივაც არ არის სწორი, რამდენადაც სამართალში მიცემულმა გ-მ გაიტაცა სახელმწიფო ქონება არა მითვისებით, ვაფლანგვათ ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, არამედ თაღლითობით, რაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. მაგრამ სასამართლო კოლეგიამ რატომღაც არ გაითვალისწინა ა. გ. მიქაძის ეს შუამდგომლობა და მიუხაჯა სამართალში მიცემულ თ-ს 6 წლის, ხოლო სამართალში მიცემულ ვ-ს 2 წლის თავისუფლების აღკვეთა. საზედამხედველო ინსტანციებმა არ დააკმაყოფილეს ა. გ. მიქაძის კანონიერი მოთხოვნა, მაგრამ მას ხელი არ აუღია საქმის შემდგომი წარმოებისთვის. ა. გ. მიქაძეს ღრმად სწამდა თავისი პოზიციის სისწორე და საჩივრით მიმართა საკავშირო პროკურატურას, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა საჩივარში მოყვანილი მოტივები, მსჯავრდებულების თ-ს და ვ-ს საქმეს კონტროლი დაუწესა და საჩივარი და დართული ყველა მასალა სათანადო მითითებებით საქართველოს სსრ პროკურატურას გადმოუგზავნა. რესპუბლიკის პროკურატურამ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტის მოთხოვნა, მოუხსნა თ-ს და ვ-ს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 94-ე მუხლის მე-3 და მე-2 ნაწილი, დამნაშავედ ცნო ისინი ამავე კოდექსის 214-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის შე-

ქენა და გამოყენება) და განუსაზღვრა მათ თითო წლის თავისუფლების აღკვეთა. მალე თ. და ვ. სასჯელის მოხდის ადგილებიდან თავისუფლდნენ და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაებნენ.

ასევე არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ მოიხსენიოს ა. გ. მიქაძის ამაგი მოქალაქე ნ.-მ, რომელიც ქ. თბილისის 28 კომისიის სახელობის რაიონის სსხლსო სასამართლოს 1974 წლის 29 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულმა იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით ნ. დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ თავისი პირადი საკუთრების სახლის კაპიტალური რემონტის დროს ნაცვლად ნებართვით გათვალისწინებული ერთი ავარიული კედლის გამოცვლისა უნებართვოდ გამოცვალა იმავე ზომის დანარჩენი სამი კედელიც. სასამართლომ ნ.-ს ეს ქმედობა სისხლის სამართლის დანაშაულად, კერძოდ თვითნებურ მშენებლობად ჩათვალა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით შეუფარდა მას სასჯელის შესაბამისი ზომა და მის მიერ გარემონტებული პირადი საკუთრების სახლი ვადაცა 28 კომისიის სახელობის რაიონის აღმასკომს. მსჯავრდებულმა ნ.-მ საჩივარი შეიტანა როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში, ისე საქართველოს სსრ პროკურატურაში. ნ. ყოველთვის ცნობდა თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და აცხადებდა, რომ მან მართლაც უნებართვოდ გამოცვალა სახლის დანარჩენი სამი კედელი. რაც შეეხება დაცვას, იგი არ უარყოფდა ნ.-ს ქმედობაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ, როგორც ნ., ისე დაცვითი მხარე ითხოვდნენ მხოლოდ ჩამორთმეული სახლის დაბრუნებას.

ა. გ. მიქაძემ ითავა ამ საქმის წარმოება. მან ზედმიწევნით შეისწავლა საქმეში არსებული ყველა მასალა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოქალაქე ნ.-ს ქმედობაში არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, დაცვის პოზიცია მცდარია, ხოლო ნ.-ს მიერ სისხლის სამართლის დამნაშავედ თავის ცნობა იურიდიული შეცდომა იყო. ა. გ. მიქაძემ შეადგინა საჩივარი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელზე და დაასაბუთა სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოება შეწყ-

ვეტის აუცილებლობა. საკავშირო პროკურატურამ ყურადღებით შეისწავლა საჩივარში მოყვანილი საფუძვლები, იკისრა ამ საქმისადმი კონტროლი და სათანადო მითითებებით საჩივარი და ღართული სხვა მასალა გადმოუგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურას. რესპუბლიკის პროკურატურამ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რომელმაც დააკმაყოფილა პროტესტის კანონიერი მოთხოვნა, გააუქმა ნ.-ს საქმის გამო სასამართლო ორგა-

ნოების ყველა გადაწყვეტილება და საქმე ნ.-ს მიმართ წარმოებით შეწყვიტა მის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. ამრიგად, აღდგა მოქალაქე ნ.-ს კანონიერი უფლებები და მას დაუბრუნდა ჩამორთმეული სახლი.

ამჟამად ა. გ. მიქაძე ამთავრებს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ბრალი, როგორც ფსიქოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური კატეგორია საბჭოთა სისხლის სამართალში“.



საქართველოს სახალხო რესპუბლიკის კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის შესახებ

წმინდა დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა საარჩევნო სისტემის საფუძვლები

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დებულებებს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებათა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებათად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა.

აქრძალულია სსრ კავშირის მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილზე ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა თუ ხასიათის გამო.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებათა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩევლებს ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორი საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი საარჩევნო უფლებები აქვთ.

5. საბჭოთა სამართალი № 5

სამხედრო მოსამსახურეები ყველა მოქალაქის თანაბრად სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებათა არჩევნები პირდაპირია: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებებს მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულებათა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დიშვება.

მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო ოლქებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დებულებებს საარჩევნო ოლქების მიხედვით ირჩევენ. თითოეული საარჩევნო ოლქისაგან ირჩევენ ერთ დებულებას.

მუხლი 7. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიათა მიერ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ წარგზავნილი წარმომადგენლებსაგან იქმნება.

მუხლი 8. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც საარჩევნო



კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

სსრ კავშირის მოქალაქეები არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, ამომრჩეველთა არჩევნებისწინა კრებების მეშვეობით.

მუხლი 9. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლებანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში.

სსრ კავშირის მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი აგიტაციის უფლება.

ამომრჩეველები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს, განაწესებენ შეაქვთ ამომრჩეველთა არჩევნებისწინა კრებებზე. განაწესების შეტანის, განხილვის, გათვალისწინებისა და შესრულების წესს კანონი ადგენს.

მუხლი 10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიდებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები და ამომრჩეველები არ გაიდებენ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მუხლი 11. არჩევნების კანონმდებლობაზე დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

საარჩევნო კომისიითა წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ დათვალეს არასწორად ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლო ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, აგრეთვე პირებს, რომლებიც ხელს უშლიან სსრ კავშირის მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება —

აირჩიოს და იყოს არჩეული სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, — ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

პ ა რ ი II

ბ რ ჩ მ ვ ნ ა ი ს დ ა ნ ი შ ვ ნ ი ს ა ლ ბ ა რ ჩ მ ვ ნ ი ო ლ ქ ე ბ ის შ ა რ ჩ მ ვ ნ ი ს წ ს ი

მუხლი 12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არაუგვიანეს ორი თვისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 13. საარჩევნო ოლქების შექმნა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნებისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების ასარჩევად იქმნება თანაბარი რაოდენობის საარჩევნო ოლქები. საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას მხედველობაში მიიღება მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

საარჩევნო ოლქების სიები ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ერთდროულად.

მუხლი 14. კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები იქმნება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის თანაბარი რაოდენობით. ყოველი არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქში მოსახლეობის ნორმას ადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 15. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები იქმნება შემდეგი ნორმით: 32 ოლქი თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, 11 ოლქი თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5 ოლქი თითოეულ ავტონომიურ ოლქში და ერთი საარჩევნო ოლქი თითოეულ ავტონომიურ ოკრუგში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები იქმნება მოსახლეობის თანაბარი რაოდენობით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე. ავტონომიური ოკრუგის ტერიტორია ქმნის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქს.

პ ა რ ი III

საარჩევნო უზენბი

მუხლი 16. საარჩევნო უზენბის შექმნა

კენჭისყრის ჩისატარებლად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქებში შემავალი რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უზენბად, რომლებიც საერთოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის. საარჩევნო უზენბი იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში და შედის საარჩევნო ოლქებში ნაწილების განლაგების ადგილის მიხედვით.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, დიდ რეინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, პოლარულ სადგურებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უზენბი, რომლებიც შედის საარჩევნო ოლქებში მათი ადგილსამყოფლის ან გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით.

ცალკეულ შემთხვევებში იმ საკითხს, რომ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებს მიეკუთვნოს ჯარის ნაწილებში, პოლარულ სადგურებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უზენბი, წყვეტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 17. საარჩევნო უზენბის შექმნის წესი

საარჩევნო უზენბს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უზენბს ქმნიან სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უზენბს ქმნი-

ან ნაწილების ან ჯარის შენაერთების მეთაურები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საარჩევნო უზენბი იქმნება არა უგვიანეს მეთხუთმეტე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ. ჯარის ნაწილებში აგრეთვე დიდ რეინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უზენბი იქმნება ამავე ვადაში, გამოჩვენის შემთხვევებში კი არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოსახლეობას თითოეული საარჩევნო უზენბის საზღვრების შესახებ აცნობებს, თუ სად არის საუბნო საარჩევნო კომისია და კენჭისყრის ოთახი.

მუხლი 18. საარჩევნო უზენბის შექმნის ნორმები

დასახლებულ პუნქტში ან დასახლებული პუნქტების ჯგუფის საარჩევნო უზენბში უნდა იყოს არანაკლებ 100 და არაუმეტეს 3.000 ამომრჩევლისა.

სსრ კავშირის შორეულ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რაიონებში, სადაც პატარა დასახლებული პუნქტები ჭარობს, აგრეთვე მთის რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის კუჩქლებზე და პოლარულ სადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უზენბი შეიძლება შეიქმნას, თუ არის არანაკლებ 20 ამომრჩევლისა.

ჯარის ნაწილების საარჩევნო უზენბში უნდა იყოს არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისა.

სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში საარჩევნო უზენბი შეიძლება შეიქმნას, თუ არის არანაკლებ 50 ამომრჩევლისა.

პ ა რ ი IV
ამომრჩეველთა სიებში

მუხლი 19. ამომრჩეველთა სიებში მოქალაქეთა შეტანის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის საერთო ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს 18 წელი შეუსრულდათ და სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ (მუდმივად ან დროებით) სახალხო დეპუტატთა მთავრობაში



საბჭოს ტერიტორიაზე. თუ არ არსებობს მოქალაქის დაზღვევის დღისა და თვის ზუსტა მონაცემები, მოქალაქე ითვლება შესაბამისი წლის 1 იანვარს დაბადებულად. არ შეიძლება ამომრჩევლის შეტანა ამომრჩეველთა ერთზე მეტ სიაში.

სახალხო დემუტატთა საბჭოების საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას, რაც აუცილებელია ამომრჩეველთა სიების შედგენად.

ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ მოქალაქენი, რომლებიც შეშლილებად არიან ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით ან იმ საექიმო კომისიის დასკვნით, რომელსაც ქმნის ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო ორგანო. აღნიშნული დასკვნის გასაჩივრება შეიძლება რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ.

მუხლი 20. ამომრჩეველთა სიების შედგენა

ამომრჩეველთა სიებს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით ადგენენ სახალხო დემუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ხელს აწერენ შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

ჯარის ნაწილებში მყოფ ამომრჩეველ სამხედრო მოსამსახურეთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ ჯარის ნაწილების მეთაურები. სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით ამ სიებში შეიძლება შეიტანონ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრები და სხვა ამომრჩევლები, თუ ისინი ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში ცხოვრობენ. ჯარის ნაწილების ფარგლებს გარეთ მცხოვრები სამხედრო მოსამსახურენი ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საერთო საფუძემდებზე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე ამომრჩეველთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ გემების კაპიტნები.

იმ ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც დასასვენებლად ან სამკურნალოდ არიან სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ადგენენ სახა-

ლხო დემუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ეს დაწესებულებანი.

ამომრჩეველთა გვარები ამომრჩეველთა სიებში ანბანზეა დაწერილი.

მუხლი 21. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 20 დღით ადრე.

სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ამომრჩეველთა სიები შეადგინა, უშუალოდ ან საუბნო საარჩევნო კომისიების მეშვეობით აუწყებს ამომრჩევლებს სიების გაცნობის ადგილს და დროს.

მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაცნონ ამომრჩეველთა სიებს და შეამოწონ მათი შედგენის სისწორე შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.


მუხლი 22. მოქალაქეთა მიერ ამომრჩეველთა სიებში უსწორობის გასაჩივრების უფლება

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს სიებში ამომრჩეველთა შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიებში ჩაწერილი გვარის, სახელის, მამის სახელისა და ამომრჩევლის შესახებ სხვა მონაცემების უზუსტობანი.

ამომრჩეველთა სიაში უსწორობის შესახებ განცხადება წარედგინება სიის შემდგენელ სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ჯარის ნაწილის მეთაურს, გემის კაპიტანს, რომლებიც მოვალენი არიან არა უგვიანეს ორი დღის ვადაში განიხილონ ასეთი განცხადება და შეიტანონ საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცენ განმცხადებელს მისი განცხადების მიუღებლობის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი.

სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 23. კენჭისყრის უფლების მოწმობა



თუ ამომრჩეველმა შეიცვალა ადგილსამყოფელი საყოველთაო გაცნობისათვის ამომრჩეველთა სიების წარდგენასა და არჩევნების დღეს შორის პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით აძლევს კენჭისყრის უფლების მოწმობას. მოწმობა გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, რომელშიც შეაქვე შესაბამისი აღნიშვნა.

კენჭისყრის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვე ამომრჩეველთა დამატებით სიაში ნებისმიერ საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამომრჩეველთა დამატებით სიას ადგენს საუბნო საარჩევნო კომისია და ხელს აწერენ მისი თავმჯდომარე და მდივანი.

პ ა რ ი V

საარჩევნო კომისიათა შემწენა

მუხლი 24. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსაწყობად იქმნება საარჩევნო კომისიები:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგებისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები;

კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები.

მუხლი 25. წარმომადგენელთა დასახელება საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიებს ქმნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლები.

წარმომადგენლებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში და წარმომადგენლებს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში

მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგებისაგან, აგრეთვე საოკრუგო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოკრუგების საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანიზები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

წარმომადგენლებს საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანიზები, მათი პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიათა შემადგენლობა ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

მუხლი 26. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა


სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 26 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში არა უგვიანეს მეხუთე დღისა არჩევნების დაიწყების შემდეგ.

მუხლი 27. მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგებისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიათა შექმნა

მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგებისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 12—16 წევრის შემადგენლობით. კომისიათა შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს მეშვიდე დღისა არჩევნების დაიწყების შემდეგ.

მუხლი 28. კავშირის საბჭოს არჩევნებისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა

საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება კავ-



შირის საბჭოს არჩევნებისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქში თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 12 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობა მტკიცდენა არა უგვიანეს მეათე დღისა არჩევნების დასრულების შემდეგ.

კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებენ:

მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც სამხარეო, საოლქო დაყოფა აქვთ, მხარის, ოლქის, ქალაქების მისკოვის, ლენინგრადისა და კიევის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო ოლქებში — შესაბამისად სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი; ორი და მეტი მხარის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო ოლქებში, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც სამხარეო, საოლქო დაყოფა არა აქვთ, და ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მოკავშირე რესპუბლიკისაგან, ავტონომიური რესპუბლიკისაგან, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 29. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა

კავშირის საბჭოს არჩევნებისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის საერთო საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, 4—16 წევრის შემადგენლობით, საარჩევნო უბნებში კი, სადაც 100-ზე ნაკლები ამომრჩეველია, — თავმჯდომარის, მდივნის, 1—3 წევრის შემადგენლობით. საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას შესაბამისად ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ოცდამეათე დღისა არჩევნების დასრულების შემდეგ.

საჭიროების შემთხვევაში სახალხო დეპუ-

ტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გაზარდონ დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიათა რიცხოვნობის შემადგენლობა, აგრეთვე მაშინ, როცა უბნის ტერიტორიაზე არის პატარა დასახლებული პუნქტები, გეოლოგიური პარტიები, სამეცნიერო ექსპედიციები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის მოადგილე, ან მდივანი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან 30 კალენდარული დღით. და უნარჩუნდება საშუალო გამომუშავება მუდმივი მუშაობის ადგილას.

მუხლი 30. საარჩევნო კომისიათა შემადგენლობის ცვლილების წესი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი ან წევრი კომისიაში თავიანთი მოვალეობებისაგან შეიძლება გაათავისუფლდეს მისი შემადგენლობის დამამტკიცებელმა ორგანომ პირადი ვანცხადების ან დამსახურებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების წარდგინების საფუძველზე. საარჩევნო კომისიაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და კომისიის შემადგენლობაში მისი დამამტკიცება ხდება ამ კანონით დადგენილ წესით.


პ ა რ ო VI

საბარჩევნო კომისიების უფლებამოსილება 60 და მუშაობის წესი

მუხლი 31. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია:

- ა) კონტროლს უწევს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს წარდგინებანი ამ კანონის განმარტების თაობაზე;
- გ) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას;



დ) ისმენს საარჩევნო კომისიების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, სხვა სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) უნაწილებს ფულად სახსრებს საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიათა უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და იხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკურა უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

ვ) ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს;

ზ) იხილავს საარჩევნო კომისიათა არასწორი მოქმედების შესახებ მიღებულ საჩივარ-განცხადებებს და გამოაქვს მათ გამო საბოლოო ვადაწყვეტილებანი;

თ) რეგისტრაციაში ატარებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოში არჩეულ დეპუტატებს;

ი) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიას და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიას გადასცემს თითოეულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტაციას;

კ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად;

მუხლი 32. მოკავშირე რესპუბლიკისაგან, ავტონომიური რესპუბლიკისაგან, ავტონომიური ოლქისაგან, ავტონომიური ოკრუგის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

მოკავშირე რესპუბლიკისაგან, ავტონომიური რესპუბლიკისაგან, ავტონომიური ოლქის ავტონომიური ოკრუგისაგან, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისია:

ა) შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ტერიტორიაზე კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებისადმი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) ისმენს საარჩევნო კომისიების, რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკისაგან, ავტონომიური რესპუბლიკისაგან, ავტონომიური ოლქისაგან, ავტონომიური ოკრუგისაგან ერო-

ვნებათა საბჭოს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან;

გ) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიათა უმართებულო მოქმედების გამო ეროვნებათა საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 33. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია თავისა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას;

ბ) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

გ) ისმენს საუბნო საარჩევნო კომისიების, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციებს, არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) თვალს ადევნებს საარჩევნო უბნების შექმნის სისწორეს, ადგენს ოლქის მიხედვით საარჩევნო უბნების ერთიან ნუმერაციას;

ე) თვალს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და საყოველთაო გაცნობისათვის წარდგენას;

ვ) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების უმართებულო მოქმედების გამო;

ზ) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;

თ) ამტკიცებს მოცემული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს, უზრუნველყოფს ბიულეტენების დამზადებასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

ი) ადგენს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქის მიხედვით;

კ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 34. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) აცნობს ამომრჩეველებს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიას ში უსწორობის შესახებ და ისინი გააქვს სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ვარის ნა-

წილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად;

ბ) ამომრჩეველთა სიის საფუძველზე ამომრჩეველებს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას ამ კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიას იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ;

დ) მოსახლეობას აუწყებს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილმდებარეობას და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მიცემის ადგილს;

ე) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობების მომზადებასა და საარჩევნო ყუთების დამზადებას;

ვ) ორგანიზაციას უწყევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

ზ) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საარჩევნო უბანში არჩევნების მომზადებისა და ხმის მიცემის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;

თ) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;

ი) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 55. საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების წესი

საარჩევნო კომისიის სხდომებს იწვევს მისი თავმჯდომარე და ეს სხდომები უფლებამოსილია, თუ მათში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის წევრებს, რომლებიც მის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს.

საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებანი, მიღებული მათი უფლებამოსილების ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოსათვის, საწარმოსათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 56. ხაჯარობა საარჩევნო კომისიათა მუშაობაში

საარჩევნო კომისიებთა ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას თავიანთი სხდომებისა და

მიღებულ გადაწყვეტილებების, მიღებული ღონისძიებათა შესახებ. კომისიათა სხდომებს შეიძლება დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

მუხლი 57. უფლებამოსილებათა განხორციელებაში საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მათ უფლებამოსილებათა განხორციელებაში, მისცენ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიის უფლება აქვს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ ადრეული საკითხი და საარჩევნო კომისიის გასცენ პასუხი არა უგვიანეს სამი დღის ვადისა.

კ ა რ ი VII

**დ ე პუ ტ ა ტ ო ბ ის კ ა ნ დ ი დ ა ტ ო ბ ა
დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**

მუხლი 58. დეპუტატობის კანდიდატთა და სახელმების წესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ასახელებენ საარჩევნო ოლქებში. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება იწყება არჩევნების დანიშვნის შეპლედგ მეთავე დღეს და მთავრდება არჩევნებამდე 30 დღით ადრე.

დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათი საერთო—საკავშირო, რესპუბლიკური სამსხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოებს სახით, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

შრომითი კოლექტივებისაგან დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება წარმოებს კო-

ან მოსახლეობას თავიანთი სხდომებისა და

ლექტივების საერთო კრებებზე, რომლებსაც იწვევენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება მოეწყოს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით. შრომითს კოლექტივებს, სადაც მომუშავეთა რიცხვი მცირეა, შეუძლიათ მოაწყონ გაერთიანებული კრებები სხვა შრომითს კოლექტივებთან ერთად.

დებუტატობის კანდიდატის დასახელებულად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის სარდლობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრებები გაამართება ქვეგანყოფემაში.

დებუტატობის კანდიდატის დასახელებულად კრების თითოეულ დამსწრეს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროოს დასახელებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებათი მათი აცილების შესახებ.

დებუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით და დაუყოვნებლივ ეცნობება კანდიდატად დასახელებულ პირს.

დებუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც აღინიშნება: კანდიდატის დამსახელებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხლომის ჩატარების ადგილი და დრო, სხლომისა თუ კრებაში მონაწილე პირთა რიცხვი, კანდიდატის დასახელებისათვის მიცემული ხმების რიცხვი, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი ასაკი, საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, რომლებიც დებუტატობის კანდიდატებს დასახელებს, ირჩევენ დებუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს, აგრეთვე მოსახლეობას აწვდიან ცნობებს დასახელებულ დებუტატობის კანდიდატთა შესახებ პრესის, ტელევიზიის, რადიოს მეშვეობით.

მუხლი 39. დასახელებული დებუტატობის კანდიდატთა მხარდაჭერას უფლება

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებსა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს შეუძლიათ მხარე დაუჭიროონ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ან ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, აგრეთვე აირჩიონ დებუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

ნიშაციების, შრომითი კოლექტივების ან ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, აგრეთვე აირჩიონ დებუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 40. საოლქო არჩევნების წინათათბირი

საარჩევნო ოლქში დასახელებულ დებუტატობის კანდიდატთა განხილვისათვის შეიძლება მოეწყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენელთა საოლქო არჩევნების წინათათბირი. საარჩევნო ოლქებში, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ტერიტორიას, არჩევნების წინათათბირები შეიძლება გაიმართოს საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის, მხარეების ან ოლქების მიხედვით.

საოლქო არჩევნების წინათათბირებს იწვევენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო ორგანოები.

საოლქო არჩევნების წინათათბირები იღებენ გადაწყვეტილებებს დებუტატობის კანდიდატთა მხარდაჭერის შესახებ, გამოდიან მიმართვებითა და მოწოდებებით ამომრჩევლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისადმი, შეუძლიათ აირჩიონ დებუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 41. დებუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

დებუტატობის კანდიდატის დამსახელებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შრომითს კოლექტივს, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრებას უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება დებუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დებუტატობის კანდიდატის დასახელებისათვის გათვალისწინებული ვესით და წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.

დებუტატობის კანდიდატს შეუძლია არჩევნებამდე ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა. კანდიდატს განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ შეაქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში.

დებუტატობის კანდიდატის დასახელების

შესახებ ან კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოსწინის შესახებ ვადაწყვეტილებას გაუქმებას საოლქო საარჩევნო კომისია აცნობებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობას.

მუხლი 42. დეპუტატობის კანდიდატა რეგისტრაციის წესი

ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატს საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის ან ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების წარდგინებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისია.

დეპუტატობის კანდიდატა რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 35 დღით ადრე და მთავრდება 25 დღით ადრე.

დეპუტატობის კანდიდატა რეგისტრაცია წარმოებს საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე, როცა აქვთ შემდეგი დოკუმენტები: მოცემულ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს სხდომის, შრომითი კოლექტივის კრების ან ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების ოქმი; განცხადება იმის შესახებ, რომ დეპუტატი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში. საარჩევნო კომისია თითოეული დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ადგენს ოქმს, რომელიც შესაბამის საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე დეპუტატობის კანდიდატის თანხმობის განცხადებასთან ერთად წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ყველა დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც მოცემულ საარჩევნო ოლქში არიან დასახელებულნი ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე უარისთქმა შეიძლება ორი დღის ვადაში იქნეს გასაჩივრებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს იმ საარჩევნო ოლქის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც იგი კანდიდატად არის დასახელებული. დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული პირი, რომელიც შედის აღნიშნული კომისიებიდან ერთ-ერთში, თავისუფლდება კო-

მისიაში დაკისრებული მოვალეობისაგან იმ მომენტიდან, როცა მას რეგისტრაციაში გაატარებენ დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ, არა უგვიანეს მესამე დღისა, აქვეყნებს პრესაში ცნობას რეგისტრაციის შესახებ და მონაცემებს რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატობის კანდიდატა შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში გატარებულ ყოველ დეპუტატობის კანდიდატს აძლევს მოწმობას.

მუხლი 43. გამოკლებული დეპუტატობის კანდიდატის ნაცვლად ახლის დასახელების წესი

დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ დეპუტატობის კანდიდატის გამოკლების შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში სხვა კანდიდატები არ დარჩა, საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნებართვით საზოგადოებრივი ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს მიმართავს წინააღმდეგობით დასახელონ ახალი დეპუტატობის კანდიდატი.

თუ არჩევნებამდე დარჩენილ დროში შეუძლებელია ახალი დეპუტატობის კანდიდატის დასახელება, რეგისტრაციაში გატარება და განხილვის მოწყობა, შესაბამის საარჩევნო ოლქში ეწყობა არჩევნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოწყობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 44. საარჩევნო ბიულეტენი

შესაბამისი საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია. ბიულეტენში ანბანის მიხედვით იწყება საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ყველა დეპუტატობის კანდიდატი. თითოეული მითგანის სახელი, მამის სახელი და გვარი, კანდიდატა დასახელებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების სახელწოდება.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება იმ ენებზე, რომლებსაც საარჩევნო ოლქის მოსახლეობა ხმარობს. ბიულეტენები საარჩევნო ოლქის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას მისდის არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 45. ამომრჩეველთა კრებები დეპუტატობის კანდიდატებთან შესახვედრად

დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ამომრჩევლების შესახებ დროულად ეწყობა კრებები, რომლებსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები იწვევენ. კრებები ეწყობა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. კრებების მოწყობის დრო და ადგილი წინასწარ ეცნობება ამომრჩევლებს.

მუხლი 46. არჩევნების წინა აგიტაცია

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შრომითს კოლექტივებს, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებს დაასახელებენ ან მათს მხარდასაჭერად გამოვლენ, ეძლევათ თავიანთი კანდიდატების სასარგებლო შეუფერხებელი აგიტაციის უფლება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს უფასოდ ეთმობა შენობები კრებებისა და მიტინგების მოსაწყობად, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საარჩევნო აგიტაციისათვის.

თითოეულ მოქალაქეს გარანტირებული აქვს არჩევნების წინა აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

აგიტაციის მოწყობა არჩევნების დღეს კენჭისყრის ოთახში არ დაიშვება.

პ ა რ ი VIII

დეპუტატობის კანდიდატის საჭიანდო პირობები

მუხლი 47. დეპუტატობის კანდიდატის კრებებსა და მიტინგებზე გამოხვლის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობის უფლება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატობის კანდიდატს საოლქო საარჩევნო კომისიებში მათი რეგისტრაციის მომენტიდან აქვთ თანასწორი უფლება მონაწილეობდნენ და გამოდიოდნენ არჩევნების წინა კრებებზე, თათბირებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ხელმძღვანელები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ დეპუტატობის კანდიდატს ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობაში, არჩევნების წინა კრებებისა და მიტინგების გამართვაში, საჭირო საცნობარო და სინფორმაციო მასალების მიღებაში.

მუხლი 48. დეპუტატობის კანდიდატის თავისუფლება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობისაგან საარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, არჩევნების წინა კრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლის დროის განმავლობაში თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან, ამისთან ენახება საშუალო გამომუშავება მუდმივ საშუალო ადგილზე.

მუხლი 49. დეპუტატობის კანდიდატის უფასოდ მგზავრობის უფლება

დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს უფასოდ იმგზავროს ყოველგვარ სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) საარჩევნო ოლქის ფარგლებში. საარჩევნო ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დეპუტატობის კანდიდატი ასეთივე უფლებით სარგებლობს შინიდან საარჩევნო ოლქში მგზავრობისა და საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისათვის.

მუხლი 50. დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ, ან ვერ დაადებენ აღმინისტრაციულ სასჯელს სასამართლო წესით, თუ არ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა. ასეთი თანხმობის მიცემის შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამის შესახებ აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

პ ა რ ი IX

კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

მუხლი 51. კენჭისყრის დრო და ადგილი

კენჭისყრა ეწყობა არჩევნების დღეს ადგილობრივი დროით დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე. კენჭისყრის დროსა და ადგილს საუბნო საარჩევნო კომისია ყველა ამომრჩეველს აუწყებს არაუგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, ჯარის ნაწილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ნებართვით, შორეულ და ძნელად მისადგომ რაიონებში განლაგებულ საარჩევნო უბნებში, სადაც მიმოსვლის პირობების გამო არჩევნების დღეს ვერ ჩავლენ კენჭისყრის უფლების მოწმობის მქონე ამომრჩევლები, კენჭისყრა შეიძლება დამთავრდეს საღამოს 10 საათზე ადრეც, თუ



ხმა მისცა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 52. კენჭისყრის მოწყობა

ყოველ საარჩევნო ოლქში კენჭისყრა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობაში, სადაც მოწყობილი უნდა იყოს ფარული კენჭისყრის კაბინეტები ან ოთახები, განსაზღვრული უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილი და დადგმული — საარჩევნო ყუთები. კენჭისყრის ორგანიზაციისა და შენობაში წესრიგის უზრუნველყოფისათვის პასუხს აგებს საუბნო საარჩევნო კომისია.

კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით. ამასთან, შეიძლება ესწრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

ყოველი ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენებს აძლევს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის რაიმე სხვა მოწმობის წარდგენით. საარჩევნო ბიულეტენების გაცემის შესახებ ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა.

საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ცალკეული ამომრჩევლებისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან მიმოსვლის პირობების გამო ვერ შეძლებენ პირადად მისვლას კენჭისყრის შენობაში, მათი თხოვნით, გამოაკლისოს სახით, დაავალოს კომისიის ერთ ან რამდენიმე წევრს მოაწყონ კენჭისყრა ამ ამომრჩეველთა ადგილსამყოფელში. დიდ რკინიგზის სადგურებში შექმნილი საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ როგორც სადგურებში, ისე შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში მყოფ ამომრჩეველთა კენჭისყრას.

მუხლი 53. საარჩევნო ბიულეტენების შეგების წესი

ამომრჩევლები საარჩევნო ბიულეტენებს, ავსებენ ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შეგებისას აკრძალულია ხმის მიმცემის გარდა ვისიმე ყოფნა. ამომრჩეველს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენები, შეუძლია კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი თავისი შეხედულებისამებრ, საარჩევნო კომისიის წევრის გარეშად.

ამომრჩეველი ბიულეტენის შეგებისას მასში ტოვებს იმ კანდიდატის გვარს, ვისაც ხმას აძლევს და შლის დანარჩენ გვარებს. ამომრჩეველი ხმას აძლევს საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაშვების გზით.

მუხლი 54. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

საარჩევნო უბანში ხმებს ითვლის საუბნო საარჩევნო კომისია კავშირის საბუკოს არჩევნებისა და ეროვნებათა საბუკოს არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქში ცალკეულად.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ კენჭისყრა დამთავრებულია. საარჩევნო ყუთების გახსნა კენჭისყრის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნამდე საუბნოსაარჩევნო კომისიამ უნდა გააუქმოს ყველა ბიულეტენი, რომლებიც არ მიუციათ ამომრჩევლებსათვის.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვს უბანში, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რიცხვს, ვინც ბიულეტენი მიიღო. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია თითოეულ საარჩევნო ოლქში (მოცემული საარჩევნო უბნის ფარგლებში) განსაზღვრავს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, თითოეული დეპუტატობის კანდიდატის „მხარდასაქვრად“ მიცემული ხმების რიცხვს და „წინააღმდეგ“ მიცემული ხმების რიცხვს, აგრეთვე ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიმცემმა ერთზე მეტი კანდიდატი დატოვა. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 55. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში, რომელიც დგება ცალკეულად თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედ-

ვით. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და არაუგვიანეს 24 საათისა უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. ოქმს დაერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი; კომისიაში შემოსული საჩივარ-განცხადებები კენჭისყრის ან ხმების დათვლის დროს დაშვებული დარღვევების შესახებ; აქტი, რომელიც დგება საარჩევნო ყუთის პლომბის ან ლუქის დაზიანების შემთხვევაში.

მუხლი 56. ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; საარჩევნო ბიულეტენების მიმღებ ამომრჩეველთა რიცხვს; კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის „მხარდასაჭერად“ და „წინააღმდეგ“ მიცემული ხმების რიცხვს; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

არჩეულად ითვლება დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში ოლქის ყველა ამომრჩევლის ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს.

საოლქო საარჩევნო კომისიის შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები გაუქმებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ოლქში რეგისტრირებულ იყო ერთი კანდიდატი.

ხმების დათვლას და არჩევნების შედეგების დადგენას შეუძლიათ დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

მუხლი 57. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის, სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრები, და არაუგვიანეს 24 საათისა უგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ოქმს დაერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზ-

რი, საჩივარ-განცხადებები, რომელიც კომისიაში შემოვიდა კენჭისყრის დროს, ხმების დათვლისას ან არჩევნების შედეგების დადგენისას დაშვებული დარღვევების გამო.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია ოქმის პირს უგზავნის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკისაგან, ავტონომიური რესპუბლიკისაგან, ავტონომიური ოლქისაგან, ავტონომიური ოკრუგისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიას.

მუხლი 58. დეპუტატთა რეგისტრაცია. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე აჯამებს არჩევნების შედეგებს მთელი ქვეყნის მიხედვით, რეგისტრაციაში ატარებს კავშირის საბჭოს არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეულ დეპუტატებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია უარი თქვას დეპუტატის რეგისტრაციაზე და ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების დროს ან ხმის დათვლისას ანდა ოლქში არჩევნების შედეგების განსაზღვრისას იყო ამ კანონის დარღვევები.

ცნობას მოლიანად ქვეყანაში არჩევნების შედეგების შესახებ და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სიას ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესაში აქვეყნებს არაუგვიანეს არჩევნების მეშვიდე დღისა.

კ ა რ ი X

ხელახალი არჩევნები და გაამკაცრებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნები

მუხლი 59. ხელახალი არჩევნები

თუ დეპუტატობის კანდიდატთაგან, რომლებიც კენჭს იყრიდნენ საარჩევნო ოლქში, არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები გაუქმებულად ან ბათილად იქნა ცნობილი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ავალებს საოლქო საარჩევნო კომისიას მოაწყოს საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნები. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საპირობების შემთხვევებში შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს ხელახალი არჩევნების მოწყობის საკითხი. ამასთან იგა



შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მიმართავს წინადადებით დაამტკიცონ მოცემული საარჩევნო ოლქის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ახალი შემადგენლობა.

ხელახალი არჩევნები ეწყობა ერთი თვის ვალაში ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. კენჭისყრა წარმოებს იმავე საარჩევნო უბნებში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

საარჩევნო კომისიების დამტკიცება, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონის მე-50 მუხლით დაწესებულ ვალაში.

მუხლი 60. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა არჩევნების მოწყობა

იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატა ბათილად ცნობს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილებას, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის მანძილზე დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში, შესაბამის საარჩევნო ოლქებში სამი თვის ვალაში მოეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არაუგვიანეს ერთი თვისა მის გამართვამდე და აწყობს ამ კანონის შესაბამისად. ამასთან საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება არჩევნების დანიშვნის მესამე დღეს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები — მეხუთე დღეს. დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე 15 დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის მოადგილე ანდა მდივანი თავისუფლდებათ სავარაუდო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან არჩევნების მომზადებისა და მოწყობის პერიოდში 20 კალენდარული დღით და ენახებათ საშუალო გამოთქმავება მუდმივ სამუშაო აღვილზე.

თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ერთ წელზე ნაკლებია დარჩენილი დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნები არ მოეწყობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1978 წლის 6 ივლისი

ქ ა რ ი X I
დეკუმტატად არჩევის მოწყობა

საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი

მუხლი 61. დეპუტატად არჩევის მოწყობა მას შემდეგ რაც პრესაში გამოქვეყნდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სია ხოლო ხელახალი არჩევნებისა და გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნების დროს — საარჩევნო ოლქში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისია აძლევს ოლქში არჩეულ დეპუტატს მისი არჩევის მოწმობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი პალატის მიერ დეპუტატის რწმუნებათა დამტკიცების შემდეგ მის დეპუტატად არჩევის მოწმობას გამოუცვლიან დეპუტატის მოწმობით.

მუხლი 62. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები

ამომრჩეველთა სიის ხმის მიცემის უფლების მოწმობებს საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს აგრეთვე იმ მოწმობების ფორმებს, რომლებსაც საოლქო საარჩევნო კომისიები აძლევენ დეპუტატობის კანდიდატებსა და დეპუტატებს აწესებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

კავშირის საბჭოს არჩევნებისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ფორმასა და ფერს აწესებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 63. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმისწარმოებას საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ შესაბამისი კომისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ ორგანოებს.

საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს ადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი



საზოგადოებრივი სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და აღნიშვნის წესის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები მშვიდობის, ღირსეულობის, პოლიტიკის განხორციელების, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძვლებიდან გამომდინარე და საერთაშორისო სამართლის საფუძვლიანოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, ღებს და ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მონაწილეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვის პრინციპის ერთგული სსრ კავშირი განუხრტლად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საერთაშორისო მოვალეობებს.

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის ამოცანები

ეს კანონი განსაზღვრავს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და აღნიშვნის წესს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით გამოცხადებული და დამკვიდრებული სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას.

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების — სახელმწიფოთაშორისო, სამთავრობათშორისო და საუწყებოთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და აღნიშვნის წესს, რომელიც ამ კანონით არის დადგენილი, გამოიყენება სსრ კავშირის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, მიუხედავად მათი ფორმის და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ოქმი, წერილების ან ნოტების გაცვლა, სხვა ფორმისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულებები).

მუხლი 2. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადება, აგრეთვე აღნიშვნის წესი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გაშვებლობაში.

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან იღებენ:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,

სსრ კავშირის მთავრობის,

სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების სახელით.

II. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადება

მუხლი 3. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებები

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებებს დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სხვა სამინისტროები, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენენ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად ან მასთან შეთანხმებით, ხოლო დამოუკიდებლად — მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც ამ კანონის მე-4 მუხლით არის გათვალისწინებული.

მუხლი 4. საგარეო ვაჭრობის, სხვაგვარი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებანი

საგარეო ვაჭრობის საკითხებზე, მათ შორის საგარეო-ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და ტექნიკური ხელშეწყობის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე სსრ კავშირის საერთაშორისო ხელ-



შეკრულებათა დადების წინადადებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენენ შესაბამისად სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი დამოუკიდებლად ან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ანდა — მასთან შეთანხმებით.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენენ სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ხელშეკრულებების მოწესრიგებელი საკითხები, — სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

მუხლი 5. სსრ კავშირის საუწყებათშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების წინადადებანი სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ საუწყებათშორისო ხასიათის სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების წინადადებათა წარდგენის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 6. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შესათანხმებულ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებანი

სსრ კავშირის იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კანონმდებლობაში მოცემული წესებისაგან განსხვავებით სხვა წესებს ადგენს, წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკათა წინადადებანი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების შესახებ

მოკავშირე რესპუბლიკებს, მათი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, შეუძლიათ წარადგინონ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების წინადადებანი.

მუხლი 8. გადაწყვეტილებანი მოლაპარაკების გამართვისა და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერის შესახებ

გადაწყვეტილებებს მოლაპარაკების გამართვისა და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერის შესახებ იღებს:

1) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით დასადებ ხელშეკრულებათა თაობაზე, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო იმ ხელშეკრულებათა თაობაზე, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით იდება სსრ კავშირის მთავრობის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

2) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დასადებ ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

3) სსრ კავშირის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

გადაწყვეტილებები მოლაპარაკების გამართვისა და სსრ კავშირის საუწყებათშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერის შესახებ მიიღება იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

მუხლი 9. მოლაპარაკების გამართვისა და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერის უფლებამოსილება

მოლაპარაკების გამართვისა და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერის უფლებამოსილებას იძლევა:

1) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით დასადებ ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო იმ ხელშეკრულებათა თაობაზე, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით იდება სსრ კავშირის მთავრობის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოლაპარაკების გამართვისა და აღნიშნულ ხელშეკრულებათა ხელმოწერის უფლებამოსილება შეიძლება გასცეს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან სსრ კავშირის მთავრობის სახელით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ;

2) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დასადებ ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით.

3) სსრ კავშირის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის მთავრობის სახელით.

გშირი: მინისტრთა საბჭო, ან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო — სსრ კავშირის მთავრობის სახელით;

4) საუწყებათშორისო ხასიათის ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი ან უწყება.

მუხლი 10. მოლაპარაკების გამართვა და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა ხელმოწერა სპეციალური უფლებამოსილების უქონლად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს შეუძლიათ გამართონ მოლაპარაკება და ხელი მოაწერონ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს სპეციალური უფლებამოსილების უქონლად.

უცხოეთის სახელმწიფოში სსრ კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს ან საერთაშორისო ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობის მეთაურს შეუძლიათ სპეციალური უფლებამოსილების უქონლად გამართონ მოლაპარაკება სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ შესაბამისად ადგილსამყოფელ სახელმწიფოებთან ან კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში.

სსრ კავშირის მინისტრს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის უწყების ხელმძღვანელს შეუძლიათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამართონ მოლაპარაკება და ხელი მოაწერონ სსრ კავშირის საუწყებათშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს სპეციალური უფლებამოსილების უქონლად.

მუხლი 11. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას ახდენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 12. სსრ კავშირის სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებანი

სარატიფიკაციოა სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, ხელშეკრულებები ძალის გამოყენებასა ან ძალის გამოყენებით დამუქრებაზე ორმხრივი უარისთქმის შესახებ, საზავო ხელშეკრულებანი, ხელშეკრულებანი სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ, ხელშეკრულებანი, რომლებიც სსრ კავშირის სუვერენიტეტს აქტებში

მოცემული წესებისაგან განსხვავებით სხვა წესებს აღდგენ.

ასევე სარატიფიკაციოა სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებანი, რომელთა დადებისას მხარეები დათქვამენ შემდგომ რატიფიკაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია აგრეთვე სსრ კავშირის სხვაგვარ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება.

მუხლი 13. წინადადებანი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა მოწონებისა და რატიფიკაციის შესახებ

წინადადებებს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონების შესახებ და მათი რატიფიკაციის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო დამოუკიდებლად ან სსრ კავშირის სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განიხილავს წინადადებებს ხელშეკრულებათა მოწონების შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სარატიფიკაციოდ წარდგენის შესახებ, და იღებს შესაბამის დადგენილებას.

მუხლი 14. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა წინასწარი განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით წინასწარ განიხილავენ სარატიფიკაციოდ წარდგენილ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და იძლევიან შესაბამის დასკვნას.

მუხლი 15. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის გადაწყვეტილების მიღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარდგენილ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ მიიღება ბრძანებულების ფორმით. რატიფიკაციის შესახებ გამოტანილი ბრძა-

ნებულების საფუძველზე ხელს აწერენ რატიფიკაციის სიგელს.

მუხლი 16. რატიფიკაციის სიგელების გაცვლა და შესანახად ჩაბარება

რატიფიკაციის სიგელს ცვლის და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის სიგელს შესანახად აბარებს დეპოზიტარებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ან მისი დაჯავშნული — სსრ კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან სსრ კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მუხლი 17. სსრ კავშირის არასარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების დამტკიცება

სსრ კავშირის არასარატიფიკაციო, მაგრამ დასამტკიცებელ (მისაღებ) საერთაშორისო ხელშეკრულებებს ამტკიცებს (იღებს):

1) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო ხელშეკრულებებს, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით იდება სსრ კავშირის მთავრობის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

2) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

3) სსრ კავშირის მთავრობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის საუწყებათშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დამტკიცება (მიღება) წარმოებს იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 18. საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთება

გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეერთების შესახებ იღებს:

1) საარატიფიკაციო ხელშეკრულებათა თაობაზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

2) არასარატიფიკაციო ხელშეკრულებათა თაობაზე, რომლებთან შეერთებაც ხდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო იმ არასარატიფიკაციო ხელშეკრულებათა თაობაზე, რომლებთან შეერთებაც ხდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

3) იმ არასარატიფიკაციო ხელშეკრულებათა თაობაზე, რომლებთან შეერთებაც ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

4) იმ არასარატიფიკაციო ხელშეკრულებათა თაობაზე, რომლებთან შეერთებაც ხდება სსრ კავშირის მთავრობის სახელით, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

გადაწყვეტილებათა საუწყებათშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთების შესახებ მიიღება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

III. სსრ კავშირის სამართაშორისო ხელშეკრულებათა შესრულება

მუხლი 19. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვა

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს განუხრავლად უნდა იცავდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნებაყოფლობითი დაცვის პრინციპის შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მოითხოვს, რომ იმ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებათა სხვა მონაწილეებიც, რომლებშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, განუხრავლად იცავდნენ ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თავთავიან მთავალეობებს.

მუხლი 20. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ახორციელებს ღონისძიებებს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 21. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება

სსრ კავშირის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა კომ-

პეტენციაშიც შედის სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით მოსაწესრიგებელი საკითხები, უზრუნველყოფენ საბჭოთა მხარის მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, თვალს ადევნებენ ასეთი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საბჭოთა მხარისათვის მინიჭებული უფლებების გზნორციელებას და ხელშეკრულებათა სხვა მონაწილეების მიერ ვალდებულებათა შესრულებას.

მუხლი 22. საერთო მეთვალყურეობა სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულებისადმი

საერთო მეთვალყურეობას სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულებისადმი ახორციელებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 23. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა მიერ დარღვევის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებანი

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სხვა მონაწილეების მიერ დარღვევის შემთხვევაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის სხვა სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით წარუდგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებებს იმის თაობაზე, რომ განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა მიერ არსებითი დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ასეთი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ამ კანონის 27-ე, 30-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 24. წინადადებანი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით საბჭოთა კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

იმ შემთხვევებში, როცა სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების მიზნით საჭიროა გამოიცეს სსრ კავშირის კანონი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ან დადგენილება, ანდა მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ან განკარგულება, სსრ კავშირის დანტერესებული სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებ-

ები სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით დადგენილი წესით წარადგენენ წინადადებებს სათანადო აქტის მიღების შესახებ.

IV. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება და რეგისტრაცია

მუხლი 25. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება

სსრ კავშირისათვის ძალაში შესული სსრ კავშირის სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმოწერის გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დადებული სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებანი, რატიფიცირებული ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები, რომლებთან შეერთებაც მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

სსრ კავშირისათვის ძალაში შესული სსრ კავშირის სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, სსრ კავშირის მთავრობის დადებული არასარატიფიკაციო ხელშეკრულებანი და ხელშეკრულებები, რომლებთან შეერთებაც მოხდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ქვეყნდება სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა კრებულში.

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებანი, რომელთა აუტენტური ტექსტები შედგენილია უცხო ენებზე, ქვეყნდება ამ ენათაგან ერთ-ერთზე ოფიციალური რუსული თარგმანითურთ.

სსრ კავშირის საუწყებათშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოქვეყნების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 26. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რეგისტრაცია

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რეგისტრაციას ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა შესაბამის ორ-



განოცხდის ახორციელებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სსრ კავშირის საუწყებოთაშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

V. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსაცია

მუხლი 27. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსაციის წინადადება

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსაციის წინადადებებს დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამოუკიდებლად ან სსრ კავშირის სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტთან და უწყებებთან შეთანხმებით.

მუხლი 28. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსაცია სსრ კავშირის უმაღლესი ხარისხის პრეზიდიუმის მიერ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო დადებულ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დადებულ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რატიფიცირებულ ხელშეკრულებებს, ხელშეკრულებებს, რომლებთან შეერთებაც მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, — აუქმებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 29. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსაციის წინადადებების წინასწარი განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დეკლარაციით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიები წინასწარ განიხილავს სადენონსაციოდ წარდგენილ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და იძლევიან შესაბამის დასკვნას.


მუხლი 30. სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დენონსაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, სსრ კავშირის მთავრობის სახელით დადებულ არასორატიფიცირებულ ხელშეკრულებებს და ხელშეკრულებებს, რომლებთან მიზნობაც მოხდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე, — აუქმებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის საუწყებოთაშორისო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებების დენონსაცია წარმოებს იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი ხარისხის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**
სსრ კავშირის უმაღლესი ხარისხის პრეზიდიუმის მდივანი **მ. შიშკინი**

მთავარი, კრემლი.
1978 წლის 6 ივლისი.



ქვეყნის



ბოლშევიკთა სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი თბილისში

ორ დღეს თბილისში იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ცნობილი პოლონელი მეცნიერი-კრიმინალისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეჟი ბაფია, მეუღლითურთ, რომელიც სსრ კავშირში ისვენებდა.

პროფესორი ეჟი ბაფია ეწვია კახეთის რაიონებს, დაათვალიერა უძველესი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები — ალავერდი და იყალთო, აღექვანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში, აგრეთვე წინანდლის ღვინის ქარხანა. შემდეგ პროფ. ე. ბაფიამ მოინახულა გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის მეურნეობა.

მეორე დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი გაეცნო ქართული ხელოვნების მუზეუმში დაცულ აღრინდელი ხანის უნიკალურ ნიმუშებს, იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლადო გუდი-აშვილის სახელოსნოში. პროფ. ეჟი ბაფიამ იმოგზაურა საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, აღტაცებულად დარჩა სვეტიცხოვლითა და ჯვრის მონასტრით.

ეჟი ბაფია „საბჭოთა სამართლის“ კორესპონდენტთან საუბარში პროფ. ეჟი ბაფიამ განაცხადა: ჩვენ ბევრი რამ გვსმენოდა ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის შესახებ, მაგრამ იმ დიდებულმა მასპინძლობამ, რომელიც აქ გავიწიეს, ყოველგვარ მილოდინს გადააჭარბა. ცნობილია, რომ ქართველი და პოლონელი სწავლული იურისტები კარგა ხანია ნაყოფიერად თანამშრომლობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, კარგად იცნობენ ერთმანეთს, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებები ერთმანეთს უცვლიან მეცნიერ მუშაკებსა და მეცნიერულ ნაშრომებს. სასურველი იქნებოდა, მიგვებაძა მათი კარგი მაგალითისათვის და მჭიდრო კონტაქტი დაგვეყარებინა საქართველოს იუსტიციის მოღვაწეებთან.

გახოვთ, თქვა დასასრულ მინისტრმა, ჩვენი განსაკუთრებული მადლობა გადასცეთ იმ პირთ, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა ეს ორი დღე ასეთი საინტერესო და დასასხომებელი ყოფილიყო ჩვენთვის.

12 სექტემბერს პროფ. ეჟი ბაფია მეუღლითურთ სამშობლოში გაემგზავრა.

საქართველოს რაიონებში მოგზაურობისას ეჟი ბაფიას თან ახლდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

1978 წლის 14 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: შ. ყურაშვილი, ლ. ზანიჩიძე, ფ. მამუჩაშვილი, ნ. გორლაბაძე, ვ. მხარტიანი, ი. ჩიკვაძე, ჯ. ბაძრბაძე, ი. ნიკოლაიშვილი. განხილული იქნა საკითხი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის გარდაცვალების შემდეგ, ნახევარ წელზე მეტია თავმჯდომარის

მოვალეობას ასრულებს შ. შ. როინიშვილი, მანამდეც, თავმჯდომარეთა ავადმყოფობის გამო. გ. როინიშვილი ფაქტობრივად ამ მოვალეობას ასრულებდა წლების განმავლობაში. იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა პრეზიდიუმის თავმჯდომარის კანდიდატურაზე და გამოთქვა აზრი, რომ ამ თანამდებობაზე ასარჩევად რეკომენდაცია გაუწიოს გ. როინიშვილის კანდიდატურას.

პრეზიდიუმმა დაადგინა: საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ბრიგოლ ვასილის ძე როინიშვილი.



სამართლებრივ სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1978 წლის 31 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აკ. კარანაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ვ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე გ. ტყეშელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გ. რაონიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლის მსაჯულთა საბჭოს წარმომადგენლები, მეცენიერი მუშაკები, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები.

მოხსენება — „მოქალაქეთა მიერ მოქმედი წესების დარღვევით აწეწებული სახლების ჩამორთმევის საქმეების განხილვისას კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის № 5 დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ღვედარაიანმა.

ჩვენს ქვეყანაში, თქვა მომხსენებელმა, უდიდესი ყურადღება ექცევა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, ამიტომ საბინაო პირობების გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პარტია და მთავრობა დღენიადავ ზრუნავენ ბინათმშენებლობის განუზრელი ზრდისათვის, რაც დადასტურებულია ზემდგომი ორგანოების მთელი რიგი შესაბამისი დადგენილებებით, რომლებშიც ხაზგასმულია საბინაო მშენებლობის მნიშვნელობა. აღნიშნულ დადგენილებებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმას, რომ დასახლებული პუნქტები სწორად იგეგმებოდეს და მათი განაშენიანებისათვის მკაცრად აგებდნენ პასუხს არქიტექტორები და მშენებლობის კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორები.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით დადგენილია ის ზღვრული ნორმები, თუ რა რაოდენობის საც-

ხოვრებელი და დამხმარე ფართობი შეიძლება ჰქონდეს მოქალაქეს პირად საკუთრებაში. ამავე კოდექსის 107-ე მუხლით კი განსაზღვრულია, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ, დამტკიცებული პროექტის გაერეშე, ან მშენებლობის ძირითადი ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით აშენებას.

ცნობილია, რომ წარსულის შეცდომებმა თავისი უარყოფითი კვალი დააჩნია მიწათსარგებლობასა და საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალურ მშენებლობას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ გასულ წლებში რესპუბლიკის სასამართლოებს ხშირად უხდებოდათ თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლების უსასყიდლოდ ჩამორთმევისა და მათი კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის საქმეთა განხილვა.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოებმა მკვეთრად გააძლიერეს ბრძოლა უნებართვო მშენებლობის, პროექტიდან არსებითი გადახვევის, მშენებლობის ძირითადი ნორმებისა და წესების უხეში დარღვევების წინააღმდეგ, რაც თავისთავად ხელს უწყობს ამგვარ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას. უკანასკნელ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად შემცირდა საცხოვრებელი სახლების უნებართვოდ მშენებლობის ფაქტები.

შესწავილი საქმეების მიხედვით შეიძლება დაეასკვნათ, რომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში ძირითადად სწორად იყენებენ კანონმდებლობას, რომელიც უნებართვოდ აშენებულ სახლებს შეეხება, ისინი შეუთრევიბელ ბრძოლას ეწევიან უნებართვოდ, სათანადოდ დამტკიცებული პროექტის გაერეშე წარმოებული მშენებლობის ან მიწების, მშენებლობის ძირითადი ნორმებისა და წესების უხეში დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ.

ამავე დროს, ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოების მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები. სასამართლოში ზოგჯერ სრულყოფილად არ ითვალისწინებენ უკანონო მშენებლობის ვაზრდილ საშუაროებას, იმას რომ იგი ხშირად დაკავშირებულია მიწის მიტაცებასთან, უკანონო გზით შეძენილი სამშენებლო მასალების გამოყენებასთან, კანონის გვერდის ავლით სხვადასხვა შემთხვევასთან, მექრთამეობასთან, პროტექტიონიზმთან, სხვა თანამდებობრივ დანაშაულთან.

დაბალია სასამართლოების მიერ გაწეული

პროფილაქტიკური მუშაობის დონე, თითქმის არაფერი კეთდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად. ეს კი იმის ბრალია, რომ მოსამართლეები საქმარისად არ აწყობენ ლეგიონსემინარებს უკანონო ბინათმშენებლობის საკითხებზე, იშვიათად გამოდიან პრესის ფურცლებზე, ადვოკატობრივი რადიოთი, ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი არ ხდება სასამართლოებში შემოსული ცალკეული სინტერესო საკითხები. ამას ისიც ემატება, რომ სასამართლოებს ხშირად არ გამოაქვთ კერძო განჩინებები თანამდებობის იმ პირთა და ორგანოთა მიმართ, რომელთა წყურუბამ და ხელის შეწყობამ განაპირობა უკანონო ბინათმშენებლობა.

სასამართლოები არ იღებენ ზომებს უკანონო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების გამოსავლინებლად და ნაკლებად განიხილავენ ასეთ საქმეებს გამსვლელ სესივებზე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მაშინაც კი, როცა აშკარაა თანამდებობის პირთა ხელშეწყობა უკანონო მშენებლობაში, სასამართლოში საკითხს სათანადო რეაგირების გარეშე ტოვებენ.

შემდეგ მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები რესპუბლიკის სასამართლოების პრაქტიკიდან, როცა უხეშად ირღვეოდა საბინაო მშენებლობის კანონმდებლობა და უნებართვოდ შენდებოდა პირადი სარკებლობის ბინები. უმთავრესად სასამართლოები სწორად წყვეტდნენ სადავო საკითხებს, მაგრამ ზოგჯერ სასამართლოს გადაწყვეტილებები უქმდებოდა ზემდგომ ინსტანციებში ან მათში შეჰქონდათ არსებითი ხასიათის შესწორებები.

რატომღაც რესპუბლიკის სასამართლოებს ჯერ კიდევ არ აქვთ შემუშავებული ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ერთიანი, მყარი პრაქტიკა.

მეორე საკითხზე მოხსენება „სასამართლოების მიერ რეციდივულ დანაშაულობასთან ბრძოლის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ ვაღვეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ხულაევამ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა, თქვა ა. ხულაევამ, უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს იმ დანაშაულთა საქმეების განხილვის ხარისხი, რომლებიც ჩადენილია წინათ მსჯავრდებულთა მიერ. სასამართლო პრაქტიკის განზოგადებამ ცხადყო, რომ გასულ წლებთან შედარებით სასამართლოები ნაკლებად უშვებენ შეცდომებს, რადგან კანონმდებლობის გამოყენების დროს იყე-

ნებენ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ერთგვარად შემცირდა შეცდომები სასჯელის ზომასა და შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის განსაზღვრისას, რაც სერიოზულ სიძნელებს ქმნიდა მჯავრდებულთა შემდგომი აღზრდა-გამოსწორებისათვის.

ამასთანავე, სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებიც გარკვეულ წილად ასუსტებს რეციდივული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას.

ზოგიერთი სასამართლო ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას არ ივცევს რეციდივული დანაშაულის ხელშემწყობ პირობებსა და მიზეზებს, არ მიმართავს ქმედითს ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად. სასამართლოები ჯეროვან მოთხოვნებს არ უყენებენ წინასწარი გამოძიების ორგანოებს, რათა შეკრიბონ საჭირო მონაცემები ბრალდებულის წარსული ნასამართლობის, დანაშაულის ხასიათის, სასჯელის მოხდის ადგილას ყოფნის დროის, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების და სხვა ისეთ ვარემოებათა შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი დანაშაულის ჩადენისას სისხლის სამართლის კანონის სწორი გამოყენებისათვის. სასამართლოებს ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო განჩინებები გამოძიების იმ მუშაულების მიმართ, რომლებმაც სრულიად უყურადღებოდ დატოვეს ან ზერელედ გამოიკვლიეს რეციდივული დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები.

ზოგჯერ რეციდივული დანაშაულის საქმეთა განხილვისას დაცული არ არის სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნები, სამსჯავრო სხდომებზე სრულყოფილად არ ივცევენ წინასწარი გამოძიების მასალებს და არასწორად აკვალფიცირებენ დანაშაულის, რაც იწვევს დაუსაბუთებელი განაჩენების დადგენას.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებენ ცალკეულ სასამართლოთა მუშაობას რეციდივული დანაშაულის პროფილაქტიკა და თავიდან აცილებაში. გამსვლელ სესიებისათვის ყოველთვის მიზნობრივად არ არჩევენ საქმეებს, რის გამოც ზოგჯერ გამსვლელ სესიებზე იხილავენ ნაკლებად აქტუალურ საკითხებს. გვხვდება შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივ ბრალმდებელსა და საზოგადოებრივ დამცველს გამოყოფს ერთი და იგივე ორგანიზაცია ერთი და იგივე განსასჯელის მიმართ, ეს კი დაუშვებელია, რადგან ასეთ



შემთხვევაში გამოხატული არ არის საზოგადოებრიობის ნამდვილი აზრი.

ჯერ კიდევ მთელი სისტულით არ არის გამოყენებული რეციდივული დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში პროფილაქტიკის ისეთი ძირითადი საშუალება, როგორც არის სასამართლოს კერძო განჩინება, ხოლო თუ არის, ზოგჯერ მოკლებულია პრინციპულობას, გამიზნულობას. ვხვდებით ფაქტებს, როდესაც კერძო განჩინებები იგზავნება დავიანებით და სასამართლოები სჯერდებიან წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ გამოგზავნილ ფორმალურ პასუხს.

რეციდივული დანაშაულის თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკის საქმეში მთელი ხსარულით არ არის გამოყენებული პრესა, რადიო და ტელევიზია, რაც მასების სამართლებრივი აღზრდის ერთ-ერთი მუქტიანი საშუალებაა.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მახლეები მიწმობს, რომ შესაბამისი ორგანოები ყოველთვის არ უთმობენ ყურადღებას იმ პირთა სამუშაოზე მოწყობას, რომლებიც განთავისუფლდნენ საპატიმროებიდან. ეს კი ზოგჯერ ხელს უწყობს ახალი დანაშაულის ჩადენას და ამიტომ სასამართლოებმა მის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

რეციდივული დანაშაულის საქმეთა განხილვისას სასამართლოები ზოგჯერ ჯეროვნად არ არკვევენ, თუ რამდენად სწორად და კანონის შესაბამისად ასორციელებენ მილიციის ორგანოები თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა მიმართ აღმინსტრაციულ ზედამხედველობას. არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება აგრეთვე ზოგიერთი სასამართლოების მუშაობაშიც მსჯავრდებულთა ვალამდე პირობით განთავისუფლების საკითხების განხილვისას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, სახსრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო რეციდივული დანაშაულის საქმეების საქსაცოიო და საზედამხედველო წესით განხილვის დროს ყოველთვის არ ახდენენ სათანადო რეაგირებას იმ დარღვევებზე, რომლებსაც სასამართლოები უშეებენ რეციდივული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ი. ფიჩხაძის მოხსენება „სასამართლოების მიერ

სისხლის სამართლის საქმეთა საქსაცოიო წესით განხილვის პრაქტიკა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 17 დეკემბრის № 10 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოები, თქვა მომხსენებელმა, მართლმსაჯულების დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად თავიანთ მუშაობას წარმართავენ იმ აპოკანების შესაბამისად, რომლებიც აღმინსტრაციული ორგანოების წინაშე დააყენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა.

ბოლო წლებში რესპუბლიკის საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს როგორც სისხლის სამართლის საქმეთა საქსაცოიო წესით განხილვის ხარისხი, ისე მართლმსაჯულების მოთხოვნებზე ოპერატიულობა. შემცირდა მატერიალური და საპროცესო ნორმების არსებითი ხასიათის დარღვევათა შემთხვევები და შემამჩნევად გაუმჯობესდა ანალიზური მუშაობა, რამაც საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოებს შესაძლებლობა მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოებთან თავის გაეწიათ ქმედითი და მზანდისასული პრაქტიკული დახმარება.

საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოს წევრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უკანასკნელ ხანს განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მათი პროფესიული დონის ზრდას, რამაც განაპირობა მუშაობის ხარისხის გარკვეული გაუმჯობესება.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოების მიერ ჩატარებულ სხდომებში ყოველთვის არ არის მაღალი კულტურის, მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების ზუსტად დაცვის ნიშნები, არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როცა საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოს განჩინებები ზედამხედველობის წესით უქმდება ან იცვლება მსჯავრდებულის ქმედობის მცდარი კვალიფიკაციის, საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევების, სსკ 45-ე მუხლის დაუსაბუთებელი გამოყენების, მოკლევადიანი საპატიმრო ღონისძიების განსაზღვრის, დამატებითი სასჯელების გამოყენების დროს დამებული შეცდომების გამო ან სხვა მოტივით.

საერთოდ, საქსაცოიო ინსტანციის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მუშაობის ისეთ დონეზე წარმართვა, რომ ძირფული სასამართლოების მიერ დამებული შეცდომები,



ჩვეულებრივ, სწორდებოდეს საქმეთა საკასაციო წესით განხილვის დროს.

თუმცა საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა, მათმა შემადგენლობებმა და ცალკეულმა წევრებმა უკანასკნელ ხანს გააუმჯობესეს ანალიზური მუშაობა, საკასაციო ინსტანციის სასამართლოების საქმიანობის ამ მნიშვნელოვან მხარეს ჯეროვანი ყურადღება მინიჭდა არა აქვს დათმობილი. ანალიზური მუშაობა არ წარმოებს სისტემატურად და გამიზნულად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ყოველთვის სათანადოდ არ სწავლობენ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებების გაუქმებისა და შეცვლის მიზეზებს არ განაზოგადებენ მათ, რაც განაპირობებს იმას რომ ეს შეცდომები მეორდება.

მოხსენებთა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ნ. არღუნი, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩორგოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი ა. ხოჯოლაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მეცნიერი კონსულტანტი პროფ. ნ. წერეთელი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ა. დღუნაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მეცნიერი კონსულტანტი ი. გამყრელიძე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ქილაშვილი.

ბ. არსენაშვილი

მეცნიერული ბრძოლა დამნაშავეების წინააღმდეგ

მიმდინარე წლის 19 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებათა წარმომადგენლები. განხილულ იქნა საკითხი — დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის სასამართლო და იუსტიციის ორგანოების საქმიანობის გააქტიურების შესახებ. მოხსენება — „დამნაშავეობის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში რესპუბლიკის სასამართლო და იუსტიციის ორგანოების ამოცანების შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა. გ. იოსელიანმა.

გების განყოფილების ინსტრუქტორი ნ. შაშკინი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. გვედესიანი, ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ჟორჯოლაძე, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე თ. ყაჭვიშვილი, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩორგოლაშვილი, ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. დღონტი, ვანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. წულუკიანი, ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ოხუჯაიშვილი.

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. იოსელიანმა.

მოხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტების გამო მიმდინარე წელს რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში შეიმჩნევა დამნაშავეობის ზრდის ტენდენცია.

შექმნილი ვითარება გვაგვალბებს გავაძლიეროთ პროფილაქტიკური საქმიანობა, უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები. პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების ამოცანაა გარდაქმნან მუ-

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბუხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანო-



შაობა, განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებები მდგომარეობის გამოსწორებისა და სასურველი შედეგების მიღებისათვის.

დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო პროცესის სწორი ორგანიზაცია, დასჯითი პრაქტიკის მართებულად განხორციელება, თითოეული საქმის განხილვა ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ სასამართლო პროცესი და განაჩენი ხელს უწყობდეს დანაშაულის პროფილაქტიკას, აღმზრდელობითსა და გამაფრთხილებელ ზემოქმედებას ახდენდეს როგორც მსჯავრდებულზე, ისე დამსწრე მოქალაქეებზე, ამას კი მაშინ მივალწევთ, თუ ყოველი საქმის განხილვისას მკაცრად დავიცავთ კანონიერებას, დამნაშავეს შევუფარდებთ სამართლიან სასჯელს. სამწუხაროდ, სასამართლოები მართლმსაჯულების განხორციელებისას ჯერ კიდევ უშვებენ სერიოზულ შეცდომებს, ვერ იცავენ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. არის შემთხვევები, როდესაც საშიშ დამნაშავეს ეფარდება ლობიერი სასჯელი, ხოლო დამნაშავე, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, ზედმეტად მკაცრად ისჯება. ჯერ კიდევ გვხვდება სამართალში მიცემულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა კანონიერი უფლებების დარღვევის ფაქტები, აღმოფხვრილი არ არის უკანონო მსჯავრდების შემთხვევები. საკასაციო ინსტანცია ყოველთვის არ ასწორებს სახალხო სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებს, რაც შემდეგ ზედამხედველობის წესით განაჩენების შეცვლასა და გაუქმებას იწვევს.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს საქმეთა განხილვის ვადების დაცვის საკითხი. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლოების საქმიანობის ეფექტიანობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს საქმეთა განხილვის ვადების უხეში დარღვევის ფაქტები, ზოგჯერ საქმის განხილვა თვეობით და წლობითაც კი ჭიანჭურდება, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი მოსამართლე პირადად არ მონაწილეობს სამსჯავრო განხილვისათვის საქმის მომზადებაში, ამ მნიშვნელოვან საკითხს აკისრებს ჟანცელარიის მუშაკებს.

უნდა გაძლიერდეს სასამართლოს საქმიანობისადმი უმაღლესი სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა და კონტროლი. სასამართლოების მიერ დაშვებული არც ერთი შეცდომა არ უნდა დარჩეს სათანადო რევიზიების გარეშე. უნდა ამოღდეს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი

საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხი. უკანონო განაჩენების დიდი ნაწილი უქმდება და იცვლება არა პროკურორის საკასაციო პროტესტების საფუძველზე, არამედ მსჯავრდებულთა დამცველების საჩივრებით. ზოგი პროკურორი განაჩენს მაშინაც კი არ აპროტესტებს, როდესაც მას პროცესზე სწორი პოზიცია ეკავა, ხოლო სასამართლომ მიიღო მისი მოთხოვნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, აღმოფხვრილი არ არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი პროტესტების შეტანის ფაქტები.

სასამართლოები უფრო ახლოს უნდა იდგნენ საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანოებთან. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი შედეგი და ეფექტი არ მოჰყვება, თუ არ ხდება ამ ბრძოლის კოორდინირება, თუ შექმნილი არ არის ერთიანი ფრონტი.

სასამართლოები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს დამნაშავეობის და მისი გამოძწევის მიზეზების აღმოფხვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერონად ვერ აფასებენ გამსვლელი პროცესების, კერძო განჩინებების მნიშვნელობას, საქმის განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის როლს, საკმარისად არ სწავლობენ დამნაშავეობის მიზეზებს და ხელშემწყობ პირობებს.

სასამართლოს გამსვლელი სესიები ხშირად ეწყობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან, გამსვლელ სესიაზე განიხილება მცირე მნიშვნელოვანი საქმეები, რომლებსაც არ აქვს დიდი საზოგადოებრივი ძალადობა.

სასამართლოს კერძო განჩინებები ზოგჯერ დაუსაბუთებელია, არ შეიცავს ჩადენილი დანაშაულის მიზეზების ანალიზს, მითითებას მათი აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ. საზოგადოების წარმომადგენელად ზოგჯერ პროცესში მონაწილეობენ შემთხვევითი პირები. გასაგებია, რომ ასეთი ფორმალური პროფილაქტიკური ღონისძიებები ვერ აღწევს სათანადო შედეგს, დადებითს გავლენას ვერ ახდენს დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევების მდგომარეობაზე.

სხდომაზე აღინიშნა სამართლებრივი პროპაგანდისა და აღზრდის დიდი მნიშვნელობა კანონიერების განმტკიცების საქმეში. ამ საქმეში სერიოზული ნაკლებობებია. სამართლის თემებზე წაკითხული ლექცია-მოსხენებები, პრესაში გამოქვეყნებული თუ რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალები



ყოველთვის არ არის მიზანმიმართული, ზოგჯერ კი კეთდება სენსაციებისა და აუიოტაჟის მოყვარულთა გემოვნების დონეზე, იშვიათად იბეჭდება ადმინისტრაციული ორგანოების დადებითი საქმიანობის, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა მიერ გამოჩენილი მამაცობის ამსახველი მასალები.

გაერთიანებული სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ მომავალში უფრო ეფე-

ქტიანად გამოყენებენ სამართალდარღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს; სასამართლოს და იუსტიციის ორგანოები იბრძოლებენ, რათა პირნათლად შეასრულონ სსრ კავშირისა და რესპუბლიკის კონსტიტუციების დებულებებიდან გამომდინარე ამოცანები, თავ-თავიანთ წვლილს შეიტანენ სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

6. ფიზია

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორების მონაწილეობით.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ა. ბარაბაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. არქიპოვი, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ოსეპჩუკი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ლომიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის მოადგილე გ. ლეხეიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე ი. საკონოვი და სხვები.

მოსხენება — საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის 1978 წლის პირველი ნახევრის შედეგები და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები — გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. ჭიალაშვილმა.

მოსხენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილებების უფროსები თ. ფოცხვერია და ა. ლომიძე, აფხაზეთის ასსრ პროკურორი ვ. ვარდაია, საქართველოს სსრ პროკურორის

მოადგილე ვ. იოსელიანი, პროკურორები ქ. სოსუმისა — ჩ. წულაია, ზესტაფონის რაიონისა — რ. ლაღიძე, ბოლნისის რაიონისა ვ. დუბინსკი, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ოსეპჩუკი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ლომიძე.

კოლეგიის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ პროკურორმა ლ. თალაკვაძემ.

მოსხენებასა და კაბათში მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში, კერძოდ თბილისში, ქუთაისში, ტყიბულში, მცხეთის, თერთიწყაროს, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს ბრძოლა მძიმე დანაშაულობათა, მათ შორის მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ძარცვის, გაუპატიურების, ხულიგნობის წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანს მოწყობილი შემოწმებებით ზოგიერთ რაიონში გამოძვდვანდა დანაშაულის დამალვის, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრაზე უსაფუძვლო უარის თქმის ფაქტები.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი კანონიერების ამ დარღვევათა აღსაკვეთად. პროკურორებმა შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებში შეიტანეს ბევრი წარდგინება, კანონის გამოვლენილი დარღვევების შემთხვევები აცნობეს პარტიულ ორგანოებს, დანაშავე პირების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. შინაგან საქმეთა ორ-



ვანოების საქმიანობისადმი ზედამხედველობის შესუსტებისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს თერჯოლის რაიონის პროკურორი გ. ვაჭარაძე.

ჯერ კიდევ არ არის დამაკამფოფილებელი დანაშაულის გახსნის მდგომარეობა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხშირად დაგვიანებით და არაკვალიფიციურად ეწყობა, საკმაოდ არ იყენებენ მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებებს, აგრეთვე სპეციალისტებს დანაშაულის კვლის გამოვლენისა და შენარჩუნებისათვის. ცუდად არის ორგანიზებული გამოძიებულებისა და მოკვლევის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობა დანაშაულის გახსნის მიზნით. ამით აიხსნება, რომ არაერთი დანაშაული გაუხსნელია, მათ შორის განზრახი მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა, პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობა და სხვა.

რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ ვერ უზრუნველყო ქმედითი კონტროლი მძიმე დანაშაულებათა გახსნისადმი. გაუხსნელი დანაშაულის საქმეებს ზოგჯერ საგამოძიებო სამმართველოს მუშაკები ზერელედ და დაგვიანებით სწავლობენ, ზოგი საქმე კი საერთოდ არ შეუმიწმებიან.

მიღებული ზომების მიუხედავად ჯერაც აღმოფხვრილი არ არის კანონიერების დარღვევის ფაქტები: უსაფუძვლო დაპატიმრება და მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების დაუსჯელად დატოვება.

უკანონო პატიმრობის ფაქტებია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ფოთის, აგრეთვე მარნეულის დუშეთის, წულუკიძის, მცხეთის რაიონების პროკურატურებში.

ერთგვარად გაუმჯობესდა მაჩვენებლები გამოძიების ხაზით, მაგრამ კვლავ ცუდად იცავენ გამოძიებისა და კანონით დადგენილ ვადებს. საქმეთა გამოძიებას შეუწყნარებლად აკანონებენ ჩონჩხატურის, წულუკიძის, წალკის, გორის, ასპინძის, ლანჩხუთის, დმანისის რაიპროკურატურების გამოძიებულები, შინაგან საქმეთა გეგმეკორის, დმანისის, ლანჩხუთის, ახმეტის, თერჯოლის რაიგანყოფილებების გამოძიებულები.

წყაენებულ მოთხოვნებს საგრძნობლად ჩამორჩება გამოძიების ხარისხიც. დამატებითი გამოძიების საწარმოებლად ბევრი საქმე დაუბრუნდათ თერჯოლის, ადიგენის, დუშეთის, ლანჩხუთის, ხაშურის, წულუკიძის რაიპროკურატურების, შინაგან საქმეთა ვანის, დმა-

ნისის, ლაგოდეხის, ორჯონიკიძის, წალკის რაიგანყოფილებების გამოძიებულებს.

რესპუბლიკის პროკურატურამ შესწავლა მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის კანონიერებისა და საფუძვლიანობის მდგომარეობა, განაზოგადა საქმეთა უხარისხო გამოძიების, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების ვადების დარღვევის მიზეზები. განზოგადების შედეგები განხილულია საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე, კანონიერების დარღვევის ფაქტებზე მოხდა მკაცრი რეაგირება. კანონიერების უხეში დარღვევისთვის 32 საპროკურორ-საგამოძიებო მუშაკი დაეღობა დისციპლინური სასჯელი, მათ შორის ექვსი საპროკურორ-საგამოძიებო მუშაკი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობას დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ საპროკურორო საქმიანობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში არის სერიოზული ნაკლოვანებები. ზოგიერთმა პროკურატურამ ვერ შეძლო თავისი მუშაობის ძირეულად გარდაქმნა, ისე, რომ დამნაშავეობასა და კანონიერების დარღვევებთან ბრძოლაში მთავარ მიმართულებად იქცეს დანაშაულის თავიდან აცილება, მისი ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრა.

ნაკლებ ეფექტიანია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებულებისა და პროკურორების წარდგინებები დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ, ბევრი მათგანი ისეა შეტანილი, რომ ღრმად არ არის გაანალიზებული დანაშაულის ჩადენის გარემოებები. ზოგიერთი წარდგინება შეიცავდა მხოლოდ ინფორმაციას მართლწესრიგის დარღვევის ფაქტის შესახებ. მშრომელთა კოლექტივების კრებებზე გამოსვლისას გამოძიებულები ხშირად სჯარდებიან დანაშაულის ფაქტის შესახებ შეტყობინებას, არ ავლენენ დანაშაულის ნამდვილ მიზეზებს და არ აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად.

პროკურორები სათანადოდ არ იყენებენ სამართლო ტრიბუნას მიზანდასახული და ქმედითი სამართლებრივი პროპაგანდისათვის, სათანადოდ არ აფასებენ გამსვლელთა სასამართლო სესიების აღმზრდელთა მნიშვნელობას. სასამართლო პროცესზე გამოსვლის

დროს პროკურორები ყოველთვის არ იჩენენ ინიციატივას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზების გამოსაგლეხად, ყოველთვის არ აღძრვენ შუამდგომლობას, რათა გამოტანილ იქნეს კერძო განჩინება სასამართლოს სამსჯავრო პროცესზე გამოვლენილი დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

პროფილაქტიკური ღონისძიებების განუხორციელებლობის შედეგია ის, რომ განზრახ მკვლელობებისა და სხეულის მძიმე დაზიანების უმრავლესობა ჩადენილია საყოფაცხოვრებო ნიადაგზე. ჩვეულებრივ, დამნაშავეთა დანაშაულებრივი განზრახვა ვლინდებოდა ღია მუქარის ფორმით, მაგრამ მილიციის ორგანოებმა არ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა ამ დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად. პროკურორები სათანადო ზედამხედველობას არ ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სასამართლოების მიერ კონფლიქტური ურთიერთობისა და დავის, მკვლელობის მუქარის, საყოფაცხოვრებო ზეზღვრების და სხვა სადავო უთანხმოებების შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების გადაწყვეტის კანონიერებისადმი.

სერიოზული ნაკლოვანებებია ისეთი გავრცელებული დანაშაულების მიზეზებთან ბრძოლის საქმეში, როგორც არის ლოთობა, მუქათხორბობა, კონფლიქტური ურთიერთობა და დავა, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა და ტარება. ბევრ დანაშაულს სჩადიან მთვრალი პირები, ზოგან არ სრულდება პარტიისა და მოთვრობის დადგენილება სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ. ჭეშონად არ ებრძვიან პირებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

საკმარისი ღონისძიებანი არ ხორციელდება არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით. ჭერ კიდევ ბევრი ახალგაზრდა და მოზარდი სჩადის დანაშაულს, რაც იმას მოწმობს, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია ოჯახებსა და სკოლაში არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობით მუშაობაში. ამასთან ხშირად შემწყყნარებლურად ეკიდებიან მშობელთა ამორალურ ქცევას, მათ მიერ არასრულწლოვანის აღზრდის მოვალეობების დაუდევრად შესრულებას.

რესპუბლიკაში კვლავ არის რეციდივულ დანაშაულობათა შემთხვევები. ძირითადად რეციდივისტები გვევლინებიან ისეთი **ჯგუფუ-**

რი დანაშაულების ორგანიზატორებად, როგორც არის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობა, ყაჩაღური თავდასხმები, ძარცვა და სხვა საშიში დანაშაულებანი.

კვალიფიციურად არ წარმოებს ანალიზური მუშაობა ცალკეულ სახეობათა საშიში დანაშაულების კონკრეტული მიზეზების შესწავლისა და მათ აღმოსაფხვრელად ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის.

უკანასკნელ ხანს მიღებულია ზომები სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისადმი. საპროკურორო ზედამხედველობის გასაძლიერებლად, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ამ დარგში ცალკეული მანგვნებლები. ამაღლდა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი. პროკურორები მეტ ყურადღებას აქცევენ სამოქალაქო საქმეთა გამო მიცემული დასკვნების ხარისხს. ამაღლდა საგამოძიებო იზოლატორებისადმი, საპატიმროებისადმი, შრომა-გასწორების დაწესებულებებისა და სპეცკომინდატურებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის დონე, რამდენადმე გაუმჯობესდა კანონიერების დაცვა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

მეტი უყრადღება ექცევა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას. უფრო აქტიურად ხორციელდება საერთო ზედამხედველობა სამინისტროების, უწყებებისა და მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი. გამოყენებულია კანონის დარღვევით გამოცემული სამართლებრივი აქტები და შეტენილია პროტესტები და წარდგინებები დარღვევათა აღსაკვეთად.

მაგრამ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში ჭერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ საერთო ზედამხედველობის საშუალებებს, განსაკუთრებით სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, წამატებების, უყაირათობის, აგრეთვე ლოთობის, ნარკომანიისა და პარაზიტული ცხოვრების გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლაში.



დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პროკურატურის ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები მოწმობს, რომ ზოგი პროკურატორი ყოველთვის მწვავედ და პრინციპულად არ აფასებს თავის საქმიანობას კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის დროს, კრიტიკულად არ უდგება ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, არ მიმართავს სათანადო ღონისძიებებს, რათა დაქვემდებარებული მუშაკები აღ-

ზარდოს დავალებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, დამნაშავეობასა და კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის.

ი. სიომიძე

წინასწარი განცხადება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეუთ განხილვა პროფ. ი. სურგულაძის წინისა „სახელმწიფოს და სამართლის საკითხები“ ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

შესავალ სიტყვაში პროფ. ი. სურგულაძემ დასწრე საზოგადოებას ვააცნო ნაშრომის მიზანი და აღნიშნა, რომ ნაშრომის შესრულებისას ყველა საკითხი ერთნაირი მასშტაბურობით ვერ აისახა. ეს განაპირობა როგორც წინის მიოკულობამ, ისე საკლევო მასალის ხიმიცრამი.

განხილვაში მონაწილეობდა ორი მომხსენებელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ი. მეგრელიძე და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ვ. მეტრეველი.

პროფ. ი. მეგრელიძემ სარეცენზიო ნაშრომის შესახებ აღნიშნა, რომ ავტორი გვაცნობს, რა გზით და მეთოდებით შეიძლება შესწავლოთ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. პროფ. ი. სურგულაძე ერთ-ერთი პირველი განმარტავს, თუ რა მეთოდით უნდა იქნეს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოების ავტორის პოლიტიკური შეხედულებანი. სურგულაძის მართებული განმარტებით, ზოგიერთი ადგილი რუსთაველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების შესასწავლად მასალას არ იძლევა, ამდენად არც ჩანს რუსთაველის შეხედულებანი მასში. მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსანში“ მოყვანილია მრავალი ფაქტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ პოეტის პოლიტიკური შეხედულებანი; ერთი მხრივ, ვსწავლობთ სახელმწიფო და სამართლის საკითხებს საქართველოს სინამდვილეში, მეორე მხრივ, რუსთაველის შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართალზე.

ნაშრომში შესწავლილია მეფის ხელისუფლების საკითხი. პროფ. ი. სურგულაძე მართებულად დასკვნის, რომ რუსთაველის აზრით, მეფე შეუზღუდველი, უმადლესი სურვერნი, მაგრამ თუ მეფე უსამართლობას სჩადის, მაშინ ქვეშევრდომებს შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ მონარქის მოქმედება სამართლიანობასა და გონიერებაზე უნდა იყოს დამყარებული.

რუსთაველის პოლიტიკური შეხედულებებიდან, პროფ. ი. სურგულაძის აზრით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის ქადაგება.

მომხსენებელი შეეხო სარეცენზიო ნაშრომში განხილულ „საკარგავის“ პრობლემებს და აღნიშნა, რომ პროფ. ი. სურგულაძე, ანალიზებს რა „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილებს, იშველიებს ქართულ საისტორიო წყაროებს და მართებულად აღნიშნავს, რომ „საკარგავი“ ძირითადად პირობითი მიწისმფლობელობაა, და ამ მხრივ ის უპირისპირდება მამულს. პროფ. ი. სურგულაძის მიერ განხილული სხვადასხვა მოხელოები საფუძვლიანად არის შესწავლილი „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა წყაროების ანალიზით.

პროფ. ი. მეგრელიძემ ვააცეთა რამდენიმე არა არსებული ხასიათის შენიშვნა: ნაშრომში ზოგიერთი შედარებით ცნობილი ტერმინი და სახელი უფრო ვრცლად არის განხილული, (მაგალითად დარბაზი, სპასპეტი, უფლისწული, ვიზირი, ტახტი), ვიდრე ნაკლებარკვეული ცნებები (მაგალითად ციხივანი, გრეკველი, მარეკი, სარგანი, აზატი და სხვ.). პროფ. ი. მეგრელიძეს აზრით, მკვლევარი უფრო ფართოდ უნდა იყენებდეს პოლდავის ნაშრომს, რომელიც 1907 წელს გამოიცა. დოც. ვ. მეტრეველმა თავის მოხსენებაში

ყურადღება გაამახვილა სარეცენზიო ნაშრომში დასმულ იურიდიულ პრობლემებზე.

რეცენზენტმა მაღალი შეფასება მისცა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით საზოგადოებრივი წყობილების შესწავლას, კერძოდ პატრონჟიმობის ინტერპრეტაციას „ვეფხისტყაოსნის“ მოშველებით და იმის დასაბუთებას, რომ „ბატონ-ყმობა“ და „პატრონყმობა“ იდენტური ცნებები არ არის. ნაშრომში ღრმა მეცნიერული სიზუსტით არის განხილული საზოგადოებრივი აპარატი და მოხელეები — სულ 16 მოხელე.

დოც. ვ. მეტრეველის დასკვნით, ნაშრომის ძირითადი ღირსება ის არის, რომ იგი არ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ადგილებს მშრალ კომენტირებას, არამედ თითოეული პოლიტიკური და იურიდიული საკითხი შესწავლილია შედარებითი ისტორიული მეთოდის მეცნიერული მომარჯვებით.

დოც. ვ. მეტრეველმა ნაშრომის თაობაზე გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა, იგი შეეხო ნაშრომის არქიტექტონიკას და აღნიშნა, რომ უმჯობესი იყო ზოგიერთი იურიდიული საკითხის ცალკე გამოკვეთა, გამოითქვა მოსაზრება ნაშრომში განხილულ ზოგიერთი სახელის შესახებ.

განხილვაში მონაწილეობა მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა მ. კვკელიამ. მან აღნიშნა, ნაშრომის მაღალი მეცნიერული დონე და აღნიშნა, რომ პროფ. ივ. სურგულაძეს წვლილი მიუძღვის არა მარტო

სარეცენზიო ნაშრომის შესრულებაში, არამედ საქართველოს და სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის, საქართველოს პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის კარდინალური პრობლემების მონოგრაფიულად შესწავლისა და აღნიშნულ დარგებში მომუშავე მეცნიერული კადრების აღზრდაშიც.

მ. კვკელია საგანგებოდ შეეხო ნაშრომში შესწავლილი „საკარგავის“ პრობლემას, და აღნიშნა პროფ. ივ. სურგულაძის ორიგინალური მოსაზრების (განსხვავებით ქართველი ისტორიკოსებისა) ღრმა მეცნიერულობა მისი აზრით, „საკარგავის“ ინსტიტუტის ივ. სურგულაძისეული გაგება ხელს უწყობს X—XIII საუკუნეების საქართველოს მიწათმფლობელობასა და მოხელეების სწორ გაგებას. მ. კვკელია შეეხო ასევე „ვექილისა“ და „ვექილობის“ პრობლემას.

გამოთქმულ შენიშვნებზე პასუხი გაცა პროფ. ივ. სურგულაძემ. მან გაიზიარა ზოგიერთი შენიშვნა, ხოლო ნაწილზე თავისი თვალსაზრისის უპირატესობა დაასაბუთა.

საჯარო პაექრობის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ „პროფ. ი. სურგულაძის მონოგრაფია „სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ჩვენი მეცნიერების სერიოზული შენამენია.

უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიის ძირითადი დებულებები ავტორმა გერმანული ენაზე გამოაქვეყნა პარიზში და სერბიულ ენაზე ბელგრადში.

ცნობები ავტორთა შესახებ

წურბა მიხეილის ძე რაბინი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 12 წრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გრიგოლ ზაქარიაძე ძე ანაშკინი — სსრ კავშირის პროკურატურის დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და მისი აცილების ღონისძიებათა შემუშავების სრულიად საქავშირო ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექტორის გამგე, საქავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებული სახელმწიფოსა და სამართლის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 200-მდე წრომის ავტორი. პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.


ვიიგი კონსტანტინეძე ძე შიშინი — საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ტარიელ სავარინის ძე ლემონჯაძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული მეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ალექსანდრე ამირანის ძე ფუზანაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 25 წრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ვალერიან დუღარის ძე მმტრეველი — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ერთი მონოგრაფიისა და 15 წრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ზაალ ილიას ძე მისენგისკარი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი, 28 წრომისა და I წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.



68/185



ՅՆՆՈ 59 ՅՅՅ.

ИНДЕКС 70185